

სამოქალაქო კანონი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

სასამართლო სიტყვის თავისუფლება

განერიცხვა

№ას-923-885-2014

26 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, ქმედების დავალდე-
ბულება

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ.
მ-მ მოპასუხე შ. კ-ას მიმართ და მოითხოვა:

1. მოპასუხისათვის წერილობით ბოდიშის მოხდის დავალდე-
ბულება;

2. მოპასუხისათვის მატერიალური ზარალის ასანაზღაურებ-
ლად თვეში 150 ლარის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 19.08.2013წ. მან სარჩელით მი-
მართა სასამართლოს მოპასუხე სს „მ-ის“ წინააღმდეგ და მო-
ითხოვა იძულებითი განაცდურისა და მატერიალური ზიანის
ანაზღაურება. ამ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე
24.10.2013წ. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგე-
ნელმა შ. კ-ამ, მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედების დაფარ-
ვის მიზნით, სასამართლოს განუმარტა, რომ 03.10.2008წ. განა-
ჩენით მოსარჩელე კი არ გამართლდა, არამედ შეწყალებულ იქ-
ნა. ამ განმარტებით შ.კ-ამ სასამართლოს მიაღებინა საქმის წარ-
მოების შეწყვეტის გადაწყვეტილება. მოსარჩელე მიიჩნევს,
რომ მოპასუხის წარმომადგენელის ზემოხსენებული განმარტე-
ბით შეილახა მისი პატივი და ლირსება და მიადგა ზიანი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 იანვრის
გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 24 ოქ-
ტომბერს სასამართლო სხდომაზე, №2/462-13 საქმის განხილ-
ვისას, მოპასუხის წარმომადგენელმა შ. კ-ამ მოსარჩელის მისა-
მართით გამოიყენა სიტყვები – „შეწყალებული იქნა“, „ნაცვლად
სიტყვებისა – „გამართლებული იქნა“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა

იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხის მიერ წარმოთქმული სიტყვით შეილახა მისი პატივი და ლირსება და ზიანი მიადგა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოსარჩელეს ეკისრებოდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე შ. კ-ას მიერ სადავო სიტყვების წარმოთქმა გამოწვეული იყო შეცდომით, რომელიც მან იქვე გამოასწორა. აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მიერ წარმოთქმული სიტყვებით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. მ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაემყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის განჩინებით:

1. მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
2. უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლიდან გამომდინარე, დამტკიცებულად ჩათვალა მოსარჩელის (იგივე აპელანტის) მიერ მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოება: შ. კ-ამ ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე მ. მ-ის მიმართ წარმოთქვა სიტყვები, რომ ის იქნა შეწყალებული. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული, დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოება იურიდიულად არ ამართლებდა მოსარჩელის მოთხოვნას, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებული მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლომ, საქმის განხილვისას იხელ-მძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ამავე კანონის მე-13 მუხლით.

ზემოთ დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ცილისნამებისათვის პირს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გაავრცელებს არსებითად მცდარ ფაქტებს, რითაც ამ პირს ზიანი მიადგა, ანუ ფაქტი უნდა იყოს მცდარი, მოგონილი, ყვლბი და მან ზიანი უნდა მიაყენოს მოსარჩელეს.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, შ. კ-ას მიერ მ. მ-ის მიმართ წარმოთქმული სიტყვები, რომელიც მან წარმოთქმის-თანავე შეასწორა, არ შეიძლებოდა მ. მ-ის მიმართ არასწორი ინფორმაციის გავრცელებად და მისთვის ზიანის მიყენებად მიჩნეულიყო, შესაბამისად, მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი იურიდიულად გაუმართლებელი იყო და იგი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მ.

კასატორის მოთხოვნა:

გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება ან საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაპრუნება.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

სასამართლომ შეფასება არ მასცა იმ გარემოებას, რომ კასატორის მიმართ არსებობს გამამართლებელი განაჩენი;

განჩინებაში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა გაასწორა შ. კ-ამ, არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით;

არასწორია განჩინებაში მითითებულ გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ მ. მ-მ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება, სინამდვილეში მან ითხოვა სასამართლო სხდომის გადადება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე მოპასუხე სს „მ-ის“ წარმომადგენელმა შ. კ-ამ განმარტა, რომ 03.10.2008წ. განაჩენით მოსარჩელე კი არ გამართლდა, არამედ შეწყალებულ იქნა.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სასამართლო სხდომაზე მოპა-

სუხის წარმომადგენლის მიერ გავრცელებული ზმოხსენებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, ე.ი. ცილისნამებაა, რაც ლახავს მის პატივსა და ღირსებას და აყენებს ზიანს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ საკითხის გარკვევამდე, წარმოადგენს თუ არა სადავო განცხადება ცილისნამებას, უპირველესად, უნდა შემოწმდეს, ხომ არ არსებობს ცილისნამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი დააკმაყოფილოს ცილისნამების თაობაზე აღძრული სარჩელი, თუნდაც სადავო განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შეიცავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც გამოირიცხავენ ცილისნამებისათვის პასუხისმგებლობას, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ცილისნამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია: ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში; გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა შეეხება წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე პირის მიერ გაკეთებულ არა ნებისმიერ განცხადებას, არამედ მხოლოდ ისეთ განცხადებას, რომელიც პირის მიერ გაკეთებულია თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, რაც უშუალოდ უკავშირდება მისი, როგორც პროცესუალური მხარის უფლებამოსილებას. ასეთი განცხადება ცილისნამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინება, საქმეზე №ას-268-591-09; ამავე სასამართლოს 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე №ას-335-319-2013).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო განცხადება გაკეთებულია სასამართლო პროცესზე მოპასუხის წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, შესაბამისად, ასეთი განცხადება ვერ გამოიწვევს ცილისნამებისათვის პასუხისმგებლობას. აქედან გა-

მომდინარე, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სადაცო განცხადების უარყოფისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმის, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე და 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დავის საგნის ფასის განსაზღვრა

განერიცხა

№ას-159-149-2015

11 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, იპო-
თეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ყ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. დ-ას მიმართ ფუ-
ლადი ვალდებულების შესრულებისა და იპოთეკით დატვირთუ-
ლი ქონების რეალიზაციის შესახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2013 წლის 19 ივნისს მ. ყ-მა რ.
დ-ას ასესხა 21500 აშშ დოლარი ყოველთვიურად 3,5%-ის და-
რიცხვით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა
ი. ქ-ის სახელზე რიცხული ქ. თბილისში, შ-ის ქ. №3-5-ში მდება-
რე უძრავი ნივთი. მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულება არ შეუს-
რულებია და თანხა მოსარჩელისათვის სრულად არ გადაუხდია,
რის გამოც მას უნდა დაეკისროს ძირითადი სესხის – 18500 აშშ
დოლარის, პირგასამტებლოს – 2776 აშშ დოლარისა და ძირითა-
დი თანხის 0,15%-ის – 27,75 აშშ დოლარის ანაზღაურება გა-
დაწყეტილების აღსრულებამდე.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩე-
ლის მოთხოვნა არასწორად იქნა ჩამოყალიბებული, ამასთან,
ეჭვს იწვევს ი. ქ-ის ქმედუნარიანობის საკითხი და მას არ შეეძ-
ლო, არანირი ხელშეკრულების გაფორმება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 სექტემ-
ბრის გადაწყვეტილებით მ. ყ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმა-
ყოფილდა, რ. დ-ას მ. ყ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 18500 აშშ
დოლარის, ასევე სარჩელის აღდვრამდე 100 დღის შემცირებუ-
ლი პირგასამტებლოს – 925 აშშ დოლარისა და სარჩელის აღ-
ძრის დღიდან – 2014 წლის 12 მარტიდან გადაწყვეტილების
აღსრულებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 0,05%-
მდე შემცირებული პირგასამტებლოს გადახდა ყოველ ვადაგა-
დაცილებულ დღეზე 9,25 აშშ დოლარის ოდენობით, თანხის გა-

დაუხდელობის შემთხვევაში დადგინდა იძულებითი აღსრულება განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული საგნის, ი. ქ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, შ-ის ქ. №3-5-ში მდებარე უძრავი ქონების რეალიზაციის გზით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება პირგასამტებლოს ოდენობის შემცირების მოთხოვნით აღნიშნულ ნაწილში მოპასუხებ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 დეკემბრის განჩინებით რ. დ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ნოემბრის განჩინებით აპელანტ რ. დ-ას უარი ეთქვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლებაზე, მასვე დაევალა, წარმოედგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რომელშიც მითითებული იქნებოდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, რამდენი პროცენტით ითხოვდა პირგასამტებლოს შემცირებას, დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით განესაზღვრა სააპელაციო საჩივრის ფასი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ითხოვდა პირგასამტებლოს შემცირებას, წარმოდგენილი დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის შესაბამისად 10 დღის ვადაში გადაეხადა სახელმწიფო ბაჟის სახით დავის საგნის ღირებულების 4%. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

2014 წლის 1 დეკემბერს აპელანტმა რ. დ-ამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და იმუამდგომლა საპროცესო ვადის 10 დღით გაგრძელების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ ესაჭიროებოდა სპეციალისტის კონსულტაცია დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის წარმოსადგენად, ამასთან, დრო სჭირდებოდა სახელმწიფო ბაჟის სახით თანხის მოსაძიებლად. აპელანტმა აღნიშნა, რომ იმყოფებოდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, წარმოადგენდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, მეუღლე ჰყავდა საკმაოდ მძიმედ ავად და ესაჭიროებოდა სოლიდური თანხები სამკურნალოდ. აღნიშნულის დასადასტურებლად აპელანტმა წარადგინა მტკიცებულებები დანართის სახით.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით რ. დ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ხარვეზის

ვადა გაუგრძელდა 10 დღით.

2014 წლის 25 დეკემბერს აპელანტმა რ. დამ განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას და, 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით, წარადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი – 204 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტ რ. დას მ. ყის სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონდა სარჩელის აღძვრის დღიდან – 2014 წლის 12 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 0.05%-მდე შემცირებული პირგასამტებლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 9,25 აშშ დოლარის ოდენობით, რაც შეადგენდა 9990 აშშ დოლარს ($9.25 \times 30 = 277.5$, $277.5 \times 12 = 3330$, $3330 \times 3 = 9990$) 9990 დოლარის 4% არის 399.6 დოლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის სახით აპელანტს უნდა გადახადა 399.6 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, 368-ე მუხლის მეხუთე და მეშვიდე ნაწილების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოშ მიმიჩინა, რომ აპელანტს ხარვეზი სრულად არ შეუვისა და არც საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. დამ შეიტანა კერძო საჩივრი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის, რათა აპელანტს მიეცეს დამატებითი ვადა ხარვეზის შესაგებად და შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი უფლებები სასამართლოში შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა განესაზღვრა აპელანტისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟს კონკრეტულ ოდენობა მის მიერ დაზუსტებული სააპელაციო მოთხოვნის შესაბამისად. სააპელაციო პალატას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ რ. და არის იძულებით გადაადგილებული პირი, აქვს მძიმე მატერიალური მდგომარეობა, ჰყავს 3 მცირენლოვანი შვილი და ონკოლოგიური დაავადების მქონე მეუღლე, ამდენად, მას გაუჭირდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაზუსტება.

მხარემ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დაგის საგნის 4%-ს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარს, ხოლო აპელანტმა გადაიხადა 204 ლარი,

რაც იძლეოდა შესაძლებლობას, სასამართლოს მიეღო საქმე წარმოებაში და სააპელაციო საჩივრის მიღებისას ემსჯელა სახელმწიფო ბაჟის იმ მოცულობამდე, რაც შემდგომ გასაჩივრებული განჩინებით მხარეს განუსაზღვრა.

კერძო საჩივრის აგტორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი არ არის განჩინება 2014 წლის 1 დეკემბრის განცხადებასთან დაკავშირებით. აღნიშნული განცხადების პასუხად მხარემ მიიღო სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ნოემბრის განჩინება, რომელიც უკვე ჩაბარებული ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებისათვის საჭირო ყველა მტკიცებულება, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მხარემ თავისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა. 2014 წლის 26 დეკემბრის განჩინებაში კი, სასამართლომ მიუთითა, რომ პელანტმა წარადგინა მტკიცებულებები დანართის სახით. ამდენად, მხარემ მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე სააპელაციო პალატას უნდა გაეთავისუფლებინა ან გადაევადებინა მაინც სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. დ-ას კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამონმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ნოემბრის განჩინებით აპელანტ რ. დ-ას უარი ეთქვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლებაზე, მხარეს დაევალა, წარედგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რომელშიც მითითებული იქნებოდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, რამდენი პროცენტით ითხოვდა პირგასამტებლოს შემცირებას, დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით განესაზღვრა სააპელაციო საჩივრის ფასი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ითხოვდა პირგასამტებლოს შემცირებას, წარმოდგენილი დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის შესაბამისად, 10 დღის ვადაში გადაეხადა სახელმწიფო ბაჟის სახით დავის საგნის ღირე-

ბულების 4%. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სა-სამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

ასევე დადგენილია, რომ რ. დ-ას შუამდგომლობის საფუძვლზე სააპელაციო პალატამ 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ხარვეზის შევსების ვადა მხარეს აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღით გაუგრძელა, თუმცა 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინების აპელანტისათვის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. მართალია, სააპელაციო სასამართლომ იგი აპელანტს გაუგზავნა, თუმცა გზავნილი მხარეს არ ჩაბარდა ადრესატის სახლში არყოფნის გამო. საქმეში არსებული ხელწერილით დასტურდება, რომ რ. დ-ას 2014 წლის 15 დეკემბერს ჩაბარდა 2014 წლის 10 ნოემბრის განჩინება.

2014 წლის 25 დეკემბერს (მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ნოემბრის განჩინების ჩაბარებიდან – 2014 წლის 15 დეკემბერიდან მე-10 დღეს) რ. დ-ამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა. მან მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში, რომლითაც აპელანტს დაევალა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2014 წლის 12 მარტიდან 9,25 აშშ დოლარის გადახდა, რაც, მხარის განმარტებით, შეადგენდა 2682 აშშ დოლარს. შესაბამისად, აპელანტმა სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 204 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ რ. დ-ას სააპელაციო საჩივარი არასწორად დატოვა განუხილველად, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეცუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შეესებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს გან-

ჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი აღარ განიხილება და დარჩება განუხილველად.

სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობისას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, ერთი მხრივ, ნარმოადგენს გარკვეულ სანქციას იმ მხარისათვის, რომელმაც უგულებელყო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის დადგენილი წინაპირობების შესრულება, ხოლო მეორე მხრივ, იგულისხმება, რომ აპელანტმა დაკარგა ინტერესი მისი სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს მითითებული საფუძვლებიდან რომელმა გამოიწვია ხარვეზის შეუვსებლობა – აპელანტის მხრიდან სასამართლოს მითითებების უგულებელყოფამ, თუ სააპელაციო საჩივრის განხილვისადმი მხარის ინტერესის დაკარგვამ.

მოცემულ შემთხვევაში ცხადია, რომ რ. დას რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე თავისი სააპელაციო საჩივრის განხილვისადმი ინტერესი გააჩნდა, რადგან მან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 204 ლარი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სააპელაციო საჩივარზე დადგენილი სახელმწიფო ბაჟის მინიმალურ ოდენობას აღემატება. ვინაიდან აპელანტს სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინება მისთვის ხარვეზის ვადის 10 დღით გავრძელების შესახებ არ ჩაბარებია, არამედ 2014 წლის 15 დეკემბერს განმეორებით ჩაბარდა ამავე პალატის 2014 წლის 10 ნოემბრის განჩინება ხარვეზის თავდაპირველად დადგენის თაობაზე, უნდა მივიჩნიოთ, რომ 2014 წლის 25 დეკემბერს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაზუსტებითა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითონის წარდგენით შეარეს სასამართლოს მიერ მიცემული ვადა არ დაურღვევია.

საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით, ხოლო რ. დას 2014 წლის 25 დეკემბრის განცხადებით საპროცესო ვადის გაგრძელება და სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დაზუსტება არ მოუთხოვია. შესაბამი-

სად, აღნიშნულთან დაკავშირებული კერძო საჩივრის არგუმენტი დაუსაბუთებელია, თუმცა საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატა ვალდებული იყო, წარმოებაში მიეღო რ. დას სააპელაციო საჩივარი სულ ცოტა აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის პროპორციულად.

საკასაციო სასამართლოს სურს, ყურადღება გაამახვილოს სააპელაციო საჩივრის საგნის ორებულებაზე, რომელიც განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. მითითებული ნორმის მიხედვით, ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

კანონის დასახელებული დანაწესის შესაბამისად, ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელზე დავის საგნის ფასის გამოთვლა ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების შეჯამებით, თუმცა კანონმდებელი ადგენს აღინიშნული პერიოდის მაქსიმალურ ზედა ზღვარს, რაც გულისხმობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა გამოითვალის არა მხოლოდ სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ჯამიდან, არამედ, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თავად განსაზღვროს, თანხების რა პერიოდის ჯამით განსაზღვროს დავის ორებულება. ამასთან, აღნიშნული ორებულება უნდა იყოს გონივრული და მოიცავდეს საქმის წარმოების შესაბამისი სტადიის მიმდინარეობისათვის ადეკვატურ პერიოდს.

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება სწორედ ვადიან გადასახდელებს – პირგარამტებლოს სახით ყოველდღიურად 2014 წლის 12 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე 9,25 აშშ დოლარის გადასახდევინებას.

სააპელაციო სასამართლომ დავის საგნის ფასი გამოთვალა მაქსიმალური ოდენობით, 3 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ჯამიდან, რაც შეადგენდა 9990 აშშ დოლარს ($9.25 \times 30=277.5$, $277.5 \times 12=3330$, $3330 \times 3=9990$). 9990 დოლარის 4% 399.6 დოლარია, ხოლო რ. და-მ გადაიხადა 204 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აპელანტის მიერ მითითებული გარემოებანი და წარმოდგენილი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ რ. და-ა იძულებით გადაადგი-

ლებული პირია, ჰყავს სამი მცირენლოვანი შვილი და მძიმედ დაავადებული მეუღლე.

მართალია, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ აღნიშნული გარემოებანი ვერ გახდება სახელნიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი, თუმცა მითითებული ფაქტები გათვალისწინებულ უნდა იქნეს დავის საგნის ლირებულების განსაზღვრისას, რაც საბოლოოდ გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბაჟის ოდენობაზე.

ამდენად, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რ. და-ას სააპელაციო საჩივრის ლირებულება განისაზღვროს 2014 წლის მარტიდან სააპელაციო საჩივრის შეტანამდე პერიოდში (სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2014 წლის ოქტომბერში) გადასახდელი თანხის ერთობლიობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად, რა დროსაც სააპელაციო პალატამ უნდა გაითვალისწინოს მოცემული განჩინების კვლევით ნაწილში მითითებული მსჯელობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამინისტრო საპროცესო კოდექსის 420-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. და-ას კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 დეკემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

განხილვა

№ას-843-807-2014

12 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მოძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. თ-ამ თბილისის საქალაქო სასამართლოში მ. ვ-ას წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხის მფლობელობაში არსებული გობელენის „ლ. ბ-ი“ საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ა. თ-ას სარცელი დაქმაყოფილდა, მოსარჩელე საკუთრებაში გადაეცა მ. ვ-ას მფლობელობაში არსებული გობელენი „ლ. ბ-ი“.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ საპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განჩინებით მ. ვ-ას სააპელაციო საჩივრი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან აპელანტი კანონით დადგენილ ვადაში საქალაქო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად არ გამოცხადდა, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაიწყო და 11 ივნისს ამოიწურა. სააპელაციო საჩივრი კი, 14 ივნისსაა შეტანილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დარღვეული არ ყოფილა და სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა. მისი მითითებით, დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ იყო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუდრეს 20 და არა უგვიანეს 30-ე დღისა, გარდა ამისა, გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს არა 30-ე, არა-მედ 31-ე დღიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიზნევს, რომ მ. ჯ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

იმავე კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; ნინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი 2014 წლის 29 მაისს გამოცხადდა, მოპასუხის წარმომადგენლისათვის ცნობილი იყო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი, შესაბამისად, გასაჩივრების მსურველი მხარე არა უადრეს 18 ივნისისა და არა უგვიანეს 28 ივნისისა უნდა გამოცხადებულიყო დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ აპელანტი ამ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში გამოცხადდა. მხარის მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში მზად არ იყო, საკასაციო სასამართლო მხედველობაში ვერ მიიღებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის №ას-1161-1106-2014 განჩინებით განმარტებულია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხ-

ლის განმარტება უნდა მოხდეს ამავე კოდექსის მე-60 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი აწესრიგებს ამავე კოდექსის სხვადასხვა ინსტიტუტებით გათვალისწინებული საპროცესო ვადის დენის დასაწყისის მომენტს და, შესაბამისად, ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით დადგენილ ვადებზეც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ „ნინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაინტენციულების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“, მიგვითითებს პრეზუმუტივაზე, რომლის თანახმად კანონი ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30 დღეს დაინტერესებული მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებისათვის. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება საპროცესო მოქმედების შესრულების ზუსტ კალენდარულ თარიღს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის ათვლის საპროცესო წესი მოცემულია ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილით.

აღნიშნული განმარტების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა უნდა დაინტოვოს არა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღიდან, არამედ მომდევნო დღიდან – 29 ივნისიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.2 მუხლის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ბოლო დღე 12 ივლისი შაბათი იყო, შესაბამისად, საპროცესო ვადა 14 ივლისს ამოიწურა და მ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი ვადაშია შეტანილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევითაა დადგენილი.

ვინაიდან მ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად არასწორად იქნა დატოვებული, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს, ამასთან სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ი:

1. მ. ჯ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივლისის განჩინება და საქმე მ. ჯ-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

განრიცხვა

№ას-210-197-2015

19 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: სამკვიდრო მონმობის ბათილად ცნობა, ქონების წილზე მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

მ. ტ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ტ-ის მიმართ და მოითხოვა 2008 წლის 23 სექტემბერს ნოტარიუს ნ. პ-ის მიერ გაცემული №2-1008 სამკვიდრო მონმობის ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც ე. ტ-ი ცნობილ იქნა გარდაცვლილი მ. ტ-ის დანაშთი მთლიანი ქონების მემკვიდრედ, ასევე მოითხოვა გარდაბანში მდებარე უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მ. ტ-ი გარდაცვლილი მ. ტ-ის შვილიშვილია და მისი პაპის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა მის დანაშთ ქონებას. მ. ტ-ის გარდაცვალების ადგილია ქ. თბილისი, მ-ის ქ. №1-ის მე-4 ჩიხი და მისი გარდაცვალების შემდეგ

მის დანაშთ ქონებას დაეუფლა მამკვიდრებლის შვილი – გ. ტ-ი, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ დანაშთ ქონებას დაეუფლა მ. ტ-ი.

მხარის მითითებით, მისთვის ახლახანს გახდა ცნობილი ე. ტ-ის სახელზე სადაცო სამკვიდრო მოწმობის გაცემის ფაქტი. ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ე. ტ-ი რეგისტრირებულ იქნა მესაკუთრედ სამკვიდრო ქონებაზე შესაბამისად, მ. ტ-მა უშედეგოდ მიმართა ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით, ვინაიდან სამკვიდრო მოწმობა უკვე გაცემული იყო ე. ტ-ის სახელზე.

ე. ტ-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მ. ტ-ი ბაბუის – მ. ტ-ის გარდაცვალებამდე სადაცო ბინაში რეგისტრირებული არ იყო და ქონებას არ დაეუფლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც ე. ტ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 20 იანვრის განჩინებით ე. ტ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციით ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდნენ ე. ტ-ი და მისი წარმომადგენელი ა. გ-ა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 259¹ მუხლებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო მისი სარეზოლუციით ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევნო სამუშაო დღეს, 2014 წლის 16 დეკემბრიდან და ამოინურა 2014 წლის 29 დეკემბერს, ე. ტ-მა კი სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2014 წლის 30 დეკემბერს, კანონით დადგინდი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ე. ტ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

კერძო საჩივრის აცტორმა განმარტა, რომ ე. ტ-ისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა, მართლაც, დაიწყო სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციით ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევნო სამუშაო დღიდან – 2014 წლის 16 დეკემბრიდან და ამოინურა 2014 წლის 29 დეკემბერს.

2014 წლის 29 დეკემბერს კერძო საჩივრის ავტორის წარმო-

მადგენელმა ა. გ-მ ფოსტას ჩააბარა ე. ტ-ის სააპელაციო საჩივარი, რაც დასტურდება შპს „სეს-ს“ №002109228 ქვითონითა და №7774616 ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტით.

სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ჩაბარდა 2014 წლის 30 დეკემბერს.

მხარემ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, აპელანტს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა არ დაურღვევია.

კერძო საჩივრის ავტორზა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე და 374-ე მუხლები და არ გამოიყენა ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ტ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა ე. ტ-ი და მისი ნარმომადებელი ა. გ-ა, რომლის შესაბამისი უფლებამოსილება დადასტურებულია საქმის მასალებში ნარმოდგენილი მინდობილობით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 259¹ მუხლებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათველა დაიწყო მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევნო სამუშაო დღეს, 2014 წლის 16 დეკემბრიდან და ამოინურა 2014 წლის 29 დეკემბერს, ე. ტ-მა კი სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2014 წლის 30 დეკემბერს, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო საჩივრის შეტანის პირობებს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი-

დან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაპარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაპარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო. ამავე კოდექსის 259¹ მუხლის პირველი ნაწილით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; ნინიალმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებლი განსაზღვრავს ვალდებულებას, რათა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი.

აღნიშნული ვალდებულება ფაკულტატურია და, შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად „გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი“. ამდენად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევ-

ვაში მოქმედებს დანაწესი, რომლის თანახმად „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“.

მოცემულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმედა და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმა უნდა განიმარტოს ამავე მუხლის მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც ეხება საპროცესო ვადის დამთავრებას და არა დაწყებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა აწესრიგების გასაჩივრების უფლების დაწყების წინაპირობებს და, ამდენად, თავისი ბუნებით არყეულირებს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დაწყების და არა დამთავრების საკითხს. შესაბამისად, აღნიშნულის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი არ გამოიყენება (სუს 2013 წლის 11 თებერვლის №ას-124-118-2013 განჩინება).

ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების მსურველი მხარის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღემდე დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში გამოუცხადებლობა წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 30-ე დღის (მიუხედავად იმისა, უქმედება თუ არა აღნიშნული) მომდევნო დღიდან, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (სუს 2015 წლის 12 იანვრის №ას-843-807-2014 განჩინება).

განსახილველ შემთხვევაში ე. ტ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში – 2014 წლის 4-14 დეკემბერს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლო-სათვის არ მიუმართავს, ამდენად, მის მიმართ სააპელაციო სა-

ჩივრის შეტანის ვადის ათვლა დაიწყო 30-დღის – 2014 წლის 14 დეკემბრის (ცვირა დღე) მომდევნო დღიდან – 2014 წლის 15 დეკემბრიდან (და არა 16 დეკემბრიდან, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიუთითა) და ამოიწურა 2014 წლის 29 დეკემბერს (28 დეკემბერი იყო უქმე დღე).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2014 წლის 30 დეკემბერს, რადგან წარმოდგენილ კერძო საჩივარს ერთვის „TNT-ს“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ე. ტ-ის წარმომადგენელმა ა. გ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის გასაგზავნი გზავნილი ფოსტას ჩააბარა 2014 წლის 29 დეკემბერს და იგი რეგისტრაციაში გატარდა მომდევნო დღეს – 2014 წლის 30 დეკემბერს. ამავდროულად, სააპელაციო საჩივარზე დასმული ბეჭდითაც დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარს ერთვოდა კონვერტი. აღნიშნული გარემოება არ იქნა გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს მიერ საფოსტო ინფორმაციის შემცველი ზემოანიშნული დოკუმენტის საქმის მასალებისათვის მოგვიანებით დართვის გამო, რაც ასახულია სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემნის მიერ შედგენილი აქტშიც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწერი, რომლის თანახმად საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთს საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაპარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთს საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ტ-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. ტ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

სარვეზის განჩინების მხარისათვის ჩატარება

განჩინება

№ას-1124-1071-2014

25 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ქონებით სარგებლობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. და დ. ე-ებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნ. ბ-ის, კ.
ე-ის, ნ. ე-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს მოპასუხეთათვის 72803, 17 ლარისა და თანხის დაბრუნებამდე უძრავი ქონებით სარგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გა-
დაწყვეტილებით მ. და დ. ე-ების სარჩელი სრულად დაკმაყო-
ფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 აგვისტოს განჩინებით აპელანტებს გან-
ჩინების ჩაბარებიდან 10 დღის გადაში სახელმწიფო ბაჟის – 3087 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა დაევალათ.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ნ. ბ-ის, კ. ე-ის, ნ. ე-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ხარვეზის განჩინე-

ბა აპელანტების წარმომადგენელ ე. მ-ს გაეგზავნა და 3 სექტემბერს ჩაბარდა. შეტყობინების ბარათზე მისი პირადი ნომერია მითითებული. 2014 წლის 16 სექტემბერს ე. მ-მ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, ოდენობის 50%-ით შემცირება ან საპროცესო ვადის 10 დღით გაგრძელება მოითხოვა. ვინაიდან მხარეს ხარვეზის განჩინება 3 სექტემბერს ჩაბარდა, ხარვეზის შევსების ვადა 15 სექტემბერს ამოინურა. განცხადებები კი, ფოსტას 16 სექტემბერს გადაეცა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება 6. ბ-ის, კ. და 6. ე-ების წარმომადგენელმა ე. მ-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათი გზავნილის ჩაბარების შესახებ არასარწმუნოა. ბარათში არასწორადა მითითებული საქმის ნომერი. შევსებულია ჩაუბარებლობის მიზეზი „გადასულია სხვა მისამართზე“. გზავნილის ჩაბარების გრაფაში წერია სიტყვა „წარმომადგენელი“, არ არის მითითებული სახელი და გვარი, არ არის მიმღები პირის ხელმოწერა, დაფიქსირებულია ჩაბარების ორი თარიღი. გზავნილის წონად მითითებულია 0 კგ, ანუ, კონვერტი ცარიელი იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ 6. ბ-ის, კ. და 6. ე-ების კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს

გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება და არ არის ვალ-დებული, დაიცვას თანამიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პარს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაპარდეს პირადად. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის განჩინება ერთი გზავნილით გაეგზავნა აპელანტებსაც და მათ წარმომადგენელ ე. მ-საც. გზავნილში სასამართლოსათვის ცნობილი ყველა მისამართია მითითებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ საქმეში არსებული შეტყობინების ბარათით უტყუარად არ დასტურდება, გზავნილი ვის ჩაბარდა.

შპს „სკს-ს“ შეტყობინების ბარათზე შევსებულია გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზი: „გადასულია სხვა მისამართზე.“ საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია, ეს მითითება ვის ეხება, უშუალოდ მხარეს, თუ წარმომადგენელს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, ხარვეზის განჩინება ყველასთან ერთი გზავნილით გაიგზავნა. გზავნილის ჩაბარების გრაფაში მითითებულია მხოლოდ „წარმომადგენელი“, არ არის მითითებული მიმღები პირის სახელი და გვარი. ბარათი ხელმოუწერელია. მართალია, ბარათზე არსებული პირადი ნომერი, სავარაუდოდ, ე. მ-ს ეკუთვნის (საქმეში არსებულ ბარათზე პირადი ნომრის ბოლო ციფრი არ იკითხება, მაგრამ დანარჩენი სიმბოლები ე. მ-ის პირად ნომერს ემთხვევა), მაგრამ საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ მხოლოდ ეს გარემოება გზავნილის ამ უკანასკნელის მიერ მიღებას არ ადასტურებს, ვინაიდან, პირადი ნომერი მითითებულია როგორც საქმეში, ისე სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის მინდობილობებშიც.

ვინაიდან ხარვეზის განჩინების მხარისათვის ჩაბარება უტყუარად არ დასტურდება, აპელანტების მიერ ხარვეზის განჩინების საპასუხოდ წარდგენილი განცხადებები ვადაში შეტანილად უნდა იქნეს მიჩნეული, ამდენად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი არ არსებობდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. ბ-ის, კ. და 6. ე-ების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განჩინება და საქმე 6. ბ-ის, კ. და 6. ე-ების სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

მთკიცების ტვირთი

განჩინება

№ას-406-383-2014

17 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ.ქათამაძე,
ბ.ალავიძე

დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლების დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ა-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ჯ-ის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის – 1 058 819,34 ლარის გადახდის დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია, რომ 2002 წლის 2 აპრილს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება კომპანია ჯ-ში კვების ბლოკის შექმნაზე. ხელშეკრულების მიხედვით, დამკვეთი (მოპასუხე/შპს „ჯ-ი“) უკვეთავდა და შემსრულებელი (მოსარჩელე/შპს „ა-ი“) იღებდა პასუხისმგებლობას ჩამოყალიბებინა კაფეტერია დამკვეთის მომსახურე 100 პირი-სათვის, დამკვეთის კუთვნილ და მის მიერ შერჩეულ ტერიტო-

რიაზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 31 დეკემბრამდე. მოსარჩელემ კვების ბლოკის შექმნის მიზნით შეიძინა ინვენტრი და მოწყობილობა, რომელიც განათავსა მოპასუხე კომპანიაში. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხემ არ დააპრუნა ინვენტარი და მოწყობილობები. მხარეთა შორის დაგა მოძრავი ნივთების დაპრუნების შესახებ გადაწყდა საერთო სასარჩელო წესით და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „ჯ-ს“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ კვების ბლოკის დანადგარების, ინვენტარისა და მოწყობილობების დაპრუნება ან შესაბამისი საფასურის გადახდა. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2011 წლის 21 თებერვალს შპს „ჯ-მა“ შპს „ა-ს“ ჩაურიცხა ქონების ღირებულება. თუმცა 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლმდე ანუ, იმ პერიოდში ვიდრე შპს „ა-ის“ ინვენტარი და მოწყობილობები იმყოფებოდა მოპასუხის მფლობელობაში შპს „ა-ს“ მიადგა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით, რომლის ოდენობაა 1 058 816,34 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა 8000 ლარის ღირებულების მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყენებით შპს „ა-ის“ მიერ 1 058 816,34 ლარის შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. საქმეში წარმოდგენილი ფინანსური ექსპერტიზის დასკვნა კი, მოპასუხის მოსაზრებით, ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ შეფასდება, გამომდინარე იქიდან, რომ მასში მითითებული არ არის თუ რის საფუძველზე მივიდა ექსპერტი იმ დასკვნამდე, რომ შპს „ა-ი“ ნამდვილად მიიღებდა 1 058 816,34 ლარის ოდენობით შემოსავალს. აგრეთვე, მოპასუხემ სადაც გახადა მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ქირა-იჯარის ურთიერთობად შეფასება და განმარტა, რომ 2002 წლის 2 აპრილს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება კომპანია ჯ-ში კვების ბლოკის შექმნაზე წარმოადგენდა ნარდობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ა-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის წინასწარი (მუალედური)

გადაწყვეტილებით შპს „ა-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება. დადგენილი იქნა შპს „ჯ-ზე“, შპს „ა-ის“ სასარგებლოდ, თანხის დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა. ამავე გადაწყვეტილებით დადგენიდა, რომ შპს „ჯ-ზე“ შპს „ა-ის“ სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ოდენობა განისაზღვრებოდა წინასწარი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში დადგენლად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2002 წლის 02 აპრილს შპს „ჯ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „ა-მა“ აიღო ვალდებულება, ჩამოყალიბებინა და ემუშავებინა შპს „ჯ-ში“ დასაქმებული 100 პირისათვის კაფეტერია. კაფეტერიის მოწყობა უნდა განხორციელებულიყო შპს „ჯ-ის“ ტერიტორიაზე შპს „ა-ის“ ინვენტარითა და ხარჯებით. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ა-ის“ ვალდებულებას წარმოადგენდა დამკვეთის შენობის გარეთ, საკუთარ ტერიტორიაზე ცხელი საკვების მომზადება და კაფეტერიისათვის მიწოდება. შპს „ჯ-ს“ მომსახურების საფასურის გადახდა უნდა ენარმოებინა საბანკო გადარიცხვით ყოველი თვის 15 რიცხვში თითო პირზე 8 ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, შპს „ა-ს“ უნდა გადასცემოდა მის მიერ შპს „ჯ-ში“ განთავსებული ინვენტარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ შპს „ა-ის“ მიერ 2002 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯ-ის“ ტერიტორიაზე კაფეტერიის მოსაწყობად შეტანილი ინვენტარი ხელშეკრულების ვადის ამონტურვის შემდეგ შპს „ა-ს“ არ დაბრუნებია და შპს „ჯ-ი“ მათზე ახორციელებდა უკანონო მფლობელობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო გადაწყვეტილებით შპს „ჯ-ს“, შპს „ა-ის“ სასარგებლოდ, დაეკისრა კვების ბლოკის დანადგარების, ინვენტარისა და მოწყობილობების დაბრუნება ან შესაბამისი საფასურის გადახდა. აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, 2011 წლის 21 თებერვალს შპს „ჯ-მ“ შპს „ა-ს“ ჩაურიცხა სადაც ქონების ღირებულება.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ

შპს „ჯ-ი“ 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში უკანონოდ ფლობდა შპს „ა-ის“ კუთვნილ ინვენტარს.

დადგენილ იქნა სადაცო ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არსებობდა არა ქირა-იჯარის ურთიერთობა, რომორც ამაზე უთითებდა შპს „ა-ი“, არამედ წერილობითი ხელშეკრულება მომსახურების შესახებ, რომლითაც განსაზღვრული იყო განეული მომსახურების ანაზღაურების სახე და ფორმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე იმ ფაქტობრივ გარემოებას, შპს „ა-ის“ კუთვნილი ინვენტარი 2006 წლის 1 იანვრიდან იმყოფებოდა შპს „ჯ-ის“ უკანონო მფლობელობაში მიენიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა. ასევე დადგენილ იქნა, რომ შპს „ა-ი“ წარმოადგენდა კომერციული მიზნით შექმნილ იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის საგანი იყო სხვადასხვა დაწესებულებებში კვების ობიექტების მოწყობა და დაწესებულების თანამშრომელთათვის საკვების მიწოდება, რისთვისაც იყენებდა თავის საკუთრებაში არსებულ სპეციალურ ინვენტარს. სამოქალაქო საქმეთა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ჯ-ის“ მხრიდან 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში შპს „ა-ისათვის“ კუთვნილი ინვენტარით სარგებლობის უფლების წართმევით, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული შემოსავალი, რომელსაც ის მიღებდა შპს „ჯ-ის“ მხრიდან ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულყო. ზიანის დასადასტურებლად შპს „ა-მა“ სასამართლოში წარადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 8 აგვისტოს ექსპერტიზის დაკვნა.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიყენებული ზიანის ოდენობის დაანგარიშებისათვის უნდა გამოეყენებინა ხენებული დასკვნა, შეეფასებინა მასში მოყვანილი რიცხობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლები, დაედგინა ხანდაზმული და არა-სანდაზმული მოთხოვნების მოცულობა, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლზე დაყრდნობით, მიზანშენონილად მიიჩნია, რომ მიღებულიყო წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და დადგენილიყო, რომ არსებობდა თუ არა შპს „ჯ-ის“ მიერ შპს „ა-ისათვის“ ზიანის მიყენების შედეგად შპს „ჯ-ზე“ შპს „ა-ის“ სასარგებლოდ ზიანის დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლები. რაც შეეხებოდა ზიანის ოდენობას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული უნდა განაზღვრულიყო წინასწარი (შუალედური) გადაწყვე

ტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ჯ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის დასაბუთება აგებულია იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საქმის განმხილველი სასამართლოს მსჯელობაზიანის მიყენების ფაქტის არსებობის (დადგენის) თაობაზე ენინააღმდეგება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველო უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასა და საკანონმდებლო ნორმების სწორ ინტერპრეტაციას, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლების სამართლებრივ მიზნებს, რომლის თანახმად, ფაქტი ზიანის მიყენების შესახებ უნდა დგინდებოდეს არა სუბიექტური დამოკიდებულებით, არამედ ობიექტური მოცემულობით, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ზიანის დაკისრებისათვის სახეზე უნდა იყოს რეალური ზიანი. მოცემულ შემთხვევაში კი, საქმის განხილველი სასამართლო ზიანის არსებობის (მიყენების) ფაქტის დადგენისას დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას, რომელშიც მითითებულია სავარაუდო შემოსვალი, რომელსაც შპს „ა-ი“ მიიღებდა მისი კუთვნილი ინვენტარისა და მოწყობილობების გაქირავებისა თუ იკარით გაცემის შემთხვევაში. საუბარი იმაზე, რომ ეს არის „სავარაუდო შემოსვალი“, არ გულისხმობს, რომ სახეზეა ნამდვილი, რეალურად მიუღებელი შემოსვლის სახით დამდგარი ზიანი. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ამასთან, კასატორი სადავოდ ხდის სარჩელის ხანდაზმულობას და აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს 2002 წლის 2 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო და უფლების დარღვევის საწყის პერიოდად თავად ასახელებს 2006 წლის იანვარს. სარჩელი კი, წარადგილია 2012 წლის შემოდგომაზე.

კასატორი სადავოდ ხდის ასევე იმ გარემოებას, რომ სასამართლომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის დასაანგარიშებლად უნდა გამოიყენოს ლეგან სამსარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 8 აგვისტოს ექსპერტის დასკვნა. კასატორის პრეტენზია იმ საფუძ-

ვლითაა გამყარებული, რომ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, არსებობს მხოლოდ მოსაზრება, რომ „იმ შემთხვევაში, თუ 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე შპს „ა-ის“ მფლობელობაში იქნებოდა დანადგარები, ინვენტარი და მოწყობილობები, საზოგადოება მათი ქირა-იჯარის სახით ყოველთვიურად თუ მიიღებდა დღგ-ს ჩათვლით 17 172,54 ლარს, საორიენტაციოდ სულ მიიღებდა 1 058 816,34 ლარის შემოსავალს“. კასატორის აზრით, აღნიშნული დასკვნა მთლიანად ეფუძნება ვარაუდს და არ არის გამყარებული რაიმე მტკიცებულებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებით შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნას დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემული დავის საგანია შპს „ა-ის“ შემდეგი დასახელების ნივთების: ჭურჭლის სარეცხი მანქანა (ერთი ცალი); ნაგვის კონტეინერი (ერთი ცალი), ჭურჭლის მისაწოდებელი ელევატორი (ერთი ცალი); საკებელის მისაწოდებელი ელევატორი (ერთი ცალი); ბარის ბოთლების სადგომი (ორი ცალი); უჟანგო ჭურჭელი (სამასორი ცალი); ფოდნოსი (ორი ცალი); სამზარეულოს ჭურჭელი (ორას თექვსმეტი ცალი); საკმი (ას ოცი ცალი); მაგიდა (ოცდაათი ცალი); თერმობლოკი (ორი ცალი); მაგიდა (სამი ცალი), დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე ზიანს ითხოვს არა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, გვაძლევს იმ დასკვნის გაეთვების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 411-ე, ასევე, 394-ე

მუხლები.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირებაა და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის არაჯეროვან შესრულებაში. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლის-თვისაც. ამავე მუხლითავა განმარტებული მიუღებელი შემოსავალი, კერძოდ, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტიას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც განეკუთვნება სასამართლოს ულებამოსილების სფეროს, თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი, იმისათვის, რომ სასამართლოს არ მოუწიოს იმ გარემოებათა დადგენა, რომლებსაც საქმისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ, და პირიქით, მთელი სამართლნარმოება საძიებელ ფაქტებზე უნდა იქნეს აგებული.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტორივი გარემოებები:

2002 წლის 2 აპრილს შპს „ჯ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „ა-მა“ აიღო ვალდებულება, ჩამოყალიბებინა და ემუშავებინა შპს „ჯ-ში“ დასაქმებული 100 პირისათვის კაფეტერია. კაფეტერიის მოწყობა უნდა განხორციელებულიყო შპს „ჯ-ის“ ტერიტორიაზე შპს „ა-ის“ ინვენტარითა და ხარჯებით. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ა-ის“ ვალდებულებას წარმოადგენდა დამკვეთის შენობის გარეთ, საკუთარ ტერიტორიაზე ცხელი საკვების მომ-

ზადება და კაფეტერიისათვის მიწოდება. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, შპს „ა-ს“ უნდა გადასცემოდა მის მიერ შპს „ჯ-ში“ განთავსებული ინვენტარი.

ამდენად, დადგენილ იქნა, რომ მხარეთა შორის არსებობდა არა ქირა-იჯარის ურთიერთობა, როგორც ამაზე უთითებდა შპს „ა-ი“, არამედ წერილობითი ხელშეკრულება მომსახურების შესახებ, რომლითაც განსაზღვრული იყო გაწეული მომსახურების ანაზღაურების სახე და ფორმა.

პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭა იმ გარემოებას, რომ შპს „ა-ის“ მიერ 2002 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯ-ის“ ტერიტორიაზე კაფეტერიის მოსაწყობად შეტანილი ინვენტარი ხელშეკრულების ვადის ამონტურვის შემდეგ შპს „ა-ს“ არ დაბრუნების. სასამართლო გადაწყვეტილებით შპს „ჯ-ს“, შპს „ა-ის“ სასარგებლოდ, დაეკისრა კვების ბლოკის დანადგარების, ინვენტარისა და მონტილობების დაბრუნება ან შესაბამისი საფასურის გადახდა. შესაბამისად, დადგენილ იქნა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ჯ-ი“ 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში უკანონოდ ფლობდა შპს „ა-ის“ კუთვნილ ინვენტარს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ გარემოებებს კასატორი სადაცოდ არ ხდის და წინამდებარე საქმის გადაწყვეტისას ისინი საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალის მქონეა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს „ჯ-ის“ მხრიდან 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში შპს „ა-ისათვის“ კუთვნილი ინვენტარით სარგებლობის უფლების წართმევით, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული შემოსავალი, რომელსაც ის მიიღებდა შპს „ჯ-ის“ მხრიდან ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ზიანის დასადასტურებლად შპს „ა-მა“ სასამართლოში წარადგინა სისილევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 8 აგვისტოს ექსპერტიზის დაკვენა.

მიყენებული ზიანის ოდენობის დაანგარიშების მიზნით ქსპერტიზის დასკვნის შეფასებისათვის, კერძოდ, მასში მოყვანილი რიცხობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის, ხანდაზმული და არახანდაზმული მოთხოვნების მოცულობის დადგენის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო მიზანშენილად მიიჩნია, რომ მიღებულიყო წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და დადგენილიყო ფაქტობრი-

ვი გარემოება ზიანის მიყენების შესახებ. რაც შეეხება ზიანის ოფენობას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული უნდა განსაზღვრულიყო წინასარი (შუალედური) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

კასატორის მთავარი პრეტენზია სასამართლოს მხრიდან ზიანის არსებობის არასწორად დადგენას ეხება. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს განმარტება მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტებისაგან, ამასთან, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 8 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაში თუ, 2006 წლის იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე შპს „ა-ის“ მფლობელობაში იქნებოდა დანადგარები, ინვენტარი და მოწყობილობები, საზოგადოება მათი ქირა-იჯარის სახით მიიღებდა ყოველთვიურად, 17 172,54 ლარს, საორიენტაციოდ სულ მიიღებდა 1 058 816,34 ლარის შემოსავალს“. საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზები) საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლის-თვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების (მტკიცების საგანი), ასევე მათი დამტკიცების ტვირთი (მტკიცების ტვირთი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე იყო ვალდებული მიეთითებინა და სარწმუნოდ დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმე-

დება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მეორე წინადადებას, რომლის თანახმად, „მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. საგულისხმოა უშუალოდ ტერმინი „მიუღებელი შემოსავალი“, სახელდობრ შინაარსი, რომელიც მის მიღმა დგას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად“ (იხ. სუსგ, საქმე №ას-218-210-2013, 10 მარტი, 2014წ.).

მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელ შემოსავლად არ შეიძლება განხილულ იქნეს კაფეტერიის ინვენტარისა და მოწყობილობების, როგორიცაა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სკამების, მაგიდის, უჟანგავი ჭურჭლის, ნაგვის კონტეინერისა და სხვა ნივთების იჯარა-გაქირავებით სავარაუდოდ მისაღები შემოსავალი იმ თვალსაზრისით, რომ მიუღებელი შემოსავალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. აქვე გასათვალისწინებელია ბუნებრივი ცვეთა, რაც კაფეტერიის ინვენტარისა და მოწყობილობების ინდივიდუალური მახასითებლებიდან გამომდინარე იყო მოსალოდნელი, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საუბარია ყოველდღიური მოხმარების საგნებზე, როგორიცაა ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ფოდნოსი, უჟანგავი ჭურჭელი, ნაგვის

კონტეინერი და სხვ. ასევე მხედველობაშია მისალები ამგვარი დანიშნულების ნივთების ვარგისიანობა მათი ხანგრძლივი გამოყენებისათვის და რაც მთავარია, გასათვალისწინებელია მათი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვების რეალური შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, ისეა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება ზიანის ფაქტის არსებობის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებებს იმ გარემობებთან დაკავშირებით, თუ რა მდგომარეობაში იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების დროისათვის – 2006 წლის იანვრისათვის ანუ, ზუსტად ოთხი წლის (2002 წლის 2 აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი) ინტენსიური სარგებლობის შედეგად კაფეტერიის სადავო მოწყობილობა, როგორიცაა ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ფონდნოსი, უჟანგავი ჭურჭელი, ნაგვის კონტეინერი და სხვ. მათი ინტენსიური მოხმარების შედეგად. არ არის დადგენილი სადავო ინვენტარის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მათი რეალური მდგომარეობის შესაბამისობა მათი ექსპლოატაციის კომერციულ მიზანთან, მათ ვარგისიანობასთან. აგრეთვე, არ არის დადგენილი თუ, რა ღირებულება ექნებოდა მათ ქსპლოატაციას მომდევნო ექვსი წლის (2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 ოქტომბერის დანართიდან) განმავლობაში.

კასატორის ძირითადი პრეტენზიაც იმას ემყარება, რომ „საქმეში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 8 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნაში, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო ზიანის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად, საუბარია სავარაუდო შემოსავალზე და არა ობიექტურ, რეალურ შემოსავალზე, ამასთან, დასკვნა გაცემულია ინვენტარის იჯარა ქირაზე, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია, რაც გამორიცხავს მიუღებელი შემოსავლის არსებობის ფაქტის დადასტურებას“. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ არგუმენტს და მიაჩნია, რომ ამ ნანილში, წარმოდგენილია დასაბუთებული შედავება (საკასაციო პრეტენზია).

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 8 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნით შეუძლებელია მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრა. კასატორის ამ მოსაზრებას ასაბუთებს როგორც ექსპერტის ნინაშე დასმული კითხვა, ისე მასში მოცე-

მული დასკვნის შინაარსი, კერძოდ, დასკვნაში არ არის მოყვანილი რომელიმე კონკრეტული ბენეფიციარი ან რომელიმე ხელშეკრულება, რომლის დადგების შესაძლებლობა ამ პერიოდის მანძილზე წაერთვა შპს „ა-ს“, როგორც მენარმეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა სახეები, რომელიც შეიძლება გამოყენოს სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, ამომნურავადაა განსაზღვრული სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით. არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით. აგრეთვე, არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს, ნინასწარ დადგენილი ძალა სასამართლოსათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების მნიშვნელობა წინასწარ არ არის განსაზღვრული და მისი ძალა და მნიშვნელობა სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული. მტკიცებულებათა შეფასების დროს მხარეებს უფლება აქვთ, უარყონ ან გააქარნებონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მტკიცებულებების სარწმუნობა. მათი უტყუარობის თუ სიყალბის შესახებ მოსაზრებები შეიძლება გამოთქვან არამარტო მხარეებმა, არამედ მესამე პირებმა, აგრეთვე, სპეციალისტებმა და ექსპერტებმა, თუ ისინი მონაწილეობენ პროცესში. საბოლოოდ კი წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო. ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისას, (იმდენად რამდენადაც იგი სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კომპეტენციას ეფუძნება) ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: გამოსაკვლევად მიწოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რადგან სწორედ კვლევითი ნაწილია ასახული საბოლოო დასკვნაში. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით უნდა შეეფასებინა საპელაციო სასამართლოს წარმოდგენილი დასკვნა. ვინაიდან მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზსს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნობის) შემოწმებას. აღნიშნული შეთოვდების გამოყენების შედეგად კი, პალატა მოცემულ დასკვნებს არ მიიჩნევდა საკმარის მტკიცებულებად მოსარჩელის მხრიდან ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისათვის. განსაზილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ კვლევა ჩატარდა შპს „ა-სა“ და შპს „ჯ-ს“ შორის 2002 წლის 2 აპრილის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, რომელზე დაყრდნობითაც ზიანის არსებობის ფაქტის მტკიცება უმართებულოა. შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებელია, იგი არ ქმნის ზიანის დადგენისათვის ურყევ რწმენას, მისი მეშვეობით არ დგინდებოდა მიუღებელი შემოსავლის არ-

სებობის ფაქტი, მით უფრო, მისი ოდენობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, რომ საქმის მასალებით არ არის სათანადოდ დასაბუთებული და სარწმუნოდ დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში შპს „ა-ი“ ნამდვილად მიღებდა შემოსავალს კაფეტერიის სადაცო ინვენტარითა და მოწყობილობებით სარგებლობის ხელშეშლის არარსებობის პირობებში. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ზიაზის ფაქტთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე¹ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩინორებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში) შემავალი ფაქტი მიუღებელი შემოსავლის სახით, ამასთან, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა, რაც გამოიხატა მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებასა და მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს საპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სწორად უნდა გაანაწილოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მოქმედი მატერიალური ნორმები კრედიტო-

რის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას ზღუდავს გარკვეული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ მართალია კრედიტორი უფლებამოსლია კვლავაც მოითხოვოს მოვალისაგან შესრულება, თუმცა კრედიტორის მოთხოვნის შესრულება დამოკიდებულია მოვალის ნებაზე, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით ანიჭებს მოვალეს შესრულებაზე უარის თქმის უფლებას. დრო, რომლის განმავლობაში კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს მისი სასარგელო მოქმედების შესრულება წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული უფლებასთან. ამ ვადის გასვლა სპოს უფლების იძულებით განხორციელების მატერიალურ და საპროცესო სამართლებრივ შესაძლებლობას (სკის 128-ე მუხ.).

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ აღიძრა 2012 წლის 12 ნოემბერს, ხოლო ხელშეკრულების თანახმად სადაცო ინვენტარი უნდა დაბრუნებულიყო 2005 წლის 31 დეკემბერს ანუ, მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს მოსარჩელე 2006 წლის 1 იანვრიდანაა მოთხოვნილი. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლოს ზიანის მიყენების ფაქტთან ერთობლიობაში უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სანდაზმულობის საკითხიც, რამეთუ მას მოცემული დავის საბოლოო გადაწყვეტისათვის, კერძოდ, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის გათვალისწინებით, რომელსაც მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება წარმოადგენს, აქეს განმსაზღვრელი მნიშვნელობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საგალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩი-

ნება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასამართლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები - წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებისას. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განხილვის ამ ეტაპზე მხარეები სახელმწიფო ბაჟს არ გადაიხდიან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მთკიცების ტვირთი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-929-891-2014

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერისვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ხ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე, ო. მ-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, კერძოდ, მოპასუხისაგან მოითხოვა 10 000 ლარის დაბრუნება.

სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია, რომ მოსარჩელე 1999 წლიდან მუშაობდა ქ. ზესტაფონში, ჭ-ას ქ. №26-ში მდებარე ავტონანილების მაღაზიაში, რომელიც ეკუთვნოდა მოპასუხე ო. მ-ს. მოპასუხე ვაჭრობდა არამარტო ავტონანილებით, არამედ ავტომანქანებითაც. 2009 წლის თებერვალში მოპასუხეს ფინანსური პრობლემები შეექმნა ავტომანქანების შესყიდვასთან დაკავშირებით და მოსარჩელისაგან ისესხა 11600 ლარი და 1000 აშშ დოლარი, რაზედაც მოპასუხემ შეადგინა ხელწერილი. მოგვიანებით, მოპასუხემ დამატებით ისესხა 150 ლარი. ნასესხები თანხა მოპასუხეს უნდა დაუბრუნებინა 2010 წლის 30 დეკემბრისათვის. მოსარჩელემ განმარტა, რომ 1000 აშშ დოლარი მოპასუხემ მალევე დაუბრუნა. 2009 წლის დეკემბერში კი, მოპასუხის ჯანმრთელობა გაუარესდა ინსულტის გამო. დათქმულ დროს მოპასუხემ თავისი შვილის – რ. მ-ის მეშვეობით დაუბრუნა ა. ხ-ს 1750 ლარი და გადასახდელად დარჩა 10 000 ლარი, რის დაფარვასაც შეპპირდა 2011 წლის ივნისი-ივლისის თვეში. მოპასუხეს აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და უარყო მოსარჩელესთან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა. მოსარჩელის მიერ ნარ-

მოდგენილ დოკუმენტებთან დაკავშირებით კი, განმარტა, რომ მუყაოს ქაღალდზე დაწერილი სიტყვები – „ა-ის 11600 ლარი და 1000 დოლარი“ ნამდვილად ო. მ-ის ხელნაწერი იყო, ასევე ფურცელზე დაწერილი – „დარჩა 10 000 ლარი“ ო. მ-ის ვაჟიშვილის – რ. მ-ის დაწერილი იყო, მაგრამ აღნიშნული არ მიუთითებდა მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობაზე. ა. ხ-ე, რომელიც მუშაობდა ო. მ-ის მაღაზიაში იყო არამარტო გამყიდველი, არამედ ასრულებდა ბუღალტრის მოვალეობასაც. შესაბამისად იგი აგვარებდა ფინანსურ საკითხებს, მას ებარა ნავაჭრი თანხაც, ხოლო ო. მ-ე აკეთებდა ჩანაწერებს შემოსული თანხების შესახებ. ა. ხ-ე მინდობილობის საფუძველზე იყო ო. მ-ის ნარმომადგენელი საგადასახადო და საბანკო ორგანოებში, მას უფლება პერნდა, შეეტანა ფული ი. მ-ის სახელით, შეევსო დეკლარაციები. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული ჩანაწერები შეეხებოდა არა სასესხო ურთიერთობას, არამედ იმ ფულად ურთიერთობებს, რაც მაღაზიაში მათ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. მოპასუხემ ასევე უარყო მისი ფინანსური პრობლემების შესახებ სარჩელში მითითებული გარემოება და აღნიშნა, რომ ა. ხ-ისაგან თანხა არასოდეს უსესხებია. პირიქით, იგი ყოველთვის ეხმარებოდა ა. ხ-ს, რომელსაც ფინანსურად უჭირდა და რომლის ხელფასიც მაღაზიაში შეადგენდა 100-150 ლარს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ხ-ის სარჩელი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის 10 000 ლარის დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ა. ხ-მ, რომელმაც მოითხოვა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ა. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ო. მ-ს ა. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას:

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ საქმის მასალებში განთავსებული ხელწერილი „დარჩა 10 000 ლარი“ ხელმოწერილი და შედგე-

ნილია ო. მ-ის შვილის – რ. მ-ის მიერ. ამ ჩანაწერის გაგრძელებაზე არსებული ჩანაწერი – „მომიტანა რ-იმ 1750 ლ. და დარჩა 10 000 ლარი 2010 წ. 30 დეკემბერი“ ა. ხ-ს ეკუთვნის. მუყაოს ქალალდზე გაკეთებული ჩანაწერი კი, – „ა-ის 11 600 ლარი“ ეკუთვნის მოპასუხე ა. მ-ს. მითითებული ჩანაწერების ავთენტურობა მხარეებს სადაცოდ არ გაუხდიათ.

დადგენილია, რომ ა. ხ-ე 2010 წლის ბოლომდე მუშაობდა ო. მ-ის მაღაზიაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სტატუსით დაკითხულ პირთა ჩვენებებზე, რომლის შინაარსით ირკვეოდა შემდეგი:

„ა-ი მისი მოვალე იყო, რისთვისაც დროგამოშვებით აკითხავდა მაღაზიაში. ერთხელ ა-იმ იგი მაღაზიაში დაიბარა და უთხრა, რომ მოვიდოდა მისი მოვალე, რომელიც ფულს მოუტანდა, რომლითაც იგი გ. ხ-ს გაისტუმრებდა. მართლაც, იგი შეესწრო რ-ის მიერ ა-ისათვის ფულის გადაცემას – „დავინახე, რომ რ-იმ ა-ის რაღაც თანხა გადასცა, ხელნერილიც გააკეთეს ამაზე. რის წასვლის შემდეგ ა-იმ მას (მოწმეს) უთხრა, რასაც ველოდი იმდენა არ მომცესო. თან ჩანაწერიც აჩვენა, „10 000 ლარი ერგება ა-ს“; „2013 წ. დეკემბერში, ა-ის ვეტაფთიაქში ო. მ-ის შვილი, რ. მ-ე შემოვიდა. იქვე იყო ა-ის ბიძა, რომელმაც რ-ის უთხრა თანხაზე რას შვებითო, რ-იმ უპასუხა, ვიცი, რომ მამაჩემს გასასტუმრებელი აქვს, მაგრამ არ ვიცი რას იზამსო, მე არ მაქვს საშუალება და რა ვწნაო, თუ მამაჩემი რამეს გადმომიფორმებს, კი ბატონო, მოგცემთა“. „

მოწმე ი. ბ-ის ჩვენებით, იგი ესწრებოდა ა-ის საუბრებს რ. მ-სთან, სადაც რ. ადასტურებდა, რომ მამამისა ფული მისაცემი ჰქონდა ა-ისათვის, ხშირად შესწრებია ამგვარ საუბარს ტელეფონზე, როცა ა-ი ფულს ითხოვდა.

მოწმე ბ-ის ჩვენებით, იგი ესწრებოდა ა. ხ-ის მიერ თანხის გადაცემას ო. მ-ისათვის.

მოწმე შ-მ დაადასტურა, რომ ა. ხ-ე ნერვიულობდა, რადგან ო. მ-ს მისი ვალი ჰქონდა, კერძოდ, 11 750 ლარიდან დარჩენილი ჰქონდა 10 000 ლარი.

მოწმე შ-ის ჩვენებით, 2009 წლის თებერვალში ო. მ-მ ა. ხ-ს გამოართვა ფული, ნაწილი დაუბრუნა. შემდგომში ხშირად ჰქონდათ შეხვედრები, ო. მ-სთან და მის შვილთან – რ. მ-სთან, რადროსაც ისინი ჰპირდებოდნენ ვალის გადახდას.

საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებისა და დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების ერთობლივი შეფასებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში წარ-

მოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები, კერძოდ, „დარჩა 10 000 ლარი, მოიტანა რ-მ 1750 ლარი“, „ა-ის 11 600 ლარი“ შეეხებოდა და ადასტურებდა მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობას და იგი არ იყო მაღაზიაში ჩატარებული საქონლის ყიდვა-გაყიდვის ამსახველი დოკუმენტი, მით უფრო, რომ 2011 წლი-დან ა. ხ-ე აღარ მუშაობდა ო. მ-ის მაღაზიაში (იგი ამ დროიდან დამოუკიდებელ ინდივიდუალურ მენარმედ იყო რეგისტრირებული) და 2011 წლს იგი ვერც აღწერას ჩატარებდა და ვერც რამე სახის ანგარიშს ჩატარებდა ო. მ-ს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექ-სის 624-ე მუხლზე და დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინ-სტანციის სასამართლოს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ეს ჩა-ნაწერები არ იძლეოდნენ სრულ ინფორმაციას, თუ როდის, რა ვადით, ვინ ვის ასესხა თანხა.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობდა მხარეთა შორის ზეპირი ფორმით და-დებული სესხის ხელშეკრულება, რაც თავისითავად გამორიცხავდა ისეთი სრულყოფილი წერილობითი დოკუმენტის (სესხის ხელშეკრულების) არსებობას, რომელიც ნათელი და გასაგები იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში, ცხადია ფორმაც გარიგებისა იქ-ნებოდა არა ზეპირი, არამედ წერილობითი და სადაცოც არაუერი იქნებოდა, მაგრამ იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ კერძო სამართლის სუბიექტები სასესხო ურთიერთობისას ხშირად მიმართავენ ზეპირ ფორმას, კანონმდებელი ასეთი გარიგების დროს მოწმის ჩვენებას დასაშვებ, მაგრამ არა საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს და აკეთებს დათქმას იმის თაობაზე, რომ ზეპირი გარიგების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება და-დასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საკანონმდებლო დათქმა თავისითავად ნიშნავდა, რომ მოწმის ჩვენების გარდა, გარიგების ნამდვილობისა და სარწმუნობისათვის წერილობითი მტკიცებულებაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (თუნდაც სესხის ხელშეკრულებისათვის არასაკმარისი რეკვიზიტებით), რომელიც მტკიცებულებათა ერთობლივი შეჯამებით სასამართლოს ჩამოუყალიბებდა რწმენას სესხის არსებობის თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები, რომლის ხელმოწერასაც არ უარყოფდა მოპასუხე ო. მ-ე აგეთვე, მისი შვილი, მოწმის სახით დაკითხული რ. მ-ე, მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლიობაში იძლეოდნენ საფუძველს დასკვნისათვის, რომ მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა და ამჟამად ო. მ-ს, ამ ურთიერთობიდან გამომდინა-

რე, გადასახდელი ჰქონდა 10 000 ლარი.

მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებროვი შეფასების მიზნით საპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლით, 361-ე მუხლის მეორე ნაწილით, 319-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 623-ე მუხლით და ა. ხ-ის სარჩელი ო. მ-ისათვის სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია.

საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ო. მ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ა. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა სადაცოდ გახადა საქმეში წარმოდგენილი ო. მ-ის ხელნაწერის „ა-ის 11600 ლარი და 1000 ლ.“ სასესხო ურთიერთობის დამადასტურებელ მტკიცებულებად შეფასება, ვინაიდან მისი მოსაზრებით, მითითებული ჩანაწერით არ ირკვეოდა თუ ვინ ვის გადასაცა თანხა, რისთვის გადასაცა იგი, როდის გადასცა და რა დანიშნულებით გადასცა.

კასატორმა უარყო მასსა და ა. ხ-ს შროის სასესხო ვალდებულების არსებობა და განმარტა, რომ მოსარჩელე - ა.ხ-ე მასთან მუშაობდა მაღაზიაში, რომელიც ერთდროულად ასრულებდა გამყიდველისა და ბუღალტერის ფუნქციებს. შესაბამისად, ყველა ფინანსურ საკითხებს იგი აგვარებდა. მას ებარა ნავაჭრი თანხაც, ხოლო ო. მ-ე აკეთებდა ჩანაწერებს შემოსული თანხების შესახებ. ა. ხ-ე მინდობილობის საფუძველზე იყო ო. მ-ის წარმომადგენელი საგადასახადო და საბანკო ორგანოებში, მას უფლება ჰქონდა, შეეტანა ფული ო. მ-ის სახელით, შეევსო დეკლარაციები. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული ჩანაწერები შეეხებოდა არა სასესხო ურთიერთობას, არამედ იმ ფულად ურთიერთობებს, რაც მაღაზიაში მათ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. კასატორი განმარტავს, რომ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში თავად ა. ხ-მ წარადგინა ინფორმაცია ო. მ-ის 2008 წლის შემოსავლის – 40 000 ლარის შესახებ და ო. მ-ის მიერ ნაჩუქარი წიგნი. კასატორის ოჯახის წევრებმა დაადასტურეს, რომ ო. მ-ე ხშირად ეხმარებოდა მოწინააღმდეგე მხარეს, რომლის ხელფასი 100-150 ლარს შეადგენდა.

კასატორი განმარტავს, რომ 2009 წლის მაისიდან ო. მ-ე გახდა ავად და ვეღარ შეძლო მაღაზიაში მუშაობა, რის გამოც მაღაზიას ძირითად ა. ხ-ე მართავდა. მაღაზიაში მიდიოდა ო. მ-ის შვილი – რ. მ-ე. სადაც სესხის შესახებ რ. მ-ისათვის ა. ხ-ს არ უთქვამს და არც კასატორს ვალის არსებობა ოჯახის წევრების-

თვის არ უცნობებია. 2011 წლის დასაწყისში რ. მ-მ გადაწყვიტა მაღაზის გაქირავება, აღწერა მაღაზიაში არსებული საქონელი ფურცელზე მინაწერით დააფიქსირა, რომ ამოსაღებად „დარჩა 10 000 ლარი“. შესაბამისად, რ. მ-ე არ უარყოფს 2011 წლის დასაწყისში სადაც ჩანაწერის შედგენას. რ. მ-მ მოსთხოვა ა. ხ-ს მაღაზის დატოვება, რამაც მოსარჩელე გაანაწყინა. მან ისარგებლა კასატორის ავადმყოფობით და გამოიყენა ჩანაწერი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სასესხო ვალდებულების არსებობასთან.

კასატორის მოსაზრებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან არ გამომდინარეობს სასაპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ა. ხ-ე 2010 წლის ბოლომდე მუშაობდა მაღაზიაში. რ. მ-მ პირველი ინსტანციის სასამართლოში განმარტა, რომ 2011 წლის დასაწყისში გადაწყვიტა მაღაზის გაქირავება, აღწერა მაღაზია, თვითონ გააკეთა ჩანაწერი და მოსთხოვა ა. ხ-ს მაღაზიდან წასვლა. ა. ხ-ე განაწყინდა, არ სურდა წასვლა, მაგრამ 2011 წლის დასაწყისში მაინც დატოვა მაღაზია და თან წაიღო მაღაზიაში არსებული ჩანაწერები თანხებთან დაკავშირებით, რაც გამოიყენა ო. მ-ის წინააღმდეგ.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ შეაფასა მხოლოდ საქმის განხილვის შედეგით პირდაპირ დაინტერესებული პირების ა. ხ-ის შეილის – რ. შ-ისა და მეულლის – ბ. შ-ის ჩვენებები. ასევე, მოწმე ო. ბ-ის განმარტება, რომ მან თავად ა. ხ-ისაგან შეიტყო კასატორის მიმართ ვალის არსებობის შესახებ. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ სასაპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკავშირებაზე უარის თქმის ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ო. მ-ის საკასაციო საჩივრარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 20 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივრარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასა-

ციონ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე ა. ხ-ე 1999 წლიდან 2010 წლის ბოლომდე მუშაობდა ქ. ზესტაფონში, ჭ-ას ქ. №26-ში მდებარე ავტონანილების მაღაზიაში, რომელიც ეკუთვნოდა მოპასუხე ო. მ-ს.

საქმის მასალებში წარმოდგენილია შემდეგი შინაარსის ფურცელზე გაკეთებული ჩანაწერი: „დარჩა 10 000 ლარი – რ. მ-ე“ (ხელმოწერა); „მომიტანა რ-იმ 1750 ლ. და დარჩა 10 000 ლარი. 2010 წლის 30.12. ა. ხ-ე“ (ხელმოწერა).

ასევე, საქმეში წარმოდგენილია მუყაოს ქაღალდზე გაკეთებული შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „ა-ის – 11 600 – ლარი“.

ზემოთმითითებული ჩანაწერის სისწორე და ერთ ერთ მათგანზე მოპასუხე ო. მ-ის მიერ განხორციელებული ხელმოწერის ნამდვილობა მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

დადგენილია, რომ აღნიშნულ ჩანაწერებში მითითებული რ. მ-ე არის მოპასუხე ო. მ-ის ვაჟიშვილი.

კასატორს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის საგალდებულო ძალა გააჩნიათ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრქტული აღნერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამარ-

თლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

ო. მ-ის კასაციის საფუძვლები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ჩანაწერები და პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სტატუსით დაკითხული პირების ჩვენებები, რომელმაც მოცემულ საქმეზე გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

კასატორის ზემოაღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტეზია წარმოადგინა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადაც ორ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომელიც მოსარჩელის განმარტებით გამომდინარების სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან, შეფასებას საჭიროებს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის (სკ-ის 623-ე მუხ.) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან).

ამ თვალსაზრისით, ყურადღებაა მისაქცევი იმ გარემოებაზე, რომ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე ა. ხ-ის მოთხოვნა ეფუძნება სესხის ზეპირ ხელშეკრულებას, რომლის არსებობას მოჰასუხე სადაცოდ ხდის. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად (სსკ-ის მე-4 მუხ.) კი, სადაც ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთოს თავიანთი მოთხოვნები და მოსაზრებები. მათვე ეკისრებათ სადაცოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთიც (სსკ-ის 102-ე მუხ.). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება „მტკიცებულებათა დასაშვებობას“ ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატის მითითებით კანონის ეს მოთხოვნა განპირობებულია მხარეთა შორის აღნიშნავს და მომართება მისამართობის მიზანის სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის (სსკ-ის 623-ე მუხ.) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან).

რის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის შინაარსით, მისი ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით.

მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებლი ნორმის, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანარქის, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ სადავოდ ქცეული სასესხო ურთიერთობის დადგენისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი მტკიცებულებების სახე. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელის მიერ ნარმოდგენილი ნებისმიერ დოკუმენტი თუ, მოწმის სტატუსით დაკითხულ პირთა ნებისმიერი შინაარსის ჩვენება დაედოს საფუძვლად საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებას. ყველ მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე როგორი გარემოების დასტურება ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოპასუხესთან სასესხო ურთიერთობის შესახებ სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მიუთითა მოწმეთა ჩვენებებსა და საქმეში წარმოდგენილ ჩანაწერებზე, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და საფუძვლად ვერ დაუდებს ა. ხ-სა და ო. მ-ს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადასტურებას.

სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურსამართლებრივ ნორმის შინაარსზე, ამ ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაზე. სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე.

საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სასესხო ვალდებულების თავისებურებებზე:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახ-

მად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გა-დასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

მოსარჩელის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში მოქმედებს პრეზუმაცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება (სესხის დაბრუნება) შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმაცია მსესხებლის (მოპასუხეს) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმაციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მსესხებელს (მოპასუხეს).

ზეპირი ფორმით სასესხო ვალდებულების ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. მოწმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებდნენ სადავო ფაქტს.

ამდენად, სასესხო ვალდებულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად. ეს თავისებურება განპირობებულია მატერიალურ-სამართლებრივი წესით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება, გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება, დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

განსახილველი დანაწესი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ითვალისწინებს როგორც ზეპირ, ასევე, წერილობით ფორმის დაცვას, რომლის არჩევა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მითითებული მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, ყურადღება გამახვილებულია იმ რისკებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ზეპირი სესხის ხელშეკრულებას, ასევე, ამ რისკებთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის გადანაწილებას.

როგორც აღინიშნა, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი – მოპასუხეს (მსესხებელს). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მე-2 წინადადე-

ბაში ზუსტად ამ მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგანში შემავალი სასესხო ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურების თავისებურებაზეა გამახვილებული ყურადღება.

განსახილველი დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი სამუალებების არჩევანში.

ამდენად, სასესხო ურთიერთობებიდან გამომდინარე, უფლება-ვალდებულებები (და არა მხოლოდ გამსესხებლის უფლება) მათ შორის, სესხის შესრულების ვალდებულება, არ შეიძლება, დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, თუ ის ზეპირი ფორმითაა დადებული.

განსახილველი ნორმის მიზანია სასესხო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ამდენად, სასესხო ურთიერთობებში კანონი „არ ენდობა“ მხილოდ მოწმეთა ჩვენებებს (ამ შემთხვევაში მოწმის ჩვენების, როგორც არაპირდაპირი (ინდიციური) მტკიცებულების შეფასება, ემპირიული წესების საფუძველზე ხორციელდება სხვა მტკიცებულებთან შეფასების გზით). აქედან გამომდინარე, კანონი მიუთითებს არა მხოლოდ გამსესხებლის უფლებაზე, არამედ „ხელშეკრულების ნადვილობაზე“, რაც მოიცავს როგორც გამსესხებლის უფლებას, ასევე, მსესხებლის ვალდებულებას (ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე გამსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების საგნის მსესხებელზე საკუთრებაში გადაცემის და შემდეგ მისი მიღების ფაქტის დაგენა ემორჩილება ერთსა და იმავე წესს.).

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ ჩანაწერებზე, კერძოდ, ერთ ფურცლად წარმოდგენილ აღნიშვნაზე იმის შესახებ, რომ: „დარჩა 10 000 ლარი – რ.მ-ე“ (ხელმოწერა); „მომიტანა რ-იდ 1750 ლ. და დარჩა 10 0000 ლარი. 2010 წლის 30.12. ა.ხ-ე“ (ხელმოწერა) და მუყაოს ქაღალდზე გაკეთებული შემდეგი შინაარსის მინაწერზე: „ა-ის – 11 600 – ლარი“ და აღნიშნავს, რომ ამ ჩანაწერების შინაარსიდან არ ირკვევა, რომ კრედიტორმა მოვალეს გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გადასცა თანხა სესხის სახით (თანხის გადაცემის ფაქტი); არც ის ირკვევა, რომ მითითებული თანხა წარმოადგენდა სესხს (გადაცემის დანიშნულება), არ დგინდება რომელი მათგანია მოვალე და რომელი კრედიტორი (მხარეთა იდენტიფიცირება/ხელშემკვრელ მხარეთა სტატუსი); გაურკვევლია მითითებული თანხის გადაცემის ან/და დაბრუნების სავარაუდო თარიღი (სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობისა და

დასრულების დრო). კონკრეტულ შემთხვევაში, მითითებული არც-ერთი კომპონენტი, რომელიც რაიმე საფუძვლიანი და არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების საშუალებას მისცემდა სასამართლოს სახეზე არ არის. შესაბამისად, ამ ჩანაწერებზე დაყრდნობით იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ მხარეებს შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა 10 000 ლარზე დაუსაბუთებელია.

ზემოთმითითებულ ჩანაწერების შესახებ მსჯელობისას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ „ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულება, რაც თავისთავად გამორიცხავს სრულყოფილი წერილობითი დოკუმენტის (სესხის ხელშეკრულების) არსებობას, რომლის არსებობის შემთხვევაში სადაც არაფერი იქნებოდა“ და განმარტავს, რომ მართალია კანონმდებელმა დაუშვა სასესხო ურთიერთობის თაობაზე ზეპირი შეთანხმების გაფორმება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სადავობისას ნებისმიერი ჩანაწერი მიიღინიოთ სადაცო ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებად. აღნიშნული ენინააღმდეგება არამარტო კანონმდებლის ნებას, არამედ ასევე მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებსაც. ამ მხრივ, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო შედავება.

დადგენილია, რომ მოცემულ საქმეზე ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მოწმის სტატუსით დაიკითხება: რ. შ-ი, ნ. შ-ე, ბ. შ-ი, გ. ხ-ე, რ. მ-ე, ი. ბ-ე და რ. წ-ი.

მოწმეების: ნ. შ-ის, რ. შ-ის, რ. წ-ის, ი. ბ-ისა და გ. ხ-ის ჩვენებების მიხედვით ირკვევა, რომ ა. ხ-მ მათთან კერძო საუბარში დააფიქსირა, რომ ო. მ-ისათვის ნასესხები ჰქონდა გარკვეული თანხა და ო. მ-ს დარჩენილი ჰქონდა ნასესხები თანხიდან 10 000 ლარი.

მოწმეების: გ. ხ-ისა და რ. შ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ ისინი ა. ხ-ის სამსახურში შეხვდნენ ო. მ-ის შვილს – რ. მ-ს, რომელიც ა. ხ-ს დაპირდა მამის – ო. მ-ის ვალის გადახდას.

მოწმე ბ. შ-მა დაადასტურა, რომ იგი ესწრებოდა ო. მ-ისათვის თანხის გადაცემას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათ-

ვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარა-სებობის შესახებ.

მტკიცებულებათა სახეები, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, ამომწურავადაა განსაზღვრული სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით. არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით. აგრეთვე, არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს, წინასწარ დადგენილი ძალა სასამართლოსათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების მნიშვნელობა წინასწარ არ არის განსაზღვრული და მისი ძალა და მნიშვნელობა სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული. მტკიცებულებათა შეფასების დროს მხარეებს უფლება აქვთ, უარყონ ან გააქარწყოლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მტკიცებულებების სარწმუნოობა. მათი უტყუარობის თუ სიყალბის შესახებ მოსაზრებები შეიძლება გამოთქვან არამარტო მხარეებმა, არამედ მესამე პირებმა, აგრეთვე, სპეციალისტებმა და ექსპერტებმა, თუ ისანი მონაწილეობენ პროცესში. საბოლოოდ კი წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოწმის ჩვენება ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მტკიცებულებაა სამოქალაქო პროცესში. მოწმის მეშვეობით დასტურდება მრავალი ფაქტი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტა. მოწმეს წაეყვნება შემდეგი მოთხოვნები: მოწმედ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც შესწევს უნარი, სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება და რომელიც არ არის იურიდიულად დაინტერესებული საქმის შედეგით. აქ მხედველობაშია ისეთი ინტერესი, რომელიც გააჩნია მოსაზრებელს და მოპასუხეს, რომლებისთვისაც საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეუძლია გარკვეული სარგებლობის მოტანა. ამრიგად, მოწმის ჩვენება, ესაა სასამართლოში მოწმედ გამოძახებული და კანონით განსაზღვრული წესით დაკითხულ იურიდიულად დაუინტერესებელი პირის ცნობები საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით. არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს, აგრეთვე, წინასწარ დადგენილი ძალა სასამართლოსათვის.

ამასთან, იმის მიუხედავად, რომ მტკიცებულებებს სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, ეს იმას არ ნიშნავს,

რომ საქმეში მონაწილე პირებს არ შეუძლიათ გამოთქვან თავი-ანთი მოსაზრებები მათ შესახებ. სამართალნარმოება მიმდინა-რეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე და აქედან გამომდინა-რე, მხარეებს უფლება აქვთ უარყონ ან გააქარნყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწმეთა ჩვენებების შეფასებას, საკასაციო პალატა ვერ გაი-ზიარებს და განმარტავს, რომ კანონის დანაწესი, რომელიც სა-სამართლოს ანიჭებს წარმოდგენილი მტკიცებულებების შინა-განი რწმენით შეფასების უფლებამოსილებას, არ გულისხმობს, რომ მათი შეფასებისას სასამართლოს შეეძლოს გააკეთოს და-უსაბუთებელი დასკვნები საქმის გარემობების შესახებ. სასა-მართლო ვალდებულია თავისი გადაწყვეტილებაში მიუთითოს მოსაზრებაზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები – არასარწმუნოდ (სსკ-ის 249-ე მუხ-ლის მე-4 ნაწ.).

მოცემულ საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს საკასა-ციო პალატა ვერ მიიჩნევს სადაც სამართალურთიერთობის არ-სებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად მათი არასარწმუ-ნობის გამო, იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთი მოწმის ჩვე-ნება თავისი შინაარსით არათანმიმდევრული და უზუსტოა, სა-ხელდობრ, ნ.შ-ის, რ.შ-ის, რ.ნ-ის, ი.ბ-ისა და გ.ხ-ის ჩვენებებით ირკვევა, რომ ისინი არ შესწრებიან ა. ხ-ის მიერ ო. მ-ისათვის თანხის სესხად გადაცემის ფაქტს, არამედ მხარეებს შორის სა-სესხო ურთიერთობის არსებობის შესახებ მათ შეიტყვეს თა-ვად ა. ხ-ისაგან. ამდენად, ინფორმაციის წყარო, რომელზე დაყ-რდნობითაც მოწმები მიუთითებენ სადაც სამართალურთი-ერთობის დასადასტურებლად, საკასაციო პალატის შეფასებით, არასარწმუნოა და იგი სხვა არაფერია თუ არა მოსარჩელის ვერ-ბალური ახსნა-განმარტება.

ბ. შ-ის ჩვენებას, რომელიც წარმოადგენს მოსარჩელე – ა. ხ-ის მეუღლეს და ამდენად, საქმის განხილვის მატერიალურ-სა-მართლებრივი შედეგით პირდაპირ დაინტერესებულ პირს, სა-კასაციო პალატა ასევე არასარწმუნოდ მიიჩნევს. იგივე უნდა ითქვას რ. შ-ის ჩვენებაზეც, რომელიც ა. ხ-ის შვილია და დაინ-ტერესებულია საქმის განხილვის შედეგით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შე-ფასება მისცა საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩი-

ნება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავდა მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის მაკვალიფიცირებელ კომპონენტებს (ნორმის შემადგენლობის ნიშნებს), ვინაიდან სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი – მოპასუხეს (მსესხებელს). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მე-2 ნინადადებაში ზუსტად ამ მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგანში შემავალი სასესხო ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურების თავისებურებაზეა გამახვილებული ყურადღება, რომლის დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი სამუალებების არჩევანში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ა. ხ-მ ვერ დაადასტურა მასსა და ო. მ-ს შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ხ-ის სარჩელი თანხის დაკისრების შესახებ დაუსაბუთებელია, რაც ო. მ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავი-

სუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპატარიაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ო. მ-ე, რომლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, სახელმწიფო ბაჟის თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს ა. ხ-მ, რომლის ოდენობა შეადგენს 500 ლარს (10000 ლარის 5%).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ო. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმითა პალატის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ა. ხ-ს (პირადი ნომერი:) დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 500 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზაქონი, რომელიც არ საჭიროება მოვიტებას

განხილვა

№ას-74-68-2015

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების არარსებობის აღიარება, თან-
ხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ქ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „პ-ის“ მიმართ და
მოითხოვა შემდეგი:

აღიარებულ იქნეს გ. ქ-ის ძირითადი ფულადი ვალდებულე-
ბის 504,82 ლარის არარსებობა სს „პ-ის“ წინაშე 2009 წელს მხა-
რეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულე-
ბიდან გამომდინარე;

აღიარებულ იქნეს გ. ქ-ის ძირითადი ფულადი ვალდებულე-
ბის შეუსრულებლობით გამოწვეული, პროგრესირებადი დენა-
დი პროცენტის, ჯარიმების, მომსახურების თვიური საკომისი-
ოს ვალდებულების არარსებობა სს „პ-ის“ წინაშე 2009 წელს მხა-
რეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულე-
ბიდან გამომდინარე მათი დარიცხვიდან, სასამართლო გადაწ-
ყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქმის სასამართლო-
ში განხილვის მანძილზე დარიცხულის გათვალისწინებით;

მიუღებელი შემოსავლის – 1 ლარის მოპასუხისათვის დაკის-
რება;

პროცესის ხარჯის: სახელმწიფო ბაჟის გადახდისას დამატე-
ბით საკომისიოს სახით გადახდილი 1 ლარის, წარმომადგენლო-
ბითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სა-
ნოტარო წესით გაფორმებისას განეული ხარჯის – 12 ლარის,
წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯის – 1 ლარის,
საფოსტო მომსახურებაზე განეული ხარჯის – 5,40 ლარის, წი-
ნასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის მოპასუხი-
სათვის;

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცე-
ვა.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღიარებულ იქნა გ. ქ-ის ძირითადი ფულადი ვალდებულების – 504,82 ლარის არარსებობა სს „პ-ის“ წინაშე 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე; აღიარებულ იქნა გ. ქ-ის ძირითადი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული, პროგრესირებადი დენადი პროცენტის, ჯარიმების, მომსახურების თვიური საკომისიოს ვალდებულების არარსებობა სს „პ-ის“ წინაშე 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათი დარიცხვიდან, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქმის სასამართლოში განხილვის მანძილზე დარიცხულის გათვალისწინებით; გ. ქ-ის მოთხოვნა სს „პ-ის“ მიმართ მიუღებელი შემოსავლის სახით 1 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; სს „პ-ს“ მოსარჩელე გ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება შემდეგი ოდენობით:

წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯი – 1 ლარი; საფოსტო მომსახურებაზე განეული ხარჯი – 5,40 ლარი; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით გაფორმებისას განეული ხარჯი – 12 ლარი; სახელმწიფო ბაჟის გადახდისას დამატებით გადახდილი საკომისიო მომსახურების ხარჯი – 1 ლარი;

სს „პ-ს“ გ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის ანაზღაურება; სს „პ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 49,99 ლარის ანაზღაურება, ხოლო გ. ქ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 0,01 ლარის ანაზღაურება;

მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მიუღებელი შემოსავლის – 1 ლარის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება; ძირითადი და თანმდევი საკრედიტო ვალდებულების ხანდაზმულად აღიარების, ასევე სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების შეცვლა; გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღ-

სასარულებლად მიქცევის ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, ასევე, მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 0,01 ლარის დაკისრების ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის ნაწილში დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში ამავე პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის, 374-ე მუხლის თანახმად, შეამონმა სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობები და განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით ნორმით დადგენილია, როგორც ის ზღვრული ოდენობა, რომელსაც ქონებრივ დავაში სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს, ასევე, ამ ღირებულების გამოთვლის წესი.

გ. ქ-ი სადავოდ ხდიდა მის სასარგებლოდ სს „პ-ისთვის“ მიუღებელი შემოსავლის სახით 1 ლარის დაკისრებაზე უარის თქმასა და მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 0,01 ლარის დაკისრებას, რაც არ აღემატებოდა ქონებრივ დავაში სააპელაციო საჩივრის ღირებულებისათვის დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

სასამართლოს განმარტებით, ქონებრივ დავებთან მიმართებით კანონმდებლომა დაადგინა, თუ რა კატეგორიის საქმის მიმართ დაიშვება სააპელაციო საჩივრის შეტანა. აღნიშნულ კრიტერიუმს წარმოადგენს დავის საგნის ღირებულება და დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარი იმ გადაწყვეტილების ან გადაწყვეტილების იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც მხარე სადავოდ ხდის და მოთხოვნის ოდენობა არ აღემატება 1000 ლარს, სააპელაციო საჩივრის შეტანა არ დაიშვება. კანონის აღნიშნული დანაწესი სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან გამოდინარეობს და შედარებით ნაკლები ღირებულების ქონებრივი დავის სწრაფად გადაწყვეტასა და დასრულებას ემსახურება, საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის მიმართ წარდგენი-

ლი სააპელაციო საჩივრის თაობაზე პალატამ დადგენილად ცნო, რომ მხარე მოითხოვდა არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გაუქმებას, არამედ მისი დასაბუთების შეცვლას იმ საფუძვლით, რომ სადავო ნაწილში გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება არასწორი იყო, არ ეფუძნებოდა შიდა სახელმწიფოებრივი საუკეთესო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას, გაანალიზება-შესწავლას, არაფერი იყო ნათქვამი განვითარებული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზე, არ იყო მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნებზე, განზოგადებულ პრეცენდენტულ სამართალზე, უარყოფილი იყო შედარებითი კვლევა, დასაბუთების ფარგლები ჩაკეტილი იყო შიდაეროვნულ სივრცეში. აპელანტის მოსაზრებით, თუნდაც დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნა მისი დასაბუთების გამო შესაძლებელია იყოს სააპელაციო პრეცენტის საგანი, სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციულობის თვისებიდან გამომდინარე, ვინაიდან თუნდაც სწორად, მაგრამ არასწორი შეფასებებით მიღებული გადაწყვეტილება მბოჭავი ხასიათისა სხვა სამოქალაქო საქმეზე წარმოებული დავის ფარგლებში იმავე მხარეთა მიმართ, როგორც ფაქტისა, რომელსაც ალარ ესაჭიროება დამტკიცება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანა შეუძლიათ კანონით ზუსტად განსაზღვრულ სუბიექტებს სათანადო საპროცესო ვადის დაცვით, თუმცა ნორმა არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის გასაჩივრება დასაშვებია თუ არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსსკ 264-ე მუხლი) და მატერიალური (სსსკ 266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩინა კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწ-

ყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები), შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადაცომისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გასაჩივრების თაობაზე, თუმცა ასეთი შეზღუდვის პირდაპირ მიუთითებლობა ნორმის ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული განმარტების წინაპირობას არ იძლევა.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებისა და კოდექსის ნორმათა ურთიერთშეჯერებითა და ერთობლიობაში განმარტებით დგინდება, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსსკ 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი).

ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელაბულ ინტერესებს, სასამარჩელო მოთხოვნის თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადაცოდ მიჩნეული უფლება მოდავს პირის სასარგებლოდა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად წარემართება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი).

სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითაა (82.2 მუხლი) რეგლამენტირებული. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა

სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს (სსსკ 249-ე მუხლი) და რომელიმე მათგანის სათანადოდ ან საერთოდ არარსებობა, ხშირ შემთხვევაში იწვევს მის გაუქმებას (სსსკ 393-ე, 394-ე მუხლები). გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში უნდა აისახოს სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმასაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი.

სააპელაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათლად დასტურდება, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის დამოუკიდებლად გასაჩივრების შესაძლებლობას კანონმდებლობა, მიუხედავად პირდაპირი მითითების არარსებობისა, არ ითვალისწინებს. ამ წესის სანინა-აღმდეგოდ, სააპელაციო საჩივრის დაშვების წინაპირობა ვერ გახდება ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, დადგრილ გარემოებას პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭება ამავე მხარეთა შორის სხვა დავის წარმოების შემთხვევაში.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩვარი შეიტანა გ.ქ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა, მოთხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ არ შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება მისი სარეზოლუციო ნაწილის გა-

რეშე, დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან, ერთი მხრივ, სააპელაციო პალატა თავად აღნიშნავს, რომ ამგვარ დანაწესს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ამასთანავე არასწორად განმარტავს, რომ მხარეს უფლება არ აქვს სააპელაციო საჩივარი წარადგინოს იმ ფაქტების მიმართ, რომელიც არასწორადა დადგენილი, აღნიშნულის სანინააღმდეგოდ, ევროპის მრავალი სასამართლო აღიარებს სამოტიცავიო ნაწილი გასაჩივრების შესაძლებლობას, რადგანაც ფაქტის სწორად დადგენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მხარე არ შეიძლება შეზღუდული იყოს მისი გასაჩივრების თვალსაზრისით. სასამართლო გადაწყვეტილების მბოჭავი ხასიათიდან გამდინარე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტს სხვა სასამართლო პროცესში ამავე მხარეებისათვის უდავო ძალა გააჩნიათ, არასწორად დადგენილი ფაქტი ახალი სარჩელის აღდერის საფუძველი ხდება და ამ გზით დაზარალებული შეიძლება იყოს მხოლოდ მხარე, ამგვარ მიდგომას სამართალდარღვეის პროფილაქტიკა შედეგად არ მოჰყვება.

სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი მისი შინაარსის მიმართ ადგენს მკაცრ მოთხოვნებს, ამასთანავე, საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გარანტირებულია პირის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რაც თავისთანად მოიაზრებს სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებულად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მხარეს, აღნენული ასევე გამომდინარეობს ამავე კოდექსის 249-ე მუხლის დისპოზიციიდანაც. რაც შეეხება სასამართლოს მიერ მოხმობილ უზენაესი სასამართლოს განმარტებას, ნინამდებარე საქმის მიმართ მას რაიმე შემხებლობა არ აქვს.

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1 000 ლარს, რადგანაც წინამდებარე დავაზე ბანკის მიმართ მოსარჩელის ფულადი ვალდებულების – 504,82 ლარის არარსებობის აღიარება არ წარმოადგენდა ერთადერთ მოთხოვნას, არამედ მხარე ასევე სადაცოდ ხდიდა 2009 წლიდან მოყოლებული ამ ვალდებულებაზე დარიცხულ პროგრესირებად დენად პროცენტს, ჯარიმებს, თვიურ საკომისიოს, რაც საქმის განხილვის დაწყების დროისათვის ჯამში 1 986,97 ლარს შეადგინდა. ამ ნაჩილში სააპელაციო სასამართლომ სწორად ვერ განსაზღვრა დავის საგნის ღირებულება, რასაც არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს განჩინება ემყარება სა-მართლის ნორმების არასწორ გაგება-განმარტებას, რაც ასევე კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია, კერძოდ, საა-პელაციო პალატამ სასამართლო აქტის გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნ-ქტის მოთხოვნა განჩინების დასაბუთების თაობაზე, გასაჩივ-რებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში მითითებული არ არის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, მოსაზრებე-ბი, რომლითაც სასამართლო ამ დასკვნებამდე მივიდა, ასევე კანონები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ, ალნიშ-ნულის გამო, გასაჩივრებულ განჩინებას არ აქვს ის დამარწმუ-ნებელი ეფექტი, რომელიც იურიდიულად დასაბუთებულ დო-კუმენტს უნდა გააჩნდეს და აღნიშნულის გამო, ენინაალმდე-გება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ამდენად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვა-ლისწინებული წინაპირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 11 თებერვლის განჩინებით გ. ქ-ის კერ-ძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და საქმის განხილ-ვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანა-ლიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გან-ჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩ-ნებს, რომ გ. ქ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარ-მოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინე-ბული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახ-მად კი, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასა-ციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სა-ფუძლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასა-მართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება და კერძო საჩივრის ავტო-რი სადავოდ არ ხდის, რომ გ. ქ-ის სასარჩელო მთხოვნას წარმო-

ადგენდა იმ ფაქტის აღიარება, რომ 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩევეს სს „პ-ის“ მიმართ არ ერიცხებოდა 504,82 ლარის ოდენობით დავალიანება (ძირითადი ვალდებულება), ასევე, ძირითადი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული, პროგრესირებადი დენადი პროცენტი, ჯარიმები, მომსახურების თვიური საკომისიოს ვალდებულები; მოსარჩევე მოითხოვდა მიუღებელი შემოსავლის – 1 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებას; ასევე პროცესის ხარჯების ანაზღაურებას (სახელმწიფო ბაჟის გადახდისას დამატებით საკომისიოს სახით გადახდილი 1 ლარი, ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით გაფორმებისას განეული ხარჯი – 12 ლარი, ნარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯი – 1 ლარი, საფოსტო მომსახურებაზე განეული ხარჯი – 5,40 ლარი, წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი) და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩევეს უარი ეთქვა მიუღებელი შემოსავლის სახით მოპასუხისათვის 1 ლარის დაკისრებაზე და ამ თანხს შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოსარჩელეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 0,01 ლარის გადახდა, ასევე არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე;

საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩვრისა და დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის თანახმად, გ.ქ-მა სრულად გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მათ შორის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში ითხოვა გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთების შეცვლა, ასევე მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ზიანის – მიუღებელი შემოსავლის, 1 ლარის დაკისრება, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა და საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილების იმ ნაწილშიც გაუქმება, რომლითაც მას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 0,01 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში სააპელაციო საჩივრის დაუდგინა ხარვეზი, მიუხედავად ამ საპროცესო დოკუმენტის გასაჩივრებისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატამ კერძო საჩივრი ამ მოთ-

ხოვნის ნაწილში განუხილველად დატოვა, შესაბამისად, იგი წინამდებარე განჩინების შეფასების საგანს აღარ წარმოადგენს (იხ. 2015 წლის 28 იანვრის განჩინება).

რაც შეეხება აპელანტის მიუღებელი შემოსავლის მოპასუხისათვის დაკისრებისა და ამ მოთხოვნის პროპორციულად სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 0,01 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის მოთხოვნას, სააპელაციო პალატამ ამ ნაწილში სააპელაციო საჩივარი განუხილველად იმ საფუძლით დატოვა, რომ საჩივრის ღირებულება არ აღემატებოდა კანონით გათვალისწინებულ ოდენობას – 1 000 ლარს, ხოლო მხარის სასარგებლოდ გამოტანილ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე აპელანტი იმ საფუძლით ეთქვა უარი, რომ არც მოქმედი კანონმდებლობა და არც სასამართლო პრაქტიკა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გასაჩვრების შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა.

წინამდებარე კერძო საჩივრის შესწავლით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარე გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს შემდეგი საფუძლებით:

ა) გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ქონებრივ ნაწილში დავის საგნის ღირებულება, რადგან სარჩელით მოთხოვნილი იყო, როგორც ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებიდან გამომდინარე დავალიანების – 504,82 ლარის არარსებობის აღიარება, ისე ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული დავალიანების არასებობა, რომელიც დენადი და პროგრესირებადია (პროცენტი, ჯარიმა, საკომისიო მომსახურება და სხვა);

ბ) სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი, რადგანაც სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტების გასაჩივრებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, ამასთანავე, არასწორად დადგენილ ფაქტებს გააჩნია პრეიუდიციული ძალა და სასამართლო განმარტებიდან გამომდინარე, ის შეიძლება მოგებული მხარის საწინააღმდეგოდ იქნას სხვა სასამართლო პროცესში გამოყენებული;

გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს დამაჯერებულ დასაბუთებას, სასამართლოს დასკვნებსა და მოსაზრებებს, ასევე კანონის ნორმებს, რომელთა შესწავლითაც მივიდა სასამართლო ამ გადაწყვეტილებამდე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩვრის ავტორის არგუმენტს, რომ სასამართლომ არასწორად განსაზღვრა დავის საგნის ღირებულება. ამ თვალსაზრისით პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სამართალწარმოება წარმოადგენს პირ-

ველი ინსტანციის წესით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შემოწმების სამართლებრივ შესაძლებლობას, რომელიც კანონით იმპერატიულად განსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული, შესაბამისად, მართლმსაჯულების ზემდგომი წესით განხილვისათვის კანონმდებლობა ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, თუმცა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და ის შეიძლება გარკვეულ, კანონისმიერ შეზღუდვას ეფუძნებოდეს. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა, როგორც პირველი, ისე ზემდგომი წესით საქმის განხილვისას ლეგიტიმურია, თუ ეს უარი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შეზღუდვას ემყარება და ასეთ დროს მხარის უფლება არ შეიძება დარღვეულად ჩაითვალოს.

სწორედ ამგვარი შეზღუდვის გამოხატულებაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმადაც სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ მხარე სააპელაციო წესით სადაცოდ ხდიდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც მისი მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის – 1 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სწორედ ამ მოთხოვნაზე უარის თქმის თანმდევი შედეგია სახელმწიფო ბაჟის 0,01 ლარის დაკისრება (სსსკ 53.1 მუხლი), ამდენად, ამ ნაწილში არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვების კანონისმიერი წინაპირობა.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებას და, შესაბამისად, განჩინების ამ ნაწილის გაუქმებას უკავშირებს არა მიუღებელი შემოსავლის ოდენობას, არამედ სხვა მოთხოვნის (გადაწყვეტილების დაკმაყოფილებული ნაწილის) ღირებულებას, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ამასთანავე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დადგენილია, რომ ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელის საგნის ღირებულება გადასახდელი თანხით განისაზღვრება, შესაბამისად, სააპელაციო პალა-

ტამ სწორად განსაზღვრა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება და მართებულად უთხრა უარი მხარეს ამ ნაწილში სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მიუღებელი შემოსავლის (1 ლარის) დაკისრების ნაწილში სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე მხარეს არსებითად სწორად უთხრა უარი, ამასთან, საკმარისად დაასაბუთა გადაწყვეტილება როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვასაზრისით, სააპელაციო სასამართლოს შეფასება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თაობაზე ანალოგიურია ამ ნორმის თაობაზე საკასაციო პალატის განმარტებისა (იხ. სუს ქანონი №ას-1525-1531-2011, 7 ნოემბერი, 2011 წელი).

საკასაციო სასამართლო, უსაფუძღლობის გამო, ვერ გაიზიარებს ასევე კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი და არასწორად მიიჩნია, რომ მხარეს, რომლის სასარგებლოდაცაა გამოტანილი გადაწყვეტილება, უფლება არ აქვს გაასაჩივროს იგი სარეზოლუციო ნაწილის მიუხედავად. ამ თვალსაზრისით კერძო საჩივრის ავტორი უმეტესად მის მოსაზრებას ასაბუთებას ფაქტების პრეიუდიციულობით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმით, შესაძლოა, სამომავლოდ მოგებული მხარის ინტერესები დაირღვეს.

საკასაციო პალატა მიზანშენონილად მიიჩნევს, განმარტოს პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტის ცნება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს.

ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სამოქა-

ლაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), გამოტანილი იმავე მხარეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში), არამედ მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებსაც (გადაწყვეტილებით დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს, რომელი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება).

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავაში მონაწილე მხარეების მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება იმ ფაქტს, რომელიც იურიდიულად ამართლებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პრეიუდიციულად და ის უნდა იქნას შეყვანილი მტკიცების საგანმის (იხ. სუსგ №ას-455-769-09, 3 დეკემბერი, 2009 წელი, სუსგ №ას-146-140-2012, 12 ივლისი, 2012 წელი).

ამდენად, მხარის პრეტენზია, რომ ფაქტის არასწორად დადგენა იძლევა მისი გასაჩივრების შესაძლებლობას, სამართლებრივ დასაბუთებას მოკლებულია, ვინაიდან სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი ყოველთვის მოსარჩელის სასარგებლოდ დადგენილ ფაქტს ემყარება და მისი სხვა პროცესში პრეიუდიციულად არსებობა მხარის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას არ იძლევა.

ამასთანავე, საყურადღებოა, ის გარემოებაც, რომ წინამდებარე დავა არ არის დასრულებული (სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია ასევე სს „ბ-ის“ სააპელაციო საჩივრი) და გ. ქ-ს, როგორც სს „პ-ის“ სააპელაციო საჩივრის საპროცესო სუბიექტს, სააპელაციო შესაფებლის ფარგლებში სრული შესაძლებლობა აქვს, სადაც გახადოს ზემოაღნიშნული გარემოება, რასაც საქმის განხილვის დროს შესაბამისი შედეგი მოჰყვება, გარდა აღნიშნულისა, პალატა განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა უშვებს რა არასრულყოფილი გადაწყვეტილების ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობასაც გადაწყვეტილების განმარტების, უსწორობათა, აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორებისა თუ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით, ამავე დანაწესებით იმპერატიულად აღგენს გადაწყვეტილების ნაკლის გასწორებას სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი შედეგის შეუცვლელად (სსსკ 260-262-ე მუხლები).

საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას იმ ნაწილში, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ განმარტა სააპელაციო საჩივრის სუბიექტები და ობიექტი და მიიჩნევს, რომ იგი აბსოლუტურად შეესაბამება როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ისე არსებულ სასამართლო პრაქტიკას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი ასევე წარმოადგენს იმ საკანონმდებლო შეზღუდვათა თვალსაჩინო მაგალითს, როდესაც დაშვებულია მხარისათვის გადაწყვეტილების ზემდგომი წესით გასაჩივრებაზე უარის თქმა, თუ მხარის სააპელაციო პრეტენზია მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას ემყარება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი, ლოგიკური განმარტების საფუძველზე, სამართალწარმოების იმ მხარეს მოიაზრებს, ვისაც სამართალწარმოების აქტის აღსრულებუნარიანი ნაწილით დაუდგინდა გარკვეული ვალდებულება ან უარი ეთქვა უფლების იმგვარ რეალიზაციაზე, ვიდრე მას მიაჩინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ მხარე სადავოდ სწორედ მის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას ხდის.

დამკვიდრებული ეთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, „გადაწყვეტილების მხოლოდ აღნერილობითა და სამოტივაციო წანილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო წანილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას“. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე და 266-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე განმარტა გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. პალატამ აღნიშნა ასევე, რომ „გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩინა კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო წანილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გა-

დაწყვეტილება, თუ სადაცოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღნერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დაფგენილი ფაქტი“ (იხ. სუსგ №ას-710-1011-09, 7 სექტემბერი, 2009 წელი, №ას-797-750-2012, 4 ივნისი, 2012 წელი).

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩვრის ავტორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია. ამ თვალსაზრისით სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სააპელაციო სასამართლოს განჩინებისადმი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მიმჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება სრულად შეესაბამება ამ მოთხოვნებს, უფრო მეტიც, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დათვემას, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სრულად შეესაბამება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც, ასევე, კერძო საჩვრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ გ. ქ-ი სარჩევლის აღძვრის დროისათვის დავალიანებისა და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმ სანქციების არარსებობის აღიარებას მოითხოვდა. მოსარჩევემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილისა და 41-ე მუხლის

პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დავის საგნის ლირებულება, როგორც სარჩელით, ისე კერძო საჩვრით 1 986.97 ლარით განსაზღვრა, რაც გაზიარებულია ქვემდგომი სასამართლოების მიერაც, მართალია, კერძო საჩივარში მხარე მიუთითებს დენად საჯარიმო სანქციებზე, რომელთა დარიცხვაც საქმის განხილვის ამ ეტაპზეც მიმდინარეობს, თუმცა, საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის საგნის ღირებულების გათვალისწინებით, იგი მაგისტრატი მოსამართლის განსჯად დავად უნდა იქნას მიჩნეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღმატება 2000 ლარს. ამავე კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს.

საქმეში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებებით დგინდება, რომ გ. ქ-ის წარმომადგენელმა ი.ჭ-მა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო საჩვარზე გადაიხადა 50 ლარი. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კი, დადგენილია ამ თანხის განახევრების აუცილებლობა, შესაბამისად, მხარემ ზედმეტად გადაიხადა 25 ლარი (50/2=25).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც ანესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა მსგავს შემთხვევას არ არეგულირებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაპრუნების სამართლებრივ საფუძვლად უნდა მიუთითოს ამავე კოდექსის 42-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი: თუ სარჩელის ალევრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაპრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ქ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. გ. ქ-ს (პ/№.....) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს ი. პ-ის მიერ 2015 წლის 4 ოქტომბრის №5869979 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან ზედმეტად გადახდილი 25 ლარი.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განჩინება

№ას-1121-1068-2014

20 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ქლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ჩ-მ სარჩევი აღმრა სასამართლოში მოპასუხე მ. ვ-ის მიიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ქ.თბილისში, ს-ის ქ. №55-ში მდებარე უძრავი ნივთის (საკადას-

ტრო კოდი) გამოთხოვა.

მოპასუხებ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. ვ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ.თბილისში, ს-ის ქ. №55-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი №...) და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა ე. ჩ-ს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ვ-მ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინებით მ. ვ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა მონინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. მ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ვ-მ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მ. ვ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2014 წლის 19 ნოემბერს მ. ვ-მ განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა გადაწყვეტილების მიღებამდე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად უზრუველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამოსახლების პროცესის შეჩერება იმ საფუძვლით, რომ მონინააღმდეგე მხარე ე. ჩ-ის განცხადების საფუძვლით, დაწყებულია სააღსრულებო წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ვ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს და შემდეგი გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ თბილის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. ვ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ.თბილისში, ს-ის ქ. №55-ში მდებარე უძრავი ქონება და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა ე. ჩ-ს.

საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინებით მ. ვ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

განმცხადებელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამოსახლების პროცესის შეჩერებას იმ საფუძვლით, რომ მოწინააღმდეგე მხარე ე. ჩ-ის განცხადების საფუძველზე, დაწყებულია სააღსრულებო წარმოება, რაც სასმართლოს აზრით, ვერ გახდება განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსარულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსარულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

მითითებული წორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტი თავისი არსით ემსახურება მოსარჩელის უფლებების დაცვას და მისი გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეიტანოს მოსარჩელემ, ასევე მესამე პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. მოპასუხეს კი – მხოლოდ

იმ პირობით, თუ მას აღძრული აქვს შეგებებული სარჩელი და მოითხოვს მის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ განმცხადებელი მ. ვ-ე მოპასუხეა, რაც ცხადყოფს, რომ ამ უზრუნველყოფის ინსტიტუტის რეალიზებით მისი კანონიერი უფლებების დაცვა ვერ განხორციელდება, რაც განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მ. ვ-ის განცხადება უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197, 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით, 271-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ადგინდეთ:

1. მ. ვ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განრიცხვა

№ას-1095-1044-2014

31 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ვ. ქათამაძე

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხის ოდენობის შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. თ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ვ-ას მიმართ პირგა-

სამტებლოს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი თანხის – 13 000 აშშ დოლარის 0,3%-ის დაკისრების ნაწილში ნოტარიუსის ი.ხ-ის მიერ 2013 წლის 8 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმებისა და ამავე სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული სესხის ძირითადი თანხის – 13 000 აშშ დოლარის გადახდილად მიჩნევის მოთხოვნით.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, პირგასამტებლოს ნაწილში ცნო, ხოლო ძირითადი ვალდებულების ნაწილში ი. თ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში გაუქმდა სადავო სააღსრულებო ფურცელი, დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამავე გადაწყვეტილებით ნაწილობრივ გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ძირითადი ვალდებულების – 13 000 აშშ დოლარის ნაწილში შეჩერდა 2013 წლის 8 ივლისს ნოტარიუს ი. ხ-ის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ი. თ-მ და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა 2010 წლის 25 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქ. ვ-ას მოთხოვნის უფლებაზე ყადაღის დადება იმ საფუძვლით, რომ განმცხადებლისთვის ცნობილი გახდა მოპასუხის მიერ ამ უფლების სხვა პირისათვის დათმობის შესახებ, რის შედეგადაც ი.თ-ს მიადგება ზიანი. მოთხოვნის უფლების შემძები მოსარჩელეს განმეორებით მოსთხოვს მის მიერ უკვე გადახდილ თანხას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინებით განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც საჩივრით გაასაჩივრა ი. თ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

ი. თ-ს მოწინააღმდეგე მხარისათვის გადახდილი აქვს როგორც სესხის სარგებელი, ისე ძირი თანხა, მიუხედავად აღნიშნულისა, ასევე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისა, საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა, რომ ქ. ვ-ა აპი-

რეპს მხარეთა შორის სადაცოდ გამხდარი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დათმობას, ასეთ შემთხვევაში შემძენი განმეორებით მოითხოვს უკვე გადახდილი თანხის ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, მოთხოვნის მიმღებზე მოთხოვნა იმავე სახით გადავა, რა სახითაც იგი თავდაპირველ მფლობელს გააჩნდა, თუმცა, მიუხედავად საჩივრის ავტორის მიერ მოპასუხისათვის თანხის რეალურად გადახდისა, ქ. ვა-ამ ნოტარიუსის საადსრულებო ფურცლის საფუძველზე მაინც მოითხოვ მოვალის მიერ უკვე შესრულებული ვალდებულების განმეორებით შესრულება.

იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება აპელანტის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლები აღმოჩნდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის შესაბამისად, განსახილველად გადმოეცა უზენაეს სასამართლოს. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი.თ-მ, ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში) კანონიერ ძალაში არ არის შესული. სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ნოტარიუს ი. ხის მიერ 2013 წლის 8 ივლისს გაცემული საადსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ვალდებულების – 13 000 აშშ დოლარის გადახდილად მიჩნევის საკითხი.

სააპელაციო პალატის 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ი.თ-ს უარი ეთქვა სარჩელს უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სასამართლომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებების პასუხად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე უხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის არსი გადაწყვეტილების აღსრულების მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებაა, რაც ემყარება ვარაუდს, რომ მოპასუხებ სარჩელის მოთხოვნისაგან თავის არიდების მიზნით შესაძლოა განახორციელოს იმგვარი მოქმედება, რაც შეუძლებელს გახდის ან დააბრკოლებს გადაწყვე-

ტილების აღსრულებას. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 199-ე, 201-ე მუხლებზე და განმარტა, რომ კრედიტორს უფლება აქვს, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მოთხოვნის დათმობის აკრძალვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. ახალ მფლობელზე მოთხოვნა იმავე სახით გადადის, როგორითაც იგი წინა მფლობელის ხელში იყო. მოვალეს ახალი მფლობელის წინაშე უფლება აქვს, თავი დაიცვას ყველა იმ საშუალებით, რისი უფლებაც ძეველი მფლობელის წინაშე გააჩნდა. სასამართლოს განმარტებით, მოთხოვნის დათმობა შინაარსობრივად წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლებობის დაშვებას და არა ერთი და იმავე მოთხოვნის რამდენჯერმე შესრულების წინაპირობას, რაც სასამართლომ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიზნია.

პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება სესხის ძირი თანხის ნაწილში ვალდებულების შესრულების თაობაზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებას არ უკავშირდება, ეს საკითხი დგინდება მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასებისა და ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების შედეგად, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას საფუძვლად უდევს სასამართლოს ვარაუდი, რომ დავის საგანს ესაჭიროება დაცვა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მოსაზრებით არ დასტურდებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკავაბაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და ი. თ-ის საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები უსაფუძვლოა და არ ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით დადგენილია, რომ საკავაბაციო სასამარ-

თლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

ნინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს მოვალის მიერ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურება, კერძოდ, მოსარჩევე ამტკიცებს, რომ მას სრულად აქვს შესრულებული 2010 წლის 25 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის გადახდის ვალდებულება, შესაბამისად, მოითხოვს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანას: პირგასამტკებლოს ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაუქმდასა და 13 000 აშშ დოლარის გადახდილად აღიარებას (იხ. სასარჩევო მოთხოვნა);

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი პირგასამტკებლოს ნაწილში დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ამ ნაწილში გაუქმდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩევეს უარი ეთქვა სესხის ძირი თანხის გადახდილად აღიარებაზე, რაც შეეხება საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, სასამართლომ სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება გააუქმა სესხის ძირი თანხის – 13 000 აშშ დოლარის ნაწილში;

საქმეში ნარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის თანახმად, მოსარჩელემ სააპელაციო წესით მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (იხ. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა), ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებში არ შესულა კანონიერ ძალაში;

სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადებითა და საჩივრით ი. თ-ე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ზომად მოითხოვს სესხისა და იპოთეკის სადაცო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნის უფლებაზე ყადაღის დადებას, თავის მხრივ, მოთხოვნას მხარე ასაბუთებს იმით, რომ კრედიტორი აპირებს გაასხვისოს ხელშეკრულებიდან გა-

მომდინარე მოთხოვნა, მოვალეს ვალდებულება სრულად აქვს შესრულებული და ახალი მფლობელი განმეორებით მოსთხოვს თანხის გადახდას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ი. თ-ის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებულია მოთხოვნის უფლების მქონე პირის – კრედიტორის უფლებამოსილება, სხვა პირს საკუთრებაში გადასცეს იმგვარი მოთხოვნები და უფლებები, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, ამგვარი დათმობისათვის მოვალის თანხმობის საჭიროება კანონით დადგენილი არაა, თუმცა დათმობის გარიგება არ უნდა ენინაალმდეგებოდეს თავად ვალდებულების არსს, მოვალესთან შეთანხმებას ან კანონს (სკ 199.1). ასეთ დროს მოვალის ინტერესები ჯეროვნადაა დაცული და მოთხოვნის დათმობით მას რაიმე დამატებით ვალდებულება არ წარმოეშობა, კერძოდ, 198-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებიდან გამომდინარე, მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორმიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ, ხოლო 201-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მოვალეს უფლება აქვს ნაუყენოს ახალ მფლობელს ყველა ის შესაგებელი, რაც მას ჰქონდა თავდაპირველი მფლობელის მიმართ მოთხოვნის დათმობის შესახებ ცნობის მიღების დროისათვის.

თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით ამომწურავადა განსაზღვრული მოვალის ინტერესები-სათვის მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგი – თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი.

ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში აპელანტს რაიმე დამატებითი ვალდებულება არ წარმოეშობა. დათმობა, შესაძლოა, შეიმობდ მოპასუხის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მხარის უფლებამონაცვლების საფუძველი გახდეს, ხოლო საქმის მასალების არსებითად შესწავლის შედეგად თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მოსარჩელეს ვალდებულება შესრულებული აქვს უფლების თავდაპირველი მფლობელის მიმართ, სასამართლოს გადაწყვეტილება იმავე ძალის მატარებელი იქნება მოთხოვნის ახალი მფლობელისათვის, როგორიც ქ. ვ-სა მიმართ იქნებოდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნ-

ველყოფის ღონისძიების მიზანი მართლმსაჯულების რეალური განხორციელების ამოცანას ემსახურება და სასამართლოს მიერ ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი სიკეთით კრედიტორის სარგებლობის ხელშეწყობაა, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის მისი ინტერესი მოვალის არაკეთილსინდისიერების გამო არ შეიღაბოს, ხოლო მართლმსაჯულება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, ერთი მხრივ, როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის აღსრულების ხელშეწყობას ისახავს მიზნად და, მეორე მხრივ, ამ ღონისძიების გატარების შედეგად დაცული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული ბალანსი მხარეთა თანასწორობისა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით უსაფუძვლოდ არ უნდა შეიზღუდოს მოპასუხის კანონიერი ინტერესი. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის დანართი, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული წინაპირობები არ ქმნის იმ ვარაუდის საფუძველს, რომ გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულება გართულდება ან შეუძლებელი გახდება, რაც მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უპირობო საფუძვლია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. თ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განხილვა

№ას-1220-1161-2014

27 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
მოსამართლე ნ. ბაქაქური**

დავის საგანი: სამკუიდროს მოწმობის ბათილად ცნობა, თა-
ნამესაკუთრედ აღიარება

აღნერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი სამკუიდრო მოწმობის ბათილად ცნობისა და თანამესაკუთრედ აღიარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჩ-მ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით მ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

2014 წლის 26 ნოემბერს მ. ჩ-მ განცხადებით მომართა საკართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო პალატას და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უძრავ ნივთზე (რომლის საკადასტრო კოდია №.....) მოპასუხისათვის მისი კუთვნილი წილის გასხვისების აკრძალვა.

განმცხადებლის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დაკმაყოფილა მისი სარჩელი უძრავ ნივთზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ. მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, რომელსაც არ ეთანხმება და აპირებს საკასაციო საჩივრით გასაჩივრებას. განმცხადებლის მი-

თითებით, არსებობს იმის ალბათობა, რომ მოპასუხემ გაასხვის სასამართლოს სადაც უძრავი ქონება, რაც სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და განცხადების საფუძვლიანობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჩ-ის განცხადება უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით. დადგენილია ასევე, რომ 2014 წლის 26 ნოემბერს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მ. ჩ-მ და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უძრავ ნივთზე (რომლის საკადასტრო კოდია №.....) მოპასუხისათვის მისი კუთვნილი ნილის გასხვისების აკრძალვა. ანალოგური განცხადებით მ. ჩ-მ იმავე დღეს, 2014 წლის 26 ნოემბერს, მომართა საქართველოს უზრუნველყოფის განცხადების შესახებ შეიძლება შეიტანოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო პალატას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტი თავისი არსით ემსახურება მოსარჩელის უფლებების დაცვას და მისი გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეიტანოს მოსარჩელემ, ასევე მესამე პირმა დამოუკიდებელი სასამარჩელო მოთხოვნით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის შესაბამისად, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად.

საქმის მასალების შესაბამისად დადგენილია, რომ მოცემული საქმის განმხილველი სასამართლო თბილისის სააპელაციო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, რომელმაც იმსჯელა მ. ჩ-ის განცხადების საფუძვლიანობაზე და უარი უთხრა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლო (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო პალატა) ამ ეტაპზე არ წარმოადგენს საქმის განმხილველ სასამართლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის რეალიზებით ვერ განხორციელდება განმცხადებლის კანონიერი უფლებების დაცვა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის შესაბამისად, განცხადების განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ადგილი:

1. მ. ჩ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძების გამოყენების თაობაზე დარჩეს განუხილველად;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განხილვა

№ას-617-587-2013

26 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამო-
სილების შეზღუდვა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელმა ნ. გ-მა სარჩელი აღ-
ძრა სასამართლოში გ. პ-ის მიმართ მშობლის წარმომადგენლო-
ბითი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი
დაკმაყოფილდა, გ. პ-ს მშობლის წარმომადგენლობითი უფლე-
ბამოსილება ა. პ-ის მიმართ შეეზღუდა, რაც მოპასუხებ გაასა-
ჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 10 აპრილის განჩინებით სააპელაციო
საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვე-
ტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. პ-მა გაასაჩივრა სა-
კასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვე-
ტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 17 ივნისის განჩინებით გ. პ-ის საკასა-
ციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხ-
ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

2013 წლის 26 ივნისს ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელმა
6. გ-მა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მო-
ითხოვა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, სა-
ჯარო რეესტრში ა. პ-ის სახელზე თანასაკუთრების უფლებით

აღრიცხულ ქ.თბილისში, ზ. ბ-ის (ყოფილი ე-ის) ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ №42 ბინას (საკადასტრო კოდი №...) დაედოს ყადალა მოცემულ საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე შემდეგი საფუძვლებით:

ნ. გ-ი არის ... წელს დაბადებული ა. პ-ის დეიდა, რომელიც ა.პ-ის დედის – ზ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ ყველანაირად ზრუნავდა დისმენტები და 2001 წლის 31 ივლისიდან იყო მისი მეურვე. ამჟამადაც ა. პ-ი ცხოვრობს 6. გ-ან, რომელიც უზრუნველყოფს მას მატერიალურად და ხელმძღვანელობს მის აღზრდას.

1999 წელს ზ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ ქ.თბილისში, ზ.პ-ის (ყოფილი ე-ის) ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ №42 დედის ოჯახის კუთვნილი ბინა მემკვიდრეობით მიიღო ა. პ-მა. 6. გ-ის ხელმძღვანელობით უძრავი ნივთი გაიცა იჯარით და შემოსავალი ხმარდება ა. პ-ს.

ბავშვის მამა – გ. პ-ი წლების განმავლობაში არ მონაწილეობდა შეიძლის აღზრდაში. მისი მამობის ფაქტი მხოლოდ 2002 წლის 29 მაისს დადგინდა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. გ. პ-ს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვს. იგი აღრიცხულია სოციალურად დაუცველთა სიაში და იღებს შემწეობას. გამოცხადებლისათვის ცნობილი გახდა, რომ სოციალურად დაუცველთა სიაში ა. პ-ის აღრიცხვის გზით ანალოგიური შემწეობა დაენიშნა ა. პ-აც, რისთვისაც მამამ იგი თავის მისამართზე დაარეგისტრირა, თუმცა ა. პ-ის კუთვნილი თანხა გ. პ-ს შვილისათვის არ გადაუცია და იყენებს საკუთარი საჭიროებისათვის.

2012 წლის 18 ოქტომბერს 6. გ-ი გათავისუფლდა ა. პ-ის მზრუნველობისაგან გ. პ-ის სასარგებლოდ, შესაბამისად, ეს უკანასკნელი გახდა ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და უფლება მიიღო, განკარგოს მისი ქონება.

ამჟამად წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა გ. პ-ის, როგორც მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა, რაც ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაქმაყოფილებულია, თუმცა არსებობს საშიშროება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე გ. პ-ი განკარგავს და სხვაგვარად უფლებრივად დატვირთავს ა. პ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას, რის საფასურსაც, სოციალურად დაუცველთა შემწეობის მსგავსად, თავად მოიხმარს.

ამდენად, არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი წინაპირობა და ზემოხსენებულ უძრავ ნივთს უნდა დაედოს ყადაღა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებს გამოყენების შესახებ უნდა და დაქმუყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და მოპასუხე გ. პ-ს მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ა. პ-ის მიმართ შეეზღუდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის მიერ.

წარმოდგენილი განცხადებით მხარე მოითხოვს, ყადაღა დაედოს ა. პ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას, რათა თავიდან აცილებულ იქნას საშიშროება, რომ მოპასუხე გ. პ-ი, როგორც უძრავი ნივთის მესაკუთრის კანონიერი წარმომადგენელი, მოცემული დაცის დასრულებამდე არასრულწლოვანი ბავშვის საზიანოდ განკარგავს ან უფლებრივად დატვირთავს მას. რადგან გ. პ-ი წლების განმავლობაში თავს არიდებს შვილის აღზრდაში მონაწილეობას და ა. პ-ის, როგორც სოციალურად დაუცველისათვის დანიშნულ შემწეობასაც თავად იყენებს, არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ უძრავი ქონების განკარგვით მიღებულ სარგებელსაც მოპასუხე საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენებს. აღნიშნულით კი არასრულწლოვან ა. პ-ს ზიანი მიადგება და მოცემულ საქმეზე მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება ველარ აღსრულდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თა.ხმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება

მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტა. ზე განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადალის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. ამისათვის მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია იმის გამო, სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტილისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ღონისძიების გატარების შედეგად დაცული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მხარეთა თანასწორობის ბალანსი.

ზემოხსენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელ ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის სარჩელი ორივე ქვემდგომის ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია, რაც ზრდის სარჩელის უზრუნველყოფის საჭიროებას.

კანონის ზემოხსენებული დანაწესის შესაბამისად, განმცხა-

დებელმა წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ ქ.თბილისში, ზ. ბ-ის (ყოფილი ე-ის) ქ. №1-ში მდებარე 20 კვ.მ №42 ბინა (საკადასტრო კოდი №...) საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხულია ა. პ-ის სახელზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს მოცემული დავის სპეციფიკურობას (სადაც გ. პ-ის, როგორც არასრულნოვანი ბავშვის მშობლის წარმომადგენლობით უფლების შეზღუდვა) და მიიჩნევს, რომ არსებობს განსახილველი განცხადებით მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი წანამდღვრები, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულნოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით კი, მშობლები არასრულნოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გ. პ-ის მიერ არასრულნოვანი ა. პ-ის კუთვნილი უძრავი ნივთის მისივე ინტერესების საწინააღმდეგოდ განკარგვის შემთხვევაში, მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების (თუ ასეთი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა) სათანადოდ აღსრულდებას საფრთხე შეექმნება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტის სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეები. ხოლო მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა სასამართლოს ანიჭებს უფლებას გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ 6. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და ა. პ-ის კუთვნილ ქ.თბილისში, ზ. ბ-ის (ყოფილი ე-ის) ქ. №1-ში მდებარე 20 კვ.მ №42 ბინას (საკადასტრო კოდი №...) უნდა დაედოს ყადა-

ლა მოცემულ საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ქ.თბილისში, ზ. ბ-ს (ყოფილი ე-ის) ქ. №1-ში მდებარე ა. პ-ის კუთვნილ 20 კვ.მ №42 ბინას (საკადასტრო კოდი №...) დაედოს ყადაღა მოცემულ საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განვითარება

№ას-1291-1229-2014

26 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის
მოსამართლე ნინო ბაქაქური

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 2 დეკემბერს ბ. ქ-მა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა შპს „დ-ე +“-ის პარტნიორ ა. გ-სთვის კუთვნილი წილის გასხვისების აკრძალვა იმ მოტივით, რომ აპირებდა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის სარჩელით მიმარ-

თვას შპს „დ-ე +“-ის პარტნიორ ა. გ-სთვის თანხის – 35468 ლა-რის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ბ. ქ-ს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიღებაზე და განემარტა, რომ აღნიშნული მოთხოვნით მას უნდა მიერართა იმ სასამართლოსთვის, სადაც აპირებდა სარჩელის აღდვრას.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო სა-ჩივრით გაასაჩივრა ბ. ქ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმება.

2014 წლის 23 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ბ. ქ-მა და უარი განაცხადა კერძო საჩივარზე იმ მოტოვით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადება თავიდანვე არასწორად იყო წარდგენილი სააპელაციო სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო შეისწავლა წარმოდგენილი საქმის მასალები და მიაჩინა, რომ მოცემულ კერძო საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდგევი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარ-მოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინე-ბული წესების დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედ-ვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასა-მართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისე-ბისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხ-ლის თანახმად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლო-ში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კა-ნონმდებლობით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამარ-თლოებისათვის დადგენილი საქმის განხილვის წესებით, თუ აღ-ნიშნული წესები საკასაციო პალატისათვის განსაზღვრულ სპე-ციალურ ნორმებს არ ენინააღმდეგება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნა-

წილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

ამდენად, მოსარჩელე უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებული შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე. აღნიშნული წესი ვრცელდება კერძო საჩივარზე უარის თქმის უფლებაზეც და მხარეს შეუძლია, დაეთანხმოს მის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას.

მოკემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ბ. ქ-მა იშუამდგომლა საკასაციო სასამართლოს წინაშე კერძო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძლით არ შეიძლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. ქ-ის კერძო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ქ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. №ას/1291-1229-2014 სამოქალაქო საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება ბ. ქ-ის მიერ კერძო საჩივარზე უარის თქმის გამო;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქონების რეალიზაციის შეჩერება

განხილვა

№ას-881-843-2014

25 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება, უძრავი ქონების ნასყი-
დობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, თანამესაკუთრედ
აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. კ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. უ-ისა და მ. წ-ის,
ასევე მესამე პირის - შპს „რ. გ-ის“ მიმართ და მოითხოვა კ. უ-
სთვის მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გან-
კარგვით მიყენებული ზიანის - 255 000 ლარის დაკისრება, ასე-
ვე მ. წ-სა და შპს „რ. გ-ს“ შორის დადებული უძრავი ქონებების
ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ქონების
1/2 ნაწილზე მესაკუთრედ აღიარება.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. უ-ს
ე. კ-ის სასარგებლოდ დაკისრა მეუღლეთა თანასაკუთრებაში
არსებული ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის - 255 000
ლარის ანაზღაურება, ე. კ-ის სარჩელი მ. წ-სა და შპს „რ. გ-ს“
შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულე-
ბების ბათილად ცნობისა და ქონების 1/2-ზე მესაკუთრედ ცნო-
ბის თაობაზე არ დაკამაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-
სით გაასაჩივრა კ. უ-მა.

მოცემული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი სასამართლოე-
ბის მიერ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით
კ. უ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა,
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება ზიანის
ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში

(გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი) შეიცვალა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ე. კ-ის სარჩელი, ე. კ-ის სასარგებლოდ კ. უ-ს დაეკისრა 128 583,5 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. უ-მა.

2014 წლის 24 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ე. კ-ის წარმომადგენელმა ზ. ბ-მ და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 15 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერება შემდეგი დასაბუთებით:

ნინამდებარე საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კ.უ-ს ე.კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 128 583,5 ლარის გადახდა. საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დადედო მოპასუხის კუთვნილ შემდეგ უძრავ ქონებას: ქ.თბილისში, გ-ას გამზირის №20-ში მდებარე 65,00 კვ.მ №10 ბინას (ს/№.....); ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №5-ში მდებარე 18 კვ.მ №16 ფარესს (ს/№.....); ასევე ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №5-ში მდებარე 25,10 კვ.მ №26 ავტოსადგომს (ბლოკი 1, სართული 1, ს/№.....).

განმცხადებლის განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ზემოაღნიშნულ ქონებაზე მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება. ქონებები იძულებით აუქციონზე უნდა გაიყიდოს, ხოლო იძულებითი აუქციონის საფუძველი არის კ. უ-ის მიერ რ. მის მიმართ ვალის აღიარება. აღნიშნული ვალის აღიარება მოჩვენებითა რაც, განმცხადებლის განმარტებით, დასტურდება იმით, რომ წინამდებარე დავის განხილვის პროცესში გარდაიცვალა კასატორის დედა, ხოლო კ. უ-მა მემკვიდრეობით მიიღო დედის ქონება. კრედიტორმა რ. მ-მა გადაწყვეტილების აღსრულება ითხოვა არა მემკვიდრეობით მიღებული, არამედ ე. კ-ის მოთხოვნით ყადაღადადებული ქონებს რეალიზაციის გზით. წინამდებარე საქმის მხარეებს შორის მიმდინარეობდა ასევე სხვა დავები, რომლებიც კ. უ-მა გაასაჩივრა როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით, რაც შეეხება რ. მ-ის მიერ წარმოებულ დავას, ამ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება კ. უ-ს არ გაუსაჩივრებია.

კასატორმა ე. კ-სთან ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებები ასევე გადააფორმა სხვადასხვა პირებზე, ხოლო ქონების განკარგების ხელშეკრულებებში მისი ღირებულება, რეალურ ფასთან შედარებით, ნაკლები ოდენობითაა დაფიქსირე-

ბული. რაც შეეხება მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას, იგი კ. უ-მა გადააფორმა თავისი შვილისა და მეორე ქორწინებაში მყოფი მეუღლის საკუთრებად. აღნიშნულით მოპასუხე ცდილობს თავი აარიდოს ყოფილი მეუღლის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის გადახდას.

განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან მის სასარგებლოდ ყადალადადებულ ქონებაზე მიმდინარეობს სასამართლოს კანონირ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება, საკასაციო სასამართლოს მიერ ამ აღსრულების შეჩერებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება აზრს დაკარგავს, რადგანაც შემდგომში მისი აღსრულება გართულდება ან შეუძლებელი გახდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ ე. კ-ის მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2014 წლის 15 ივლისს გაცემული №2/6185-14 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული №A14080107 სააღსრულებო ნარმოების შეჩერების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ წინამდებარე საქმეზე ე. კ-ის სასარჩელო მოთხოვნაა მოპასუხე კ. უ-ისათვის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის გამო თანხის დაკისრება, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ქონების თანამესაკუთრედ აღიარება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა ე. კ-ის განცხადება და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო მ. წ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას (№....; №....);

ამავე სასამართლოს 2011 წლის 30 აგვისტოს განჩინებით, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე დაედო ყადაღა კ. უ-ის კუთვნილ შემდეგ უძრავ ქონებას: ქ.თბილისში, გ-ას გამზირის №20-ში მდებარე 65,00 კვ.მ №10 ბინას (ს/ №....); ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №5-ში მდებარე 18 კვ.მ №16 ფარებს (ს/ №....); ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №5-ში მდებარე 25,10 კვ.მ №26 ავტოსადგომს (ბლოკი 1, სართული 1, ს/№....).

საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პროპორციულად გაუქმდა ამავე სასამართლოს 2011 წლის 8 ივლისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, რაც შეეხება 2011 წლის 30 აგვისტოს განჩინებით გამოყენებულ ყადაღას, იგი კვლავ ძალაშია;

საქმის საპელაციო წესით განხილვისას, ე.კ.-ის განცხადების საფუძველზე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 10 ივლისის განჩინებით ყადაღა დადებო ასევე კ. უ-ის კუთვნილ, ქ.თბილისში, რ-ის გამზირის №1-ში, მე-5 სადარბაზოს №65-ში მდებარე 78,00 კვ.მ უძრავ ქონებას (ს/ №.....). განჩინება არ გაუქმებულა და კანონიერ ძალაშია შესული.

წინამდებარე განცხადებით ე. კ-ე სამართალწარმოების მიზნების დაუბრკოლებლად მიღწევისათვის მოითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 15 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერებას, რომელიც, ე. კ-ის განმარტებით, მიმართულია კ. უ-ის კუთვნილ, ქ.თბილისში, გ-ას გამზირის №20-ში მდებარე 65,00 კვ.მ №10 ბინის (ს/№.....); ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №5-ში მდებარე 18 კვ.მ №16 ფარეხისა (ს/№.....) და ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №5-ში მდებარე 25,10 კვ.მ №26 ავტოსადგომის (ბლოკი 1, სართული 1, ს/№.....) იძულებით აუქციონზე რეალიზაციისკენ. განმცხადებლის განმარტებით, ამ სააღსრულებო წარმოებას (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას) საფუძვლად უდევს კ. უ-ის თვალთმაქცური, კანონსაწინააღმდეგო ქმედება (ვალის აღიარება), რათა მან ქონების ფიქტურად განკარგვის გზით თავი აარიდოს ე. კ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის გადადას.

საკასაციო პალატა მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ სამართლებრივად ე. კ-ის განცხადება წარმოადგენს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. დასახელბული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო იმ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხს, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული არ არის, განიხილავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისათვის დადგენილი წესების შესა-

ბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის (გადაწყვეტილების აღსრულების) უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ქონების რეალიზაციის შეჩერება, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიების ამ სახის გამოყენებისათვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: დავა, რომლის გამოც უზრუნველყოფის ზომად ქონების რეალიზაციის შეჩერება გამოიყენება, აღძრული უნდა იყოს ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების თაობაზე; სახეზე არ უნდა იყოს ასევე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. თავის მხრივ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის გამო თანხის დაკისრება, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ქონების თანამესაკუთრედ აღიარება, შესაბამისად, წარმოდგენილი სარჩელი არ განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დავათა კატეგორიას. გარდა ამისა, განსახილველი სარჩელი არც ამავე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დავის იდენტურია, ვინაიდან მითითებული წორმის მიხედვით, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება გათვალისწინებულია ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძვლზე ან, რომლებზეც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი მოთხოვნის დაკავშირების სამართლებრივ საფუძვლად სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილს მიუთითებს, რასაც ასევე ვერ გაიზიარებს საკასაციო სასამართლო და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი, სარჩელის (გადაწყვეტილების აღსრულების) უზრუნველყოფის მიზნით, აღსრულების შეჩერება, შესაბამისად, აღსრულების შეჩერების სხვა შემთხვევები ვერ განიხილება ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ „სხვა ღონისძიებად“.

საყურადღებოა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ზომად სააღსრულებო წარმოების შეჩერების გამოყენების თაობაზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა: საკასაციო პალატამ მხარის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიებად სააღსრულებო წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილა სწორედ იმ საფუძვლით, რომ დავა არ გამომდინარეობდა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელიდან (იხ. სუსგ №ას-1020-975-2013, 19 დეკემბერი, 2013 წელი).

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ე. კ-ის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით სააღსრულებო წარმოების შეჩერების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 271-ე, 198-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. კ-ის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2014 წლის 15 ივნისს გაცემული №2/6185-14 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული №A14080107 სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განხილვა

№ას-953-915-2014

19 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაეური

დავის საგანი: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 17 იანვარს, ნ. მ-მ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გ. ხ-ისა და დ. ხ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (რომლის მასასიათებლებია: საკადასტრო კოდი; მისამართი: ქ. ბათუმი, ჩიხი ა-ა I, №3, დაზუსტებული ფართობი 400,00 კვ.მ, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 504,00 კვ.მ) ყადაღის დადება იმ მოტივით, რომ მან სარჩელი აღძრა სასამართლოში უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის, უძრავი ქონების რეგისტრაციის ბათილად ცნობისა და მისი თავდაპირველ მესაკუთრეზე აღრიცხვის მოთხოვნით, რომელიც მაღავს ქონებას სხვადასხვა პირებზე, რადგან მის მეუღლეს, ერთერთ მოპასუხეს, გააჩინია დიდი ოდენობის დავალიანება. განმცხადებლის განმარტებით, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში და მასთან დაკავშირებული სამომავლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იქნება, თუკი მოპასუხე ქონების განმკარგველი, ფაქტობრივად ან რეალურად გაასხვისებს დავის საგანს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 იანვრის განჩინებით ნ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა. დაყადაღდა ქ. ბათუმში, ა-ა I ჩიხის №3-ში მდებარე, გ. ხ-ისა და დ. ხ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონება, რაზეც საჩივარი წარადგინა გ. და დ. ხ-ების წარმომადგენელმა ლ. მ-მ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გადაიგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2014 წლის 14 მარტის განჩინებით გ. და დ. ხ-ის წარმომადგენელ ლ. მ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 იანვრის განჩინება, ნ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე გ. ხ-სა და დ. ხ-ს აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე სანივთო გარიგების დადება (ნასყიდობა, იპოთეკა, უზურფრუქტი, სერვისუტი) და მასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო ჩანაწერში ცვლილების რეგისტრაცია.

ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს 2014 წლის 17 იანვარს სარჩელით მიმართა ნ. მ-მ და მოითხოვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის ბათილობა, თანასაკუთრებად ცნობა, 1/2-ის მოპასუხის (მოვალის) სახელზე აღრიცხვა და განქონინების ბათილად ცნობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით ნ. მ-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რაც უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინებით.

2014 წლის 29 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა დ. ხ-ისა და გ. ხ-ის წარმომადგენელმა ლ. მ-მ და აღნიშნა, რომ ნ. მ-ის სარჩელი დ. და გ. ხ-ების წინააღმდეგ, რომლის უზრუნველყოფადაც, განხორციელდა მოპასუხეთა ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიება, არ იქნა მიღებული წარმოებაში, რაც კანონიერ ძალაშია შესული, შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 12 ივნისის განჩინებით გ. და დ. ხ-ების წარმომადგენელ ლ. მ-ის მოითხოვნა დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხე გ. ხ-სა და დ. ხ-ს აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე მდებარე ქალაქი ბათუმი, ჩიხი ა-ა I, №3, რომლის საკადასტრო კოდია; დაზუსტებული ფართი 400,00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 504,00 კვ.მ. (ზონა ბათუმი-..., სექტორი-..., კვარტალი-..., ნაკვეთი-...), სანივთო გარიგების დადება (ნასყიდობა, იპოთეკა, უზურფრუქტი, სერ-

ვიტუტი) და მასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო ჩანაწერში ცვლილების რეგისტრაცია.

დასახელებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ნ. მ-მ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და უზრუნველყოფის ღონისძიების უცვლელად დატოვება იმაზე მითითებით, რომ მისთვის ცნობილი არ ყოფილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინების თაობაზე, რომლითაც ძალაში დარჩა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინება. საჩივრის ავტორის განცხადებით მას, რომ ჩაჰებარებოდა აღნიშნული განჩინება, იგი გამოიყენებდა გასაჩივრების უფლებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 აგვისტოს განჩინებით ნ. მ-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაემაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის შესაბამისად, გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 მაისის განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაბუთებულად და დასაბვებად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე

მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

განსახილველ შემთხვევაში როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის განჩინებით გ. და დ. ხ-ების წარმომადგენელ ლ. მ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 იანვრის განჩინება, ნ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე გ. ხ-სა და დ. ხ-ს აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე მდებარე ქალაქი ბათუმი, ჩიხი ა-ა I, №3, რომლის საკადასტრო კოდია; დაზუსტებული ფართობი 400,00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 504,00 კვ.მ. (ზონა ბათუმი-..., სექტორი-..., კვარტალი-..., ნაკვეთი-...), სანივთო გარიგების დადება (ნასყიდობა, იპოთეკა, უზურირუქეტი, სერვიტუტი) და მასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო ჩანაწერში ცვლილების რეგისტრაცია.

საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს 2014 წლის 17 იანვარს სარჩელით მიმართა ნ. მ-მ და მოითხოვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის ბათილობა, უძრავი ქონების თანასაკუთრებად ცნობა, 1/2-ის მოპასუხის (მოვალის) სახელზე აღრიცხვა და განქორწინების ბათილად ცნობა;

დადგენილია, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით ნ. მ-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინებით დარჩა უცვლელად და შევიდა კანონიერ ძალაში.

საკავაციო სასამართლო იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის გამო მხარეთა შორის დავა დასრულებულია, რაც შესულია კანონიერ ძალაში, გ. და დ. ხ-ების წარმომადგენლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის შესაბამისად, საფუძვლიანი იყო,

იგი კანონშესაბამისად იქნა დატვირთული და, შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 ივნისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სედომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზანები

განჩინება

№ას-334-315-2014

22 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

მ. ყ-ამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში რ. გ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა არასრულნლოვანი შვილების – ... წლის ... სექტემბერს დაბადებული დ. გ-ის და ... წლის ... იანვარს დაბადებული ე. გ-ის სასარგებლოდ ალიმენტის, ყოველთვიურად 1000-1000 ლარის, გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

რ. გ-მა სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა ბავშვების ნახვის დღეების განსაზღვრის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ყ-ას სარჩელი რ. გ-ის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე ნანილობრივ დაკმაყოფილდა, რ. გ-ს დაეკისრა არასრულნლოვანი შვილების – ... წლის ... სექტემბერს დაბადებული დ. გ-ის და ... წლის ... იანვარს დაბადებული ე. გ-ის სასარგებლოდ ალიმენტის ყოველთვიურად 180-180 ლარის, სულ 360 ლარის გადახდა 2013 წლის 13 სექტემბრიდან მათ სრულნლოვანებამდე; რ. გ-ის შეგებებული სარჩელი მ. ყ-ას მიმართ ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრის თაობაზე დაკმაყოფილდა, რ. გ-ს განესაზღვროს შვილებთან ურთიერთობის შემდეგი წესი: რ. გ-ს მიეცა უფლება ნაიყვანოს შვილები ყოველი კვირის სამშაბათს დილის 10:00 საათზე და დააბრუნოს ბავშვები დედასთან – მ. ყ-ან ოთხშაბათს 22:00 საათზე, ასევე რ. გ-ს მიეცა უფლება ნაიყვანოს შვილები ყოველი კვირის პარასკევს დილის 10:00 საათზე და დააბრუნოს ბავშვები დედასთან შაბათს 22:00 საათზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება რ. გ-მა მ. ყ-ას სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 თებერვლის განჩინებით დაინიშნა სასამართლო სხდომა 2014 წლის 12 მარტს 16:00 საათზე.

2014 წლის 11 მარტს რ. გ-ის ნარმომადგენელმა თ. გ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა და საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება მოითხოვა. მისი მითითებით, 2014 წლის 12 მარტს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნული იყო სასამართლო სხდომა შპს „ნ. ე-ის“ გადახდისუუნარობის საქმეზე. აღნიშნულ საქმეზე იგი ერთ-ერთი კრედიტორის ინტერესებს იცავდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 მარტის განჩინებით რ. გ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული საქმის განხილვა დანიშნული იყო 12 მარტს არა 11:00 არა 16:00 საათზე, შესაბამისად, ის გარემოება, რომ აპელანტის ნარმომადგენელს იმავე დღეს მონაწილეობა უნდა მიეღო 11:00 საათზე გამართულ სასამართლო სხდომაზე თბილისის საქალაქო სასამართლო სასამართლოში, არ ნარმოადგენს საპატიო მიზეზს 16:00 საათზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. გ-ის ნარმომადგენელმა თ. გ-მა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით 2014 წლის 12 მარტს მთელი დღის განმავლობაში ესწრებოდა

თბილისის საქალაქო სასამართლოში კრედიტორთა კრებას შპს „ნ. ე-ის“ გადახდისუუნარობის საქმეზე, სადაც იგი წარმოადგენდა ერთ-ერთი კრედიტორის ინტერესებს. კრება დაიწყო 11:16 საათზე და დასრულდა 17:34 საათზე. კერძო საჩივარს ერთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს ცნობა, რომლის მიხედვითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბესიკ სისვაძის წარმოებაშია შპს „ნ. ე-ის“ გადახდისუუნარობის საქმე. 2014 წლის 12 მარტს აღნიშნულ საქმეზე დანიშნული იყო კრედიტორთა კრება, რომელიც დაიწყო 11:16 საათზე და დასრულდა 17:34 საათზე. კრებაში მონაწილეობას იღებდა თ. გ-ი, როგორც ერთ-ერთი კრედიტორის ინტერესების დამცველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ რ. გ-ის წარმომადგენელ თ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩევე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოქვეთა განხინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის სხდომაზე აპელანტი არ გამოცხადდა. ვინაიდან მონინააღმდეგი მხარე არ ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 მარტის განჩინებით რ. გ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. კერძო საჩივრის ავტორი სადაცოდ არ ხდის, რომ მისთვის საქმის განხილვის თაობაზე ცნობილი იყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის, მართალია, მოცემული მუხლი ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მაგრამ, ვინაიდან განსა-

ხილველ შემთხვევაში საპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განპირობებული იყო მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოცხადებლობით, საკასაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მომწესრიგებელი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. გ-ის წარმომადგენელი თ. გ-ი სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა. კერძო საჩივარზე დართული თბილისის საქალაქო სასამართლოს ცნობით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მოსამართლე ტესიკ სისვაძის წარმოებაშია შპს „ნ. ე-ის“ გადახდისუნარობის საქმე. 2014 წლის 12 მარტს აღნიშნულ საქმეზე დანიშნული იყო კრედიტორთა კრება, რომელიც დაიწყო 11:16 საათზე და დასრულდა 17:34 საათზე. კრებაში მონაწილეობას იღებდა თ. გ-ი, როგორც ერთ-ერთი კრედიტორის ინტერესების დამცველი. ამ გარემოების გათვალისწინებით, თ. გ-ი 16:00 საათზე თბილისის საპელაციო სასამართლოში დანიშნულ სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა. მას, ასევე, არ ჰქონდა საშუალება, სასამართლოსათვის წინასწარ ეცნობებინა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა კრედიტორთა კრება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2014 წლის 11 მარტს რ. გ-ის წარმომადგენელმა თ. გ-მა თბილისის საპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა და საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება მოითხოვა. საპელაციო სასამართლომ ეს განცხადება შეაფასა და სხდომაზე გამოცხადებლობა საპატიოდ არ მიიჩნია, რადგანაც თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომა დანიშნული იყო 11:00 საათზე, ხოლო საავტომაციო სასამართლოში – 16:00 საათზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ პირობებში, როდესაც ორი სხდომა დანიშნულია ასეთი დიდი დროის ინტერვალით, სასამართლოს არ აქვს ვარაუდის საფუძველი, რომ მხარის წარმომადგენელი ვერ გამოცხადდება 16:00 საათზე დანიშნულ სხდომაზე, შესაბამისად, საპელაციო სასამართლოს განმარტება დასაბუთებული და კანონიერია, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სარწმუნო მტკიცებულებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნული კრედიტორთა კრება, ფაქტობრივად, მთელ დღეს გაგრძელდა, ამდენად, თ. გ-ი თბილისის საპელაციო სასამართლოში საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ი:

1. რ. გ-ის წარმომადგენელ თ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 მარტის განჩინება და საქმე რ. გ-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განვითარება

№ას-1167-1113-2013

27 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
პ. ალავიძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

აღნერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. მ-ის მიმართ და მოითხოვა:

1. ლ. მ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს საპანკო კრედიტის ძირითადი თანხა – 8119,67 აშშ დოლარი, სარგებელი – 4866,05 აშშ დოლარი და პირვასამტებლო – 2000 აშშ დოლარი;

2. დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცეს ლ. მ-ის სახელზე რიცხული დაგირავებული ავტომანქანა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად,

აღსრულება განხორციელდეს ლ. მ-ის ნებისმიერი ქონების რეალიზაციის გზით.

მოპასუხებ შესაგებლით მიმართა სასამართლო და განმარტა, რომ გირავნობის საგნის გადაცემით მოსარჩელის მიმართ ვალდებულება შეასრულა, ხოლო 2013 წლის 28 მარტის მოსამზადებელ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნები ცნო 5330 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა სრულად:

1. ლ. მ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 14 985,72 აშშ დოლარი, დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა ლ. მ-ის საკუთრებაში არსებული დაგირავებული ავტომანქანა მერსედეს-ბენც ჩვენ 230, სარეგისტრაციო ნომერი , გამოშვების წელი 1997. იმ შემთხვევაში თუ იძულებითი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა საქმარისი არ იქნება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აღსრულება განხორციელდა ლ. მ-ის ნებისმიერ უძრავ-მოძრავი ქონებიდან.

2. სს „ს. ბ-ის“ დაუბრუნდა სარჩელთან დაკავშირებით 2013 წლის 25 თებერვალს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 2 243,84 ლარი.

3. ლ. მ-ს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 482,16 ლარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მოითხოვა მისი პირველი პუნქტის გაუქმება 9655,72 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და მე-3 პუნქტის გაუქმება სახელმწიფო ბაჟის – 218 წლის დაკისრების ნაწილში, ხოლო ახალი გადაწყვეტილებით აპელანტისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 5330 აშშ დოლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 264 ლარის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მოწინააღმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის გამო, 2013 წლის 26 ივნისს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მე-3 პუნქტები და ამ ნაწილებში მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება:

1. ლ. მ-ს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5 330 აშშ დოლარი, დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მი-

ექცა ლ. მ-ის საკუთრებაში არსებული დაგირავებული ავტომან-ქანა მერსედეს-ბენც CLK 230, სარეგისტრაციო ნომერი , გა-მოშვების წელი 1997. იმ შემთხვევაში თუ იძულებითი რეალი-ზაციის შედეგად მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება მოთ-ხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღსრულება განხორციელდა ლ. მ-ის ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონებიდან;

2. ლ. მ-ს სს „ს ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნე-ლის მიერ სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 264 ლარი.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

1. სს „ს. ბ-ს“ სააპელაციო საჩივარი ჩაბარდა 2013 წლის 6 ივნისს, მაგრამ ამავე დროს სასამართლომ გაუგზავნა უწყება სასამართლო სხდომის დღისა და საათის მითითებით: 2013 წლის 3 ივლისი, 10:00 საათი, რის გამოც ბ-ში, სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 232¹ მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საფუძ-ვლიანად ივარაუდეს, რომ სააპელაციო სასამართლო იურიდი-ულად გაუმართლებლად მიიჩნევდა ლ მ-ის სააპელაციო საჩი-ვარს;

2. არასწორია დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენი-ლად მიჩნეული ფაქტობრივ გარემოება, რომ კრედიტორის მი-ერ ავტომანქანის (გირავნობის საგნის) ჩამორთმევით ლ. მ-ის საკრედიტო ვალდებულება ნაწილობრივ იქნა შესრულებული, რადგანაც ბ-ს მსესხებლისთვის ავტომანქანა არ ჩამოურთმე-ვია, ამავე დროს ბ-ში მსესხებლის მანქანის დატოვება არ იწ-ვევდა საკრედიტო ვალდებულების შემცირებას;

3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ზემოთ მითითებული დასკვნა წინააღმდეგობაში მოდის მხარეთა შორის გაფორმე-ბულ გირავნობის ხელშეკრულებასთან, რომლის მიხედვითაც გირავნობის საგნის გადაცემა ვალდებულების არც სრულ და არც ნაწილობრივ შესრულებას ლ. მ-ის მხრიდან არ გულისხმობდა;

4. სააპელაციო საჩივარში ყოველგვარი გაანგარიშებისა და მარტივი დასაბუთების გარეშეა მითითებული, რომ ლ. მ-ის დარ-ჩენილი ვალდებულება შეადგენდა 5 330 აშშ დოლარს, საიდა-ნაც სესხის ძირითადი თანხა იყო 3 619,67 აშშ დოლარი, ჯარიმა – 1 510,33 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 200 აშშ დოლარი. ეს საკითხი საჭიროებდა კვლევას და დასაბუთებას. ამასთან, არ შეიძლება სესხის შემადგენელი ნაწილი იყოს ჯარიმაც და პირგასამტებლოც, რადგან ეს ერთი და იგივეა. საჩივრის ავტო-რის განმარტებით, თუნდაც ეს არგუმენტია საკმარისი იმის-თვის, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იურიდიულად და-

უსაბუთებლად იქნას მიჩნეული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა ამავე სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის, 2014 მუხლის პირველი და მე-7 ნაწილების, 232¹ მუხლის თანახმად, განმარტა, რომ სასამართლოში მოწინააღმდეგებები მხარის მიერ სააპელაციო შესაგებელი წარდგენილი უნდა იყოს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით თავისი პოზიციის გამოხატვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, კანონმდებელი აწესებს ზეპირი მოსმენის გარეშე მის წინააღმდეგ სააპელაციო საჩივარის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, ამდენად, სასამართლო ვალდებულია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას შეამოწმოს არსებობს თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. კერძოდ: 1. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სასამართლო გზავნილი (სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთების ასლები) კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა მოწინააღმდეგებების მხარეს და, შესაბამისად, განემარტა სააპელაციო შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ; ამასთან, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს, თუ მის მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგებების მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს სააპელაციო პასუხს (შესაგებელს); 2. სასამართლომ უნდა შეამოწმოს აპელანტის (მოსარჩელის) მიერ სააპელაციო საჩივარში (სარჩელში) მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად რამდენად ამართლებს (ასაბუთებს) საარჩელო მოთხოვნას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და არც საჩივარის ავტორი ხდიდა სადავოდ იმ გარემოებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ივნისის განჩინებით მოწინააღმდეგებების მხარეს – სს „ს. ბ-ს“ გადაეგზავნა სააპელაციო საჩივარისა და თანდართული საბუთების ასლები და დაევალა 7 დღის ვადაში წარედგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად,

ამავე განჩინებით მოწინააღმდეგე მხარეს განემარტა, რომ სა-სამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის არა-საპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სასამარ-თლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანდა დაუსწრებულ გა-დაწყვეტილებას მის წინააღმდეგ. სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლები მოწინააღმდეგე მხარე სს „ს ბ-ს“ ჩაბარდა 2013 წლის 6 ივნისს, რაც დადასტურებული იყო სს „ს. ბ-ის“ ადმინისტრატორის (ორგანიზაციის წარმომადგენელი) – ზ. ფ-ის ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო პასუხი (შესაგებელი) უნდა წარედგინა 2013 წლის 13 ივნისის ჩათვლით. მოწინააღმდეგე მხარემ სააპელა-ციო სასამართლოს სააპელაციო შესაგებლით მიმართა 2013 წლის 17 ივნისს, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის მი-ერ დადგენილ ვადაში სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლო-ბის გამო, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გა-მოტანის პირველი წინაპირობა არსებობდა. რაც შეეხება მეორე წინაპირობას – სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოე-ბები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, არ იქნა გაზიარებული საჩივრის ავტორის მოსაზ-რება ამ წინაპირობის არ არსებობის შესახებ შემდეგ გარემოე-ბათა გამო:

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 232¹ მუხლის მეორე წინადადება მიუთითებს სასამარ-თლოს მიერ მთავარი სხდომის დანიშვნის ვალდებულებაზე ისეთ დროს, როდესაც მოპასუხეს არასაპატიო არ წარუდგენია შესაგებელი და სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდი-ულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, მაგრამ ნორმის ეს დანაწესი არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ საა-პელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის განხილ-ვის მიზნით სხდომის დანიშვნა იმთავითებს ამ სა-ჩივრის იურიდიულ დაუსაბუთებლობაზე, როგორც ამას საჩივ-რის ავტორი განმარტავს. 232¹ მუხლით განსაზღვრული წესი დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, თუმცა, ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის გან-ხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაც-ვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილ-ვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებე-ბით.

სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 376-ე მუხლის პირველ წინადადებაზე და აღნიშნა, რომ ეს ნორმა უშუალოდ ადგენს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების წესს და სასამართლოს ავალდებულებს, სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ განჩინებით დანიშნოს სხდომა საქმის ზეპირი განხილვის მიზნით მოწინააღმდეგებ მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენამდე, რაც, საპროცესო კოდექსის მითითებული ნორმისა და დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამ საქმეზეც განხორციელდა.

საჩივრის სხვა პრეტენზიების თაობაზე პალატამ აღნიშნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების თავისებურება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ სასამართლო არ ადგენს სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და დასაბუთებულობას საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე, არამედ დამტკიცებულად მიჩინევს სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას. შესაბამისად, საჩივრის პრეტენზიები, რომლებითაც სადაცოდ არის გამხდარი ღ. მ-ის სააპელაციო საჩივარში მითითებული და დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დამტკიცებულად მიჩინეული ფაქტობრივი გარემოებები, პალატას უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებულად მიაჩინა.

ამასთან, სააპელაციო საჩივარში დაგალიანების თანხის შემადგენელი კომპონენტების ჩამონათვალში ძირ თანხასთან ერთად, ჯარიმისა და პირგასამტებლოს ერთიდროულად მითითება წარმოადგენს აპელანტის მიერ დაშვებულ უსწორობას, რადგან ჯარიმის ნაცვლად, აღნიშნული უნდა ყოფილიყო სესხის პროცენტი. ეს გარემოება ნათლად დასტურდება სააპელაციო საჩივრის პირველი ფაქტობრივი უსწორობის პირველი აბზაცით და საჩივრის ზეპირი განხილვისას ღ. მ-ის განმარტებით. სასამართლოს შეფასებით, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგებ მხარის მეირ სააპელაციო შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სწორად იქნა დადგენილად მიჩინეული სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

— კრედიტორის მიერ ავტომანქანის (გირავნობის საგნის) ჩამორთმევით ღ. მ-ის საკრედიტო ვალდებულება ნაწილობრივ იქნა შესრულებული;

— სს „ს. ბ-ის“ მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენის მომენტისათვის, სს „ს. ბ-ის“ წინაშე ღ. მ-ის დარჩენილი ვალდებულება შეადგენდა: 5 330 აშშ დოლარს (სესხის ძირითადი თანხა —

3 619,67 აშშ დოლარი; პროცენტი – 1 510,33 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 200 აშშ დოლარი), ამასთან, სამოქალაქო კო-დექსის 256-ე, 276-ე, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 427-ე, 428-ე მუხლებზე მითითებით, პალატამ ასევე სწორად მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ეს გარემონდები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მეორე პროცესუალური წინაპირობის არსებობასაც ადასტურებდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება ამავე გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია და მიღებულია საპროცესო ნორმის დარღვევით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლიდან გამომდინარე, ვინაიდან სააპელაციო საჩივართან ერთად მონინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა უწყება სასამართლო სხდომის თაობაზე, საფუძვლიანად ივარაუდა, რომ ლ.მ.-ის სააპელაციო საჩივარი იყო უსაფუძვლო და სასამართლომ დანიშნა სხდომა, რადგანაც ხშირ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო სხდომის თაობაზე მხარეს არ აცნობებს და უგზავნის მხოლოდ სააპელაციო საჩივარს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლი სპეციალური ნორმაა და სასამართლის, აპელანტის მოთხოვნის იურიდიული დაუსაბუთებლობის გამო, საქმე სასამართლო სხდომაზე უნდა განეხილა.

მოთხოვნის დაუსაბუთებლობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ აპელანტი სააპელაციო საჩივარში აღნიშნავს შემდეგს: კრედიტორის მიერ გირავნობის საგნის ჩამორთმევით ლ. მ-ის ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა. ეს მითითება არასწორია, რადგანაც რეალურად, მსესხებლისათვის ბ-ს მანქანა არ ჩამოურთმევია. ამასთანავე, ავტომობილის ბ-ში დატოვება ვალდებულებას არ წყვეტდა და ჩამორთმევის უფლება განსაზღვრული იყო მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებითაც, რაც არ იწვევდა ვალდებულების შემცირებას. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლზე, თუმცა, მხარეთა შორის დადებული გირავნობის ხელშეკრულების 10.4 მუხლის დათვემა არ არის გათვალისწინებული, რომლითაც ბ-ს უფლება აქვს სარეალიზაციოდ მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებაც, თუკი გირავნობის საგანი ვერ დაფარავს ვალდე-

ბულებას. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ბ-ს ავტომობილი სა-კუთრებაში არ გადასცემია.

სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი გამოკვლევის გა-რეშე გაიზიარა სააპელაციო საჩივარში მითითებული თანხის ოდენობა, ოუმცა ეს საკითხი საჭიროებდა შეფასებას, ვინაი-დან სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა მითითებას თუნდაც იმ გარემოებაზე, ავტომანქანის გადაცემის დროისათვის რა თან-ხას გამოაკლდა მისი ღირებულება 4500 აშშ დოლარი. საყურად-ლებოა ის გარემოებაც, რომ სესხის ნაწილი ერთდროულად არ შეიძლება იყოს ჯარიმა და პირგასამტებლოც, მხოლოდ ეს არ-გუმენტიც საქმარისია სააპელაციო საჩივრის დაუსაბუთებლად მიჩნევის გამო.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს დაუსწრებელი გა-დაწყვეტილება, როგორც მხარის დასჯის მექანიზმი, არ უნდა გამოეყენებინა, რადგანაც ამ ტიპის გადაწყვეტილებას საფუძ-ვლად ყოველთვის უნდა ედოს ვარაუდი, რომ მხარე ცნობს საა-პელაციო საჩივარს, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურ-დება. მხარემ პოზიცია დააფიქსირა შესაგებლით, რომლის წარ-დგენის ვადა მხოლოდ ერთი დღით დაგვიანდა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული 7-დღიანი ვა-და არაგონიერულია, მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის წე-სით საქმის განხილვისას მხარეს შესაგებლისათვის ავტომატუ-რად ეძლევა 10 დღე. აღნიშნულის გამო კასატორი აღმოჩნდა არათანაბარ პირობებში მოპასუხესთან.

არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ სს „ს. ბ-ი“ სადა-ვოდ ხდიდა დავის ფაქტობრივ გარემოებებს, რადგანაც ის, რე-ალურად, სადავოდ ხდიდა იმას, რომ აპელანტს ფაქტობრივი გარემოებები თავად არ მიუთითებია, რაც იურიდიულად გაა-მართლებდა მის მოთხოვნას. აღნიშნულის გამო, სასამართლო არასწორად ასკვნის, რომ არგუმენტებსა და მოსაზრებებს არ სჭირდება დასაბუთება და ის, რასაც მხარე მიუთითებს, ავტო-მატურად უნდა იქნას გაზიარებული დაუსწრებელი გადაწყვე-ტილების გამოტანისას.

სააპელაციო სასამართლომ საჩივრის განხილვისას დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და აპელანტის ნაცვლად თავად გა-აკეთა დასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარში დაშვებული იყო უსწორობა და ნაცვლად ჯარიმისა, მითითებული უნდა ყოფი-ლიყო პროცენტი. ამ კუთხით სასამართლომ მიუთითა აპელან-ტის მიერ სხდომაზე მიცემულ განმარტებაზე, თუმცა აპელანტს ეს განმარტება არ გაუკეთებია.

ამდენად, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალა-

ქო საპროცესო კოდექსის 232¹ და მე-4 მუხლები, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლი.

საკასაციო საჩივრით მხარემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა თანხის დაკისრების ნაწილში და განმარტა, რომ ითხოვდა სესის ძირ თანხას – 8 119,67 აშშ დოლარს, პროცენტს – 4 866,06 აშშ დოლარსა და პირგასამტკებლოს – 200 აშშ დოლარს.

2014 წლის 27 იანვარს წარმოდგენილი განცხადებით კასატორმა დამატებით განმარტა, რომ 2013 წლის 6 ივნისს სს „ს. ბ-ს“ ჩაპარდა მოსამართლის თანაშემნის მიერ გაგზავნილი გზავნილი, რომლითაც შესაგებლის წარდგენისათვის განესაზღვრა ვადა 7 დღით, გზავნილს არ ერთვოდა განჩინება, რომლითაც იქნებოდა განსაზღვრული ზემოაღნიშნული ვადა. ეს გარემოება კი ადასტურებს, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ ეცნობა შესაგებლის წარდგენის თაობაზე, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 მაისის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლით დადგენილი წესით, საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეისწავლა საქმის მასალები, დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის

დასაბუთებას.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს კასატორის არგუმენტზე, რომ არსებობს გასა-ჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. დასახელე-ბული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაით-ვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლო საქ-მე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანო-ნიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლიობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას.

სს „ს. ბ-ი“ მისი არაჯეროვანი ინფორმირების ფაქტს უკავში-რებს შემდეგს: 2013 წლის 6 ივნისს სს „ს. ბ-ს“ ჩაბარდა მოსა-მართლის თანაშემწის მიერ გაგზავნილი გზავნილი, რომლითაც შესაგებლის წარდგენისათვის განესაზღვრა ვადა 7 დღით, გზავ-ნილს არ ერთვოდა განჩინება, რომლითაც იქნებოდა განსაზ-ღვრული ზემოალიშნული ვადა. ეს გარემოება კი ადასტურებს, რომ აპელანტის მოწინააღმდეგ მხარეს 201-ე მუხლის მე-7 ნა-ნილისა და მე-200 მუხლის მე-2 ნანილის თანახმად, არ ეცნობა შესაგებლის წარდგენის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მხარის ამ არგუ-მენტს და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საქმეს საა-პელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამ-ზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მოხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოიქვებს შესაბამისი განჩინება, გა-დაუგზავნის მოწინააღმდეგ მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვა-დას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად, რომელიც უნ-და შეიცავდეს პასუხებს შემდეგ კითხვებზე: ეთანხმება თუ არა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს; თუ არ ეთანხმება, რა გა-რემოებებს ეყყარება მისი შესაგებელი; ხომ არ აპირებს შეგე-ბებული სააპელაციო საჩივრის შემოტანას, ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენას და, თუ აპირებს, რა მიზე-ზით არ წარმოადგინა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლო-ში საქმის განხილვისას; სურს თუ არა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე. შესაგებელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექ-

სის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს. ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს სააპელაციო სასამართლო მიიღებს ამ კოდექსის 380-ე და 382-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

კანონის დასახელებული ნორმა წარმოადგენს სააპელაციო სამართალნარმოების ეტაპზე საქმის განსახილველად მომზადების სპეციალურ წესს და ადგენს იმ დოკუმენტების ამომზრავ ჩამონათვალს, რომელთა გადაცემაც წარმოადგენს მოწინააღმდეგ მხარის ინფორმირებულად მიჩნევის წინაპირობას. ნორმის საწინააღმდეგო დათქმას არ შეიცავს ასევე საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი. ამასთანავე, საქმის განსახილველად მომზადების მიზნით სასამართლო მოხელის მიერ შესრულებული ნებისმიერი საპროცესო მოქმედება, წარმოადგენს საქმის განმხილველი მოსამართლის უშუალო მითითებას და ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის დათქმას, რომ მოსამართლის დავალებით საქმე სასამართლო განხილვისათვის შეიძლება მოამზადოს მოსამართლის თანაშემწერ.

მოცემულ შემთხვევაში, მხარე სადავოდ არ ხდის რა იმ გარემოებას, რომ მას გადაეცა სააპელაციო საჩივრის ასლი, უწყება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ და მოსამართლის თანაშემწის მიერ ხელმოწერილი გზავნილი, რომლითაც საქმეში წარმოადგენილი 2013 წლის 4 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შესაბამისადაა განმარტებული შესაგებლის წარდგენის საპროცესო ვადა და მისი წარუდგენლობის ნეგატიური შედეგების თაობაზე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობს მხარის არაინფორმირებულად მიჩნევისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ სასამართლო შეტყობინება სს „ს. ბ-ის“ უფლებამოსილ თანამშრომელს ჩაპარდა 2013 წლის 6 ივნისს. ასევე სადავო არაა, რომ ბ-მა შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2013 წლის 17 ივნისს, 7-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით, რაც წარმოშობს სასამართლოს ვალდებულებას, საქმის განხილვისას ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წანამდღვრები, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებ-

ში, რა დროსაც საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინ-სტანციით საქმეთა განხილვისათვის, XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით (სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 372-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები არეგულირებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას საქმის განხილვაზე აპელანტისა და მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 232¹ მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) ნარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დაავაგმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე—78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ნორმის დისპოზიციის ანალიზით დასტურდება შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულობა: ა) მოპასუხე (მოწინააღმდეგე მხარე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ხეგატიური შედეგების თაობაზე; ბ) მოპასუხე (მოწინააღმდეგე მხარემ) ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა.

ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში (სასაპელაციო საჩივარში) მითითებული გარემოებე-

ბის დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ ნინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩევი, მოსამართლე ვალდებულია გამოარევიოს კანონის ძალით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ ნინაპირობათავან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე.

ლ. მ-ის სააპელაციო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ მხარე მოითხოვდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შეცვლას დაკისრებული თანხისა და სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრის ნაწილში, ახალი გადაწყვეტილებით კი, ითხოვდა მისთვის სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრებინათ 5330 აშშ დოლარი, ხოლო სახელმწიფო ბაჟის სახით – 264 ლარი. სააპელაციო საჩივრის საფუძვლებით კი ირკვევა, რომ პპელანტი არ ეთანხმებოდა გასასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებას, რომ მოპასუხის დავალიანება შეადგენს 54860,33 აშშ დოლარს. აღნიშნული თანხიდან სესხის ძირითადი ნაწილია 8 119,67 აშშ დოლარი, პროცენტი – 4866,05 აშშ დოლარი, ხოლო პირგა-სამტეხლო – 41 374,61 აშშ დოლარი.

პპელანტის გამარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელემ შესრულების ნაცვლად შიღღო 4 500 აშშ დოლარად შეფასებული გირავნობის საგანი, სასამართლოს მსჯელობა თანხის ოდენობის ნაწილში იყო არასწორი. 2009 წლის ნოემბრისათვის სესხის ძირი თანხა იყო 3619,67 აშშ დოლარი, და სწორედ ამ თანხაზე უნდა მომხდარიყო როგორც პროცენტის ისე პირგა-სამტეხლოს დარიცხვა, რაც სასამართლოში სარჩელის ნარდგენის დროისათვის შეადგენდა 5 330 აშშ დოლარს (ძირი – 3619,67 აშშ დოლარი, ჯარიმა – 1 510,33 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 200 აშშ დოლარი).

სააპელაციო საჩივრის ავტორმა ასევე სადავოდ გახადა სა-

ქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ კრედიტორის მიერ ავტო-მანქანის ჩამორთმევისა და აღნიშნული სახით საკრედიტო ხელ-შეკრულებაში ასახული ვალდებულების შესრულების ფაქტი არ დგინდებოდა.

აპელაციის განმარტებით, ავტომობილის ჩამორთმევა წარ-მოადგნდა დაგალიანების ანაზღაურების შესაძლებლობას, ჩა-მორთმეული ავტომობილის რეალიზაციით დაიფარებოდა და-ვალიანება, მოსარჩეულ ნივთის გადაცემით გახდა მისი მფლო-ბელი და ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ მოეხდინა საგნის რე-ალიზაცია. მოსარჩეულ უფლების ბოროტად გამოყენებით არ განახორციელა ნივთის არც საკუთრებაში დარეგისტრირება და არც რეალიზაცია. ნივთის გადაცემით მოპასუხემ 4500 აშშ დო-ლარით შეასრულა ვალდებულება და დარჩენილი დავალიანება იყო 3 619,67 აშშ დოლარი. მოძრავ ნივთზე მოსარჩეულს ნებით გადაეცა ფაქტობრივი ბატონობა ნივთის რეალიზაციის უფლე-ბის ჩათვლით, ანუ ნივთი გადაეცა საკუთრებაში რეალიზაციით ამონაგები თანხებით დაგალიანების დაფარვისათვის, მოსარ-ჩელებმ კი მიიღო შესრულება ამ გზით.

ამდენად, წინამდებარე საქმეზე დადგენილად მიიჩნევა პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადასტურებული ის ფაქ-ტები, რომლებიც მხარეს სადაცო არ გაუხდია, ხოლო, დადგე-ნილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდ-გენლობის გამო, დადგენილად მიიჩნევა ასევე სააპელაციო სა-ჩივარში მითითებული სადაცო გარემოებები, კერძოდ:

1. 2008 წლის 7 აგვისტოს სს „ს. ბ-სა“ და ლ. მ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება საბანკო მომსახურების შესახებ, რომლის მი-ხედვით მოპასუხეს ავტომანქანის შესაძენად გადაეცა კრედი-ტი 10 000 აშშ დოლარის ოდენობით;

2. კრედიტი გაიცა ორმოცდარვა თვის ვადით, წლიური სარ-გებლის სახით 18% დარიცხვით, ვალდებულების შეუსრულებ-ლობის შემთხვევაში პირგასამტკებლოს ოდენობა მხარეთა მიერ განისაზღვრა 0,5%-ის ოდენობით;

3. 2008 წლის 7 აგვისტოს გირავნობის ხელშეკრულების სა-ფუძველზე მხარეთა მორის შედგენილი საბანკო მომსახურე-ბის ხელშეკრულებითა და მის ფარგლებში მოქმედი გარიგებე-ბით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით დაგირავებული იქნა ლ. მ-ის სახელზე რიცხული მოძრა-ვი ქონება – ავტომანქანა მერსედეს-ბენცი ჩვე 230 გამოშვების წელი 1997.

4. მხარეებმა გირავნობის ხელშეკრულების 10.4 პუნქტით განსაზღვრეს, რომ თუ კი გირავნობის საგნის რეალიზაციის შე-

დეგად მიღებული თანხა სრულად არ დააკმაყოფილებს სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნებს მოსარჩელე უფლებამოსილია მოითხოვოს ლ. მ-ის სხვა ქონების რეალიზაციაც;

5. მოვალემ კრედიტორს საკუთრებაში გადასცა გირავნობის საგანი – ავტომანქანა, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 4500 აშშ დოლარს, შესაბამისად, გირავნობის საგნის გადაცემის მონეტი არსებულ დავალიანებას უნდა გამოკლებოდა ზემოხსენებული თანხა და დაჩინილ ძირ თანხაზე უნდა მომხდარიყო როგორც პროცენტის, ისე პირგასამტეხლოს დარიცხვა. მოცემულ შემთხვევაში, მოვალემ კრედიტორისათვის გირავნობის საგნის გადაცემით ნანილობრივ (4500 აშშ დოლარის ფარგლებში) შეასრულა ბანკის წინაშე არსებული დავალიანება და გადასახდელი დარჩა ძირი თანხა – 3619.67 აშშ დოლარი, რომელსაც დაერიცხა პროცენტი – 1510.33 აშშ დოლარი, ასევე პირგასამტეხლო – 200 აშშ დოლარი. სულ მისი დავალიანება ბანკის წინაშე შეადგენდა 5330 აშშ დოლარს.

საკავშირო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის მასალები და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLVI თავში მოცემული წესით საქმის განხილვის დროს მტკიცებულებათა გამოკვლევა არ ხდება, არამედ, კანონის ძალით მიიჩნევა დადგენილად სარჩელში (საპელაციო საჩივარში) მითითებული გარემოებები.

ასევე უსაფუძვლოა მხარის არგუმენტი, რომ უბრყების გაგზვის გამო, მან მიიჩნია, რომ სასამართლო დასაბუთებულად არ ჩათვლიდა სააპელაციო საჩივარს და მას სხდომაზე განიხილავდა. მხარის ეს მოსაზრება არ გამომდინარებს კანონის სწორი განმარტებიდან, ამასთანავე, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სავსებით მართებულად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლით დადგენილ საქმის განსახილველად დანიშვნის წესზე.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლითაც, რომ სასამართლომ იგი გამოიტანა, როგორც მხარის დასჯეის მექანიზმი და არ არსებობდა პრეზუმაცია იმისა, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ცნობდა სააპელაციო საჩივარს, ამასთანავე შესაგებლის ნარდგენის 7-დღიანი ვადის განსაზღვრით ის არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა მოპასუხესთან, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლომ შესაგებლის ნარდგენის ვადა 10 დღით განუსაზღვრა.

პალატა ვერ გაიზიარებს მხარის ამ მოსაზრებას და განმარ-

ტაგს, რომ მოპასუხის (მოწინააღმდეგე მხარის) მიერ შესაგებ-ლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ყოველთვის წარმოშობს იმ ვარაუდის საფუძველს, რომ მხარე ეთანხმება მის წინააღ-მდეგ წარდგენილ მოთხოვნას, ვინაიდან სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 63-ე მუხლის ძალით, საპროცესო ვადის დარ-ღვევით წარდგენილი დოკუმენტები სასამართლოს მხრიდან შე-ფასებას აღარ ექვემდებარება. რაც შეეხება არათანაბარ მდგო-მაროებას, საქმის მასალებით არ დასტურდება სს „ს. ბ-ის“ მიერ სასამართლოსათვის მიმართვისა და შესაგებლის წარდგენისათ-ვის დადგენილი ვადის გაგრძელების მოთხოვნა, რაც ამ არგუ-მენტის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთანავე, პალატა სრულად ეთანხმება გასაჩივრებული დაუსწრებელი გა-დაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინე-ბის დასკვნას, რომ სამოქალაქო კოდექსის 256-ე, 276-ე, 361.2, 427-ე, 428-ე მუხლებიდან გამომდინარე, აპელანტის მოთხოვ-ნა სასამართლებრივად გამართლებულია დადგენილად მიჩნეუ-ლი ფაქტობრივი გარემოებით. აქვე პალატა ყურადღებას გა-ამახვილებს კასატორის პრეტენზიაზე, რომ სასამართლომ და-არღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მოთ-ხოვნები და აპელანტის წაცვლად თავად გააკეთა დასკვნა საა-პელაციო საჩივროში მითითებული თახებიდან თუ რომელი წარ-მოადგენდა პროცენტს და რომელი პირგასამტებლოს. სააპე-ლაციო სასამართლომ, 2013 წლის 2 ოქტომბრის განჩინებაში, მართალია, მიუთითა საჩივრის ზეპირი განხილვისას ლ.მ-ის მი-ერ მიცემულ განმარტებაზე, თუმცა ამავე განჩინებაში სასა-მართლომ ასევე საფუძვლიანად განმარტა, რომ ჯარიმისა და პირგასამტებლოს ერთდროულად მითითება წარმოადგენდა მე-ქნიკურ უსწორობას და ეს გარემოება დასტურდებოდა საქმე-ში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის პირველი ფაქტობრი-ვი უსწორობის გრაფაში მითითებული ფაქტებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სს „ს. ბ-ის“ მიერ სააპელაციო პასუხის დადგენილ ვადაში წა-რუდგენლობის გამო სააპელაციო სასამართლომ სავსებით მარ-თებულად მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, ხოლო წარმოდგენილი სა-კასაციო საჩივრით არ დასტურდება ამ დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მულით გათვალისწინებული საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2013 წლის 2 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება

განჩინება

№ას-624-585-2011

1 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ თავმჯდომარე ნ. მ-მა სარჩელი აღძრა შპს „დ. ე-ის“ დირექტორ ვ. დ-ის მიმართ და მოითხოვა ს. რ-სა და შპს „დ. ე-ს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით მობინადრეთა ამხანაგობის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელებ.

თბილისის სააპელაციო საამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინერა მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ თავმჯდომარე ნ. მ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ნარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე მხარეს გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარის ოდენობით, რასაც ადასტურებდა საქმეში ნარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მაისის განჩინებით, საკასაციო სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, საკასაციო საჩივარს დაუდგინა ხარვეზი და მის ავტორს დაავალა დავის საგნის ლირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მის შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრის დედნის ნარმოდგენა.

საკასაციო საჩივრის აუტორმა სასამართლოს წარუდგინა აუდიტორული დასკვნა, რომლის შესაბამისადაც, საკასაციო საჩივრის საგნის ლირებულება შეადგენდა 51988 ლარს. ამასთან, კასატორმა იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავდების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით, მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ თავმჯდომარე ნ. მ-ს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებით, მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. კასატორს დაუბრუნდა 2011 წლის 6 აპრილს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი.

2014 წლის 11 სექტემბერს სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. მ-მა და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, რომელიც უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მაისის განჩინებით, კასატორის მიერ წინასწარ გადახდილი ბაჟი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებად არ იქნა მიჩნეული და კასატორის დაევალა საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების განსაზღვრა და მის შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაზის ჩარიცხვის ქვითონის დედნის წარმოდგენა.

2011 წლის 20 ივნისს მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ თავმჯდომარე ნ. მ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს, წარადგინა აუდიტორული დასკვნა, რომლის თანახმადაც, საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 51988 ლარით განსაზღვრა, ამასთან იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით, მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ თავმჯდომარე ნ. მ-ს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლისა.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებით დასტურდება, რომ მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ თავმჯდომარე ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ამდენად წინამდებარე საქმეზე წარმოება დასრულდა 2011 წლის 4 ივლისს, რაც ამავე სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის წაგებული მხარისათვის დაკისრების საფუძველს ქმნიდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში რჩება მხარის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 30%.

როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნით დასტურდება, რომ განსახილველი საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 51988 ლარია, შესაბამისად, გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ღირებულების 5%-ის – 2599.4 ლარის 30% – 779.82 ლარია. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო საჩივარზე მხა-

რეს გადახდილი აქც 300 ლარი, დაუშვებლად ცნობის განჩინებით კასატორს უნდა დაკისრებოდა 479.82 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებით კი, მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ს“ არასწორად დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩინა, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის დაბრუნებისა კასატორს უნდა დაკისრებოდა გადავადებული სახელმწიფო ბაჟიდან 30%-ის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უკვე გადახდილი 300 ლარის გათვალისწინებით. ამდენად, განჩინების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში მითითებული „მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ს“ დაუბრუნდეს 2011 წლის 6 აპრილს გ. გ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% – 210 ლარი“ უნდა გასწორდეს შემდეგი სახით: „კასატორ მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 479.82 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – №220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150, დანიშნულება – „სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე“.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის დაბრუნების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, პალატა მიიჩნევს, რომ ეს მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც, მართალია, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის დაბრუნების ფაქტობრივი საფუძველი. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ თავმჯდომარე ნ. მ-ის განცხადება უსაფუძვლოა და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ის“ თავმჯდომარე ნ. მ-ის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის №ას-624-585-2011 განჩინებაში დაშვებული უსწორობა.

3. განჩინების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილში მითითებული „მობინადრეთა ამხანაგობა „დ-ი 3/5-ს“ დაუბრუნდეს 2011 წლის 6 აპრილს გ. გ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი“ გასწორდეს შემდეგი სახით: „მობინადრეთა ამხანაგობა დ-ს 3/5-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 479.82 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – №220101222, საპიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150, დანიშნულება – „სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე“.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დამვაბული უსწორობის გასწორება

განჩინება

№ას-462-438-2013

12 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. დ-ის განცხა-
დება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2013 წლის 8 ნოემბრის №ას-462-438-2013 გან-
ჩინებაში და ამ განჩინების საფუძველზე 2014 წლის 24 იანვარს
გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის
გასწორების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 8 ნოემბრის განჩინებით გ. დ-ის საკასა-
ციო საჩივარი დარჩა განუხილველად და კასატორს დაუბრუნ-
და გადახდილი სახელმწიფო ბავის 70%. აღნიშნული განჩინე-
ბის საფუძველზე, 2014 წლის 24 იანვარს გაიცა სააღსრულებო
ფურცელი.

გ. დ-მა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მო-
ითხოვა ზემომითითებულ განჩინებაში და სააღსრულებო ფურ-
ცელში უსწორობის გასწორება იმ საფუძვლით, რომ განჩინების
დადგენილებითი ნაწილის მეორე პუნქტში და შესაბამისად, სა-
აღსრულებო ფურცელში განჩინების სარეზოლუციო ნაწილის
მეორე პუნქტში, არასწორად არის მითითებული სახაზინო კო-
დი.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი
ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით
ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვე-
ბული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ
სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩინა, შესწორებათა შეტა-
ნის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხა-
რებებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გა-

მოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ნოემბრის №ას-462-438-2013 განჩინებაში და ამ განჩინების საფუძველზე 2014 წლის 24 იანვარს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში უნდა გასწორდეს უსწორობა, კერძოდ, განჩინების დადგენილებითი ნაწილის მეორე პუნქტში და შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში სახაზინო კოდი „300773150“ უნდა გასწორდეს კოდით „300533150“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. დ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. გასწორდეს 2013 წლის 8 ნოემბრის №ას-462-438-2013 განჩინებაში და ამ განჩინების საფუძველზე 2014 წლის 24 იანვარს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა.
3. განჩინების დადგენილებითი ნაწილის მეორე პუნქტში და შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში სახაზინო კოდი „300773150“ გასწორდეს კოდით „300533150.“
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დამვაპული უსწორობის გასწორება

განჩინება

№ას-1061-1016-2014

5 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატაში
მოსამართლე: ვ. როინიშვილი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინებაში შესწორების შეტანის საკითხი.

პალატაშ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ა. ღ-ის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად. განჩინებაში არასწორადაა მითითებული საქმის ნომერი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260.1 მუხლის თანახმად, სასამართლის შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა-ნი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად „№ას-1094-1043-2014“-ისა მიეთითოს საქმის ნომერი №ას-1061-1016-2014.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 260-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა და განჩინების პირველ გვერდზე საქმის ნომერი №ას-1094-1043-2014 შეიცვალოს საქმის ნომრით №ას-1061-1016-2014;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარვეზის შევსების ვადის გაგრძელება

განხილვა

№ას-904-866-2014

1 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

6. შ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ე. გ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხისათვის სესხის ძირი თანხის – 55000 აშშ დოლარისა და პროცენტის – 63950 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების მოტხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით 6. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ე. გ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ 7692,50 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით 6. შ-ს განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 1912 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა დაევალა.

განჩინების პასუხად, 6. შ-მა 3000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინა და დარჩენილი 350 ლარის გადახდის გადავადება ითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 აგვისტოს განჩინებით 6. შ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტმა ხარვეზი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გამოასწორა, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით გააგრძელოს ხარვეზის შევსების ვადა, ხოლო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ კერძო

საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, აპელანტმა სახელმწიფო ბაჟის 90% გადაიხადა. მიუხედავად ფინანსური ტვირთისა, მას არ ამოუთხოვია ბაჟის გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება. სააპელაციო სასამართლომ კი, ხარვეზის შევსების ვადაც კი არ გააგრძელა, მაშინ, როდესაც სხვა არაერთ საქმეზე, სააპელაციო სასამართლო საპროცესო ვადას მხარის მოთხოვნის არარსებობის პირობებშიც კი აგრძელებს.

კერძო საჩივრის ნარმაბეჭი მიღების შემდეგ ნ. შ-ის ნარმადგენელმა გ. დ-ამ საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა და სასარჩელო მოთხოვნა 75000 ლარამდე შეამცირა, რომლის 4% 3000 ლარია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ნ. შ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას გადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით ნ. შ-ს განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 1912 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა დაევალა.

განჩინების პასუხად, ნ. შ-მა 3000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინა და დარჩენილი 350 ლარის გადახდის გადავადება ითხოვა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი არ არსებობდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-48 მუხლების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, ოდენობის შემცირების ან გადავადების თაობაზე, რაც მხარის მძიმე ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან კანონით გათვალისწინებული სხვაგვარი შეღავათის განევის საფუძველი არის მხოლოდ მხარის მძიმე ქონებრივი მდგო-

მარეობა, შესაბამისი მტკიცებულებები კი, თავად მხარემ უნდა წარადგინოს.

მოცემულ შემთხვევაში, ნ. შ-ის ბაჟის გადახდის შეუძლებლობის დამდასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსათვის არ წარუდგენია, რის გამოც, მისი შუამდგომლობა მართებულად არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების ვადა უნდა გაეგრძელებინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.7 მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმა ზღუდავს სააპელაციო სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით ხარვეზის შესავსებად დანიშნული საპროცესო ვადის გაგრძელებას, თუ მხარე ამგვარ შუამდგომლობას არ აყენებს. ეს ნორმა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს ეხება, როდესაც მხარე ხარვეზის განჩინების პასუხად, საერთოდ არ მიმართავს სასამართლოს, ან აშკარად უსაფუძვლო განცხადებით საქმის განხილვის გაჭიანურებას ცდილობს და ხარვეზის შევსების რეალურ ნებას არ ავლენს. განსახილველ შემთხვევაში კი, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ აპელანტმა დაკისრებული 3350 ლარიდან 3000 ლარი გადაიხადა და დარჩენილი 350 ლარის გადავადების თხოვნით მიმართა სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას ნიშნავს, შესაბამისად, ამგვარი შეზღუდვა ყოველთვის უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული და მართლზომიერი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს შეზღუდვას, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუმცა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, კონკრეტული საქმის გარემოებების, მათ შორის მხარის გადახდისუნარიანობისა და საქმის წარმოების ეტაპის გათვალისწინებით (FC MRETEBI v. GEORGIA, PODBIELSKI AND PPU POLPURE v. POLAND). სასამართლო ხარჯების ინსტიტუტი, ზოგადად, მართლმსაჯულების ადმინისტრორების მიზანს ემსახურება კერძოდ, სასამართლო სისტემის საქმიანობის პროცესის დაფინანსებასა და აშკარად უსაფუძვლო, არასერიოზული სასარჩელო განცხადე-

ბებისაგან დაცვას. კონვენციის მე-6 მუხლი ყველას ანიჭებს უფლებას თავისი სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა სასამართლომდე მიიტანოს. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული მუხლი ადგენს „სასამართლოს უფლებას“, რომლის მხოლოდ ერთი ასპექტია სასამართლოს ხელმისაწვდომობა. სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური, იგი შეიძლება შეიზღუდოს, რადგანაც ხელმისაწვდომობის უფლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებას მოითხოვს (KREUZ v. POLAND). აქვე გასათვალისწინებულია, რომ ევროპული სასამართლო განსხვავებულად უდგება პირველ და ზემდგომ ინსტანციებში გადასახდელ სახელმწიფო ბაჟსა და სხვა სასამართლო ხარჯებს. სასამართლოს პოზიციით, კონვენციის მე-6 მუხლი არ აკისრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს შექმნის ვალდებულებას, მაგრამ თუ აპელაციის სისტემა გათვალისწინებულია, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მათ იურისდიქციაში დაცული იყოს კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები, იმგვარად, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს შემთხვევაშია დადგენილი (PODBIELSKI AND PPU POLPURE v. POLAND). გასათვალისწინებულია, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების გამოყენება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიმართ დამოკიდებულია საქმის წარმოების თავისებურებებზე, მხედველობაში მისაღებია პროცესის ერთიანობა შიდა კანონმდებლობის მიხედვით და სააპელაციო სასამართლოს როლი ამ პროცესში. ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით როცა შეზღუდვა აპელაციის დასაშვებობას შეეხება, ან როცა მართლმასაჯულების ინტერესები მოითხოვს, რომ აპელანტმა, თავისი სააპელაციო საჩივართან მიმართებით უზრუნველყოს იმ ხარჯების დაფარვა, რომელსაც მეორე მხარე განიცდის პროცესის ფარგლებში, შესაძლებელია ცალკეული შეზღუდვების, მათ შორის ფინანსური ხასიათისაც, დაწესება სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებისათვის. ამგვარი შეზღუდვები კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, ასევე დაცული უნდა იყოს ბალანსი გამოყენებულ სამუალებასა და მისაღწევ შედეგს შორის (PODBIELSKI AND PPU POLPURE v. POLAND).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ისეთ პირობებში, როდესაც აპელანტმა დაკისრებული ბაჟის უდიდესი ნაწილი გადაიხდა და დარჩენილი ბაჟის გადახდის გადავადება მოითხოვა (არა შემცირება ან გათავისუფლება), სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შევსების ვადის ერთჯერა-

დად გაგრძელების გარეშეც კი, გაუმართლებლად ზღუდავს სა-სამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას. კერძო საჩივრის ავ-ტორი ასევე მართებულად მიუთითებს, რომ სააპელაციო სასა-მართლო ხშირ შემთხვევაში, აგრძელებს ხარვეზის შესავსებად მიცემულ ვადას მაშინაც კი, როდესაც აპელანტი პირდაპირ ვა-დის გაგრძელებას არ მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ კერძო საჩივ-რის წარმოებაში მიღების შემდეგ მოსარჩელემ სასარჩელო მოთ-ხოვნა 75000 ლარამდე შეამცირა. სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 83.4 მუხლის საფუძველზე, მოსარჩელეს საქმის გან-ხილვის დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია სასარჩელო მოთხოვნის შემცირება. 75000 ლარის 4% 3000 ლარია, შესაბა-მისად, ნ. შ-ის სააპელაციო საჩივარზე ბაჟი სრულადაა გადახ-დილი და მისი განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არ-სებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39.1(დ) მუხლის თანახ-მად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კერძო საჩივარზე – 50 ლარს შეადგენს. ნ. შ-ის კერძო საჩივარზე კი გადახდილია ბაჟი 150 ლარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლი ითვალის-წინებს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნე-ბის შესაძლებლობას, შესაბამისად, ნ. შ-ს ზედმეტად გადახდი-ლი 100 ლარი უნდა დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. შ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 აგვიტოს განჩინება და საქმე;
3. ნ. შ-ის სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლის;
4. ნ. შ-ს დაუბრუნდეს 15/08/2014 წლის №1 საგადახდო და-ვალებით გ. დ-ას მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბა-ჟი – 100 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბაზნის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განრიცხვა

№ას-1008-969-2014

29 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად
ცნობა, სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ს. გ-მ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ე. გ-ის წინააღ-
მდეგ სარჩელი აღძრა მის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწ-
მობის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ქონების თანამესა-
კუთრედ აღიარების მოთხოვნით.

ე. გ-მ შეგებებული სარჩელი წარადგინა 2012 წლის 10 ოე-
ბერვლისა და 2012 წლის 6 ნოემბრის სანოტარო აქტების ბათი-
ლად ცნობის მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის გა-
დაწყვეტილებით ს. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქ-
ნა ცნობილი ე. გ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა □
ნაწილში და ს. გ-ე ცნობილ იქნა 1984 წლის 11 აპრილს გარდაც-
ვლილი დედის – მ. გ-ის დანაშთი ქონების □-ის მესაკუთრედ. ე.
გ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ე. გ-მ სააპელაციო წესით გაა-
საჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2014 წლის 3 ივლისის განჩინებით ე. გ-ის სააპელაციო
საჩივრი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ მი-
უთითა, რომ ვინაიდან აპელანტი კანონით დადგენილ ვადაში
საქალაქო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების
ჩასაბარებლად არ გამოცხადდა, სააპელაციო საჩივრის შეტა-
ნის ვადის ათვლა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე
დღეს დაიწყო და 26 ივნისს ამოიწურა. სააპელაციო საჩივრი
კი, 27 ივნისსა შეტანილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხემ კერძო სა-
ჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, სასმართლომ არასწორად

დაიწყო ვადის ათვლა 30-ე დღიდან, ვინაიდან აპელანტმა დასაბუთებული გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს ჩაიბარა და ვადის ათვლა მომდევნო დღიდან უნდა დაწყებულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ე. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გარდელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

იმავე კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს.

საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მხარემ დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში არ ჩაიბარა და გასაჩივრების ვადის ათვლა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღიდან უნდა დაიწყოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის საფუძველზე, გასაჩივრების მსურველ მხარეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის ჩათვლით შეუძლია სასამართლოში გამოცხადდეს და გადაწყვეტილება ჩაიბაროს. ამ შემთხვევაში გადის ათვლა არა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღიდან, არამედ ჩაბარებიდან დაიწყება.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2014 წლის 14 მაისს გამოცხადდა, ე. გ-სათვის ცნობილი იყო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი, შესაბამისად, მხარე არა უადრეს 3 და არა უგვიანეს 13 ივნისისა სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად უნდა გამოცხადებულიყო. ე. გ-ის ნარმომადგენელმა დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ ვადაში – 13 ივნისს ჩაიბარა, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60.2 მუხლის საფუძველზე, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა 14 ივნისიდან დაიწყო და 27 ივნისს ამონტურა. სააპელაციო საჩივარი ამ ვადაშია შეტანილი და სააპელაციო სასამართლომ განუხილველად არასწორად დატოვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. გ-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ივლისის განჩინება და საქმე ე. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახალი მთკიცებულებების წარდგენა სააპალაციო სასამართლოში

განჩინება

№ას-865-823-2013

14 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. კ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ბ-ის მიმართ 7 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის განმარტებით, ე. ბ-ის თხოვნით ის დედასთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა მოპასუხესთან, ქ.თბილისში, ა-ის ქ. №30-ში, იმ პირობით, რომ ეზოში მდგომ შენობას საკუთრებაში გადასცემდათ მოპასუხე.

2011 წლის 20 ოქტომბერს მოსარჩელემ მოპასუხეს სამი თვით ასესა 7 000 ლარი და თავის დაზღვევის მიზნით, დაწერა ხელწერილი, რადგანაც ე. ბ-ი ხელით ვერ წერდა. ხელწერილი შედგენილია მოპასუხის კარნახით, რასაც წაკითხვის შემდეგ მოაწერა ხელი ე.ბ-მა.

მოპასუხეს სესხი არ დაუბრუნებია.

ე. ბ-მა სარჩელი არ ცნო და მის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვა:

მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულა, მოპასუხეს საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ხელწერილი ყალბია, რასაც ის გარემოებაც მოწმობს, რომ ხელწერილის თანახმად, მსესხებელმა წერა არ იცის, ხოლო მასზე შესრულებული ხელმოწერა არის არა ინიციალები, არამედ სრული ტექსტი. მოსარჩელე ასევე აღნიშნავს, რომ ნასესხები თანხა გამიზნული იყო ბინის გადასაფორმებლად, რაც არასწორია, რადგანაც ბინის გადაფორმებისთვის 7 000 ლარის არაა საჭირო, გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელე სოციალურად დაუცველია და მას ამ ოდენობის თანხის სესხად გაცემა არ შეეძლო. მოპასუ-

ხეს არავითარი თანხა არ მიუღია ლ.კ-ისგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ე. ბ-ს ლ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7 000 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ივლისის განჩინებით ე. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო საჩივრით აპელანტმა სადაცოდ გახადა 2011 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებაში მის მიერ გამოვლენილი წება იმ საფუძვლით, რომ: ა) 2011 წლის 20 ოქტომბრის ხელწერილი არ იყო დაწერილი და ხელმოწერილი მის მიერ, ასევე, მას ლ. კ-ისაგან არ მიუღია 7 000 ლარი; ბ) იგი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, ამასთან, მოხუცებულობისა და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ვერ გაერკევა თუ რაზე ანერდ ხელს.

პალატამ არ გაიზარა აპელანტის მტკიცება, რომ 2011 წლის 20 ოქტომბრის ხელწერილი არ იყო ხელმოწერილი მის მიერ, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა 2011 წლის 20 ოქტომბრის ხელწერილზე დაფიქსირებული ხელმოწერის შეუსრულებლობას. აღნიშნულის საზინააღმდეგოდ კი, საქმეში წარმოდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 4 დეკემბრის დასკვნით დასტურდებოდა სადაცო ხელწერილზე არსებული ხელმოწერა – ეთ.ბ-ი შესრულებული იყო ე. ბ-ის მიერ.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად სასამართლომ განმარტა, რომ მარტოოდენ ნების არსებობა არ იწვევს გარიგების დადებას, აუცილებელია წება გამოვლენილ იქნას. გარდა ამისა, წება მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. წება შინაგანი სუბიექტური კატეგორიაა და იგი სამართლებრივ შედეგებს იწვევს მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგისადმი მიმართული წება იურიდიულად ქმედითი ხდება მისი გამოვლენის შედეგად. წების გამოვლენის ფორმებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დატ-

ვირთვა გააჩნია გარიგებებში, ვინაიდან გამოხატული ნებისადმი არსებობს კონტრაპენტის მიერ გამოვლენილი ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი, ამიტომ მხედველობაში არ იქნა მიღებული პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამოხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირჩმუნა, რომ იგი უფლებებით აღიჭურვა. სასამართლოს განმარტებით, ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისკენ არის მიმართული, დაკავშირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან, შესაბამისად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული პრეზუმცია ქარწყლდება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამორიცხავს. მაგალითად, პირის ქმედუუნარობა, სულიერი აშლილობა, ფსიქიური, ფიზიკური იძულება, მოტყუება, და ა.შ. სასამართლოს შეფასებით, ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მართოს ნების გამოხატვის ფორმები. როდესაც პირს შეზღუდული აქვს ე.წ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვითარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო, პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამება (სულიერი ავადმყოფობა) ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, ნების გამომვლენი, დაცული უნდა იყოს გამოვლენილი არანამდვილი ნების თანამდევი შედეგებისგან.

სესხის ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნების ნაკლის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, რომელმაც ვერ შეძლო მის მიერ მითითებული გარემოებების (ქმედუუნარობის) დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილზე და აღნიშნა, რომ, მართალია, ე. ბ-ის მიერ საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ივნისის განჩინება, რომლითაც დასტურდება სამოქალაქო საქმეზე (ლ. ბ-ის განცხადებაზე ბებიის ე. ბ-ის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ) ექსპერტიზის დანიშვნის ფაქტი, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ მტკიცებულებას, რის საფუძველზეც სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ ე. ბ-ის მიერ გამოვლენილი ნება იყო ნაკლიანი. ასეთ მტკიცებულებას,

სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება პირის ქმედულნაროდ აღიარების შესახებ, რაც აპელანტს არ წარუდგენია. ამასთან, იმისათვის, რომ მხარემ სადავოდ გახადოს გარიგება იმ საფუძვლით, რომ იგი დადებული იყო ქმედულნარო პირის მიერ, საჭიროა, რომ გარიგების წების ნაკლი (მოცემულ შემთხვევაში ქმედულნარობა) ვლინდებოდეს სადავო გარიგების დადების დროს, და არა სადავო საკითხის სასამართლო წესით განხილვისას.

სააპელაციო საჩივრის არგუმენტზე, რომ მხარე გარიგების შინაარსში მოატყუეს, პალატამ აღნიშნა, რომ ამ გარემოების შესახებ აპელანტს არ მიუთითებია არც შეპასუხებაში და არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. ეს საკითხი დააყენა მხოლოდ სააპელაციო საჩივარში. აპელანტი (მოპასუხე) პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შეპასუხებაში და შემდეგ ახსნა-განმარტების ეტაპზე აპელირებდა მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ: ა) 2011 წლის 20 ოქტომბრის ხელწერილი არ იყო დაწერილი და ხელმოწერილი მის მიერ, და ბ) მოსარჩეულმ მას სადავო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერინა ფსიქოტროპული პრეპარატების ზემოქმედებისა და უგონო მდგომარეობაში მყოფს, ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმების დაცვით, რაც გამოიხატა მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე მსჯელობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარში მოყვანილი ფაქტები და გარემოებები შემოიფარგლება იმ ფაქტებითა და გარემოებებით, რომლებიც აღნიშნულია შესაგებელში. ზემოხსენებული მოტივების მიუხედავად, აპელანტს ხელწერილის ბათილობის საკითხი სასამართლო წესით არ მოუხოვია.

ე. პ-ი სადავოდ ხდიდა 2011 წლის 20 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის თანხის – 7 000 ლარის ლ. კ-ის მიერ გადაცემის ფაქტს და უთითებდა, რომ სასამართლოს აღნიშნული გარემოება დადგენილად არ უნდა მიეჩნია მხოლოდ სადავო სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, რაც პალატამ სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლების, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, არ გაიზიარა. პალატის განმარტებით, სესხის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულება და იგი დადებულად ითვლება მსესხებლისათვის თანხის ან გვაროვნული ნივთის გადაცემის მომენტიდან. სესხის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, გასეს-

ხებული თანხის გადაცემის დამტკიცების მოვალეობა აქვს გამსესხებელს. ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს თანხის გადაცემის და, შესაბამისად, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს ზეპირი მტკიცებულებებით – მოწმის ჩვენებით, მხარის ახსნა-განმარტებით. კანონმდებელი სესხის ხელშეკრულების წერილობით ფორმას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, რადგან ხელშეკრულების სადაცოდ გახდომისას მხარეთა ინტერესების დაცვა უფრო მეტადაა გარანტირებული, გამსესხებელი მოთხოვნის დასადასტურებლად მიუთითებდა წერილობით დადებულ სესხის ხელშეკრულებაზე, მსესხებელს კი, უნდა დაედასტურებინა ამ საბუთის უსწორობა, რაც საქმეში ნარმოდგენილი 2011 წლის 20 ოქტომბრის ხელნერილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, შესწავლით არ დგინდებოდა.

სასამართლომ იხელმძღვანელი სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 317-ე მუხლით, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ვინაიდან ე. ბ-ს ლ. კ-ისათვის არ ჰქონდა დაბრუნებული სესხად აღებული თანხა, ჩათვალა, რომ სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლების საფუძველზე, სწორად დააკმაყოფილა სარჩელი.

არ იქნა გაზიარებული აპელანტის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სასამართლო ვალდებული იყო, მოწვია ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევისათვის საჭიროა შემდეგი პირობების ერთდროულად არსებობა: ა) უნდა არსებობდეს მხარის შუამდგომლობა სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ; ბ) საქმის მასალებიდან უნდა ჩანდეს, რომ მას ქონებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება; გ) განსახილველი საქმე მნიშვნელოვანი და რთულია.

პალატის შეფასებით, მართალია, საქმის მასალებით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ე. ბ-ი დადგენილი წესით რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა საარსებო შემწეობას, თუმცა არ იკვეთებოდა ზემოაღნიშნული მუხლის გამოყენების მეორე ნინაპირობა – საქმის სირთულე. მოპასუხეს ამ სახის შუამდგომლობით პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის არ მიუმართავს და არ მიუთხოვია სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევა. სასამართლოს შეფასებით, გარემოებები იმის შესახებ, რომ ე. ბ-ი მონაწილეობდა საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში და ასევე ის, რომ მან ნარადგინა შესაგებელი,

მიუხედავად იმისა ჰყავდა თუ არა ადვოკატი, მიუთითებდნენ იმაზე, რომ მოპასუხება ამა თუ იმ ფორმით მიიღო მონაწილეობა საქმის განხილვაში, განახორციელა საპროცესო მოქმედებები და დაიცვა საკუთარი უფლებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა- ასაჩივრა ე.ბ.-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სა- სამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემ- დეგი საფუძვლებით:

სასამართლოს მსჯელობა მთლიანად ეფუძნება გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც ხელწერილზე ხელმონერა ე.ბ.-ის ხელმონერადაა მიჩნეული და ამ გარემოებას კასატორი სადაცოდ არ ხდის, თუმცა ხელწერილში არაა დაფიქსირებული მსესხებლის მიერ თანხის მიღების ფაქტი, ასევე არ არსებობს პირი, რომელიც დაადასტურებდა კასატორისათვის თანხის გა- დაცემის ფაქტს. საქმე ეხება კრედიტორის მიერ შედგენილ ხელ- წერილს, რომელიც სარჩელით არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ე.ბ- მა წერა-კითხვა არ იცის, ხოლო ხელწერილში სესხის ოდენო- ბად 7 000 ლარია აღნიშნული, სააპელაციო სასამართლოს წა- რედგინა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ კომისიური დასკვნა, რომლის თანახმა- დაც ე.ბ.-ი ქმედუუნაროა, მისი ეს მდგომაროება არსებობდა ხელწერილის შედგენის დროსაც, შესაბამისად, ეჭვს ბადებს იუ- რიდიული ფაკულტეტის სტუდენტის მიერ 81 ნლის ქმედუუნა- რო მოხუცისათვის, მონმის დასწრების გარეშე სესხად 7 000 ლარის იმგვარ ვითარებაში გადაცემა, რომ ეს სესხი არ ყოფილა უზრუნველყოფილი. სასამართლოს არ გამოუკვლევია ის გარე- მოებაც, რეალურად გადაეცა თუ არა კასატორს თანხა, რაც სეს- ხის, როგორც რეალური გარიგბისა ნამდვილობის განმსაზღვრე- ლი წინაპირობაა. კასატორის განმარტებით, გამსესხებლისათ- ვის კარგადა ცნობილი, თუ როგორ უნდა გაიცეს იპოთეკით უზ- რუნველყოფილი სესხი, ამგვარი გარიგბა ლ.კ-სა და მის დედას სხვა პირთანაც აქვთ გაფორმებული. მოსარჩელებმ ბოროტად ისარგებლა კასატორის ნდობით და მოტყუებით მოაწერინა მას ხელწერილზე ხელი. ამ კუთხით კასატორმა მიუთითა სხვა ვი- თარებაში მოპასუხის ხელმონერის მოტყუებით მიღებაზეც (ე.ბ- ს მოსარჩელემ რამდენჯერმე გამოართვა პირადობის მონმობა; მის სახელზე დარეგისტრირდა ტელეფონის აბონენტად, შეიყ- ვანა ინტერნეტი და დავალიანება არ გადაუხდია, ხელი მოაწე- რინა საჩივრებზე პოლიციაში და სხვა).

კასატორის განმარტებით, სასამართლო არ დაინტერესდა იმგვარი გარემოებების დადგენით, ხელმონერა მოპოვებული

იყოთ თუ არა კანონიერი გზით, ამ ეჭვს მეტად საფუძვლიანს ხდიდა ის ფაქტი, რომ გამსესხებელს, ვადაგადაცილების გამო, არა-სოდეს შეუხსენებია მოვალისათვის თანხის დაბრუნების თაობაზე, საქმის კურსში არ ჩაუყენებია ოჯახის სხვა წევრები, არა-მედ სასამართლოს მიმართა მას შემდეგ, რაც დადგა სესხის გადახდის ვადა, ამასთანავე, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო აპელანტის ავადმყოფობის ფაქტი, თითქმის უსინათლო მოხუცი, რომელიც სრულფასოვნად ვერ აცნობიერებს მის გარშემო არსებულ ვითარებას, შეძლებდა თუ არა ხელწერილის შინაარსის გაცნობას.

კასატორის განმარტებით, მოპასუხეს, ჯანმრთელობის მდგომარობის გამო, არ შეეძლო საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას ჰყოლობდა წარმომადგენელი და ჯეროვნად განეხორციელებინა საკუთარი საპროცესო უფლებები, სასამართლო წარმოების დროს ამით დაირღვა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები.

სასამართლოს წინამდებარე დავა განსჯადობით უნდა გადაეცა და განხილულიყო სისხლის სამართლის წესით, სადაც ადვილად გაირკვეოდა სიმართლე.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მიერ წარდგენილი, არც ერთი დასაშვები მტკიცებულება საქმეს არ დაურთო, სხდომები გრძელდებოდა მცირე ხანს და არსებითად არ გამოკვლეულა სადავო გარემოებები, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 162-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, როდესაც უარი განაცხადა და შეს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ დასკვნის საქმისათვის დართვაზე, დასკვნაში გადმოცემული ფაქტი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარების თაობაზე ერთდროულად წარმოადგენს, როგორც მტკიცებულების წარდგენის საპატიო მიზეზს, ისე სარჩელის უსაფუძვლობის დამადასტურებელ გარემოებას. პალატამ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 280-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, როდესაც არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე. სასამართლოს ამ მოქმედებით აპელანტს მოესპონ შესაძლებლობა, წარედგინა ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის დაშვების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება განსხვავებული იქნებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის სა-

ფუძვლები, შეამონმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მიაჩინა, რომ ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად კი, მოსარჩელე მიუთითებს, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 20 ოქტომბერს დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს სამი თვის ვადით სესხად გადაეცა 7 000 ლარი. სესხის ხელშეკრულება მოვალის კარნახით დაწერა კრედიტორმა და მოვალემ ხელწერილს ხელი მას შემდეგ მოაწერა, რაც მისი შინაარსი ნაიკითხა.

საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელის საფუძვლიანობა უარყო იმით, რომ ხელშეკრულებაზე არსებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნოდა, შესაბამისად, მიუთითა დოკუმენტის სიყალბეზე, რაც ჩატარებული საექსპერტო კვლევით არ დადასტურდა, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ლ.სამსარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 4 დეკემბრის დასკვნის თანახმად, „ხელწერა ე. ბ-ის სახელით ტექსტის სახით, განლაგებული უთარილო ხელწერილზე სიტყვების შემდეგ: „წავიკითხე ხელს ვაწერ ჩემს ნაკარნახებს“ შესრულებულია ე. ბ-ის მიერ“.

სარჩელის უსაფუძვლობის მტკიცების თვალსაზრისით მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ მას ეს თანხა არ ესაჭიროებოდა; მხარეებს აქვთ დაძაბული ურთიერთობა; მოვალეს ხელწერილში მითითებული თანხა არ მიუღია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გაუქმება მოპასუხემ ითხოვა სააპელაციო წესით.

საქმის სააპელაციო სასამართლომ განხილვის ეტაპზე სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობები მტკიცებულებების საქმისათვის დართვის თაობაზე, ხოლო 2013 წლის 23 ივლისის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრის შესწავლით პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ კასატორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას ძირითად იმგვარი საპროცესო დარღვევების მოტივით მოითხოვს, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. წინამდებარე საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისათვის დაშვების წინაპირობაც სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი გახ-

და, რის გამოც, საკასაციო პრეტენზიების ფარგლებში, შემოწმების საგანი საპროცესო დარღვევები და საქმის შედეგის მიმართ მათი გავლენა იქნება.

უპირველეს ყოვლისა, პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზის), შემთხვევაში, შეამონმოს სასამართლოს მიერ დაფენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამონმოს, გადაწყვეტილების გამოტანისას დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ დადასტურებულად არ ჩათვალი აპელანტის მტკიცება გარიგების მოტყუებით დადებისა და სესხის თანხის მიუღებლობის თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ მხარემ ხელწერილის შედგენისას მისი ქმედულნარობა ხელწერილის შედგენის დროს მოქმედი რედაქციის სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულების ნარდგენით ვერ დაადასტურა.

კასატორის განმარტებით, ხელწერილში გამოვლენილი წება არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც ე. ბ-ს თანხა არ მიუღლია, მოსარჩელე სარჩელშივე უთითებს, რომ ე. ბ-ს არ შეუძლია წერა-კითხვა. ამ ფაქტობრივი გარემოების დადასტურების მიზნით, სააპელაციო სასამართლოში აპელანტის წარმომადგენელმა წარადგინა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც ე. ბ-ს დაუდგინდა ქმედულნარობა. ეს არ არის ახალი გარემოება, და ამავე მტკიცებულებით დასტურდება, რომ 2011 წელს, ხელწერილის შედგენის დოსაც მოვალე იყო ქმედულნარო. კასატორს, ავადმყოფობის გამო, საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას წარმომადგენელი არ ჰყოლია, მან ვერ შეძლო დაცვის უფლების ჯეროვანი გამოყენება, რის გამოც დაირღვა შეჯიბრებითობის პრინციპი. სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მიერ წარდგენილი არც ერთი დასაშვები მტკიცებულება არ დაურთო საქმეს, მტკიცებულებათა წარდგენისას დასტურდებოდა მათი ზემდგომ სასამართლოში წარდგენის საპატიო მიზეზი, სააპე-

ლაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომ ე. ბ-ს ავადმყოფობის გამო, არ ჰქონდა ამ მტკიცებულების პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენის შესაძლებლობა, თავის მხრივ, ქმედულნარობა წარმოადგენდა საქმისათვის საჭირო მტკიცებულებასაც და მისი წარდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზსაც.

აღნიშნულით კასატორმა სადავო გახადა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რომლებიც გამოვლენილი ნების ნამდვილად მიჩნევასა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას დაედო საფუძვლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება, მხარის პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, სამართლებრივად შეაფასოს ქვემდგომი წესით საქმის განხილვისას მიღებული იმ განჩინებების მართებულობა, რომელთა დამოუკიდებლად გასაჩივრების შესაძლებლობასაც საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

კასატორის პრეტენზიათა შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დავის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას ე. ბ-ს წარმომადგენელი არ ჰყოლია, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია 2013 წლის 25 იანვარს, ხოლო საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულება, რომლითაც ე.ბ-ის ინტერესების დაცვა მიენდო მ. ლ-ს, გაცემულია 2013 წლის 25 თებერვალს;

მოსარჩელის განმარტებით ირკვევა, რომ სესხის ხელწერილი მან, როგორც გამსესხებელმა, მსესხებლის კარნახით დაწერა, რადგან ე. ბ-ი საკუთარი ხელით ვერ წერს;

წარმომადგენლის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივრში, დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია ე. ბ-ის ჯანმრთელობის მდგომაროებაზე – მოპასუხე ათეროსკლეროზითა და სხვა ქრონიკული დაავადებებითაა დაავადებული. აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ ე. ბ-მა კარგად არ იცის წერა-კითხვა, ამასთან, სააპელაციო საჩივრში მითითებულია შუამდგომლობა, სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის მოგ-

ვიანებით წარდგენის თაობაზე;

2013 წლის 18 აპრილს სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტის წარმომადგენელმა და ითხოვა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 მაისის საოქმო განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, მხარეს დაუბრუნდა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანის პრევენციის ცენტრის“ დასკვნა.

საოქმო განჩინების თანახმად, მტკიცებულებათა წაწილს საქმესთან შეხება არ ჰქონდა, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარობის ამსახველი დოკუმენტები სასამართლომ იმ საფუძვლით არ მიიღო, რომ დარღვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 წანილისა და 219-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვაში ე.ბ.-ის პირადად მონაწილეობა და შესაგებლის წარდგენა, სასამართლომ ჩათვალა მოპასუხის მიერ საპროცესო უფლებების ჯეროვან რეალიზაციად.

საკასაციო პალატა ყურადღებას გააძლიერებს სასამართლო სხდომის გადადების შესახებ ე.ბ.-ის წარმომადგენლის შუამდგომლობაზე, რომელსაც ერთვის სადაცო შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანის პრევენციის ცენტრის“ 2013 წლის 10 აპრილის დასკვნა.

დასკვნის თანახმად, პაციენტ ე. ბ.-ის ანამნეზურ მონაცემებში მითითებულია, რომ პაციენტს სკოლაში საერთოდ არ უვლია; №.... შერეული პოლიკლინიკა-საოჯახო მედიცინის სასწავლო კლინიკური ცენტრის დასკვნით, ე.ბ.-ს დადგენილი აქვს ასაკობრივი კატარაქტა, ათეროსკლეროზი, დისცირკულარული ენცეფალოპათია მე-2 ხარისხის, მეზობლის ხელწერილის თანახმად, ბოლო 4-5 წელია ე. ბ.-ს მკვეთრად დაუქვეითდა მეხსიერება.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევმა პირმა არ იცის წერა-კითხვა, დეზორინტირებულია დროში, ადგილში, საკუთარ თავში, მეხსიერება მკვეთრად აქვს დაქვეითებული, ფიქსაცია და რეპროდუქცია დაქვეითებული, ყურადღება გაფანტული, უჭირს სააზროვნო ოპერაციების შესრულება, ინტერესთა სფერო მკვეთრად დაქვეითებული, უჭირს თვითმომსახურება, საჭიროებს დახმარებას, ქცევები – იმპულსური, გაუწინასწორება, აგრესიული, კრიტიკა თავის მდგომარობების მი-

մարտ ար ցարինուա.

յոմիօնուա միզուգա դասկազնամքը, րոմ յ. ծ-ի դաացագըթյուլուա ցևո-
յիշուրո դաացագըթու, րոմելուց միմֆոնարեռն ըամքենիմե նյ-
լուա, զոտարգեցա մդցրագագ դա Շեշյէցեցագագ, դանցուեթյուլուա
մոցուանցենու ասակշո. դաացագըթու զոնմիօգուան դա Տպէցուցու-
գան ցամոմգոնարյ, 2011 նլու 20 ովդոմթյուր յ. ծ-ս, տացուու ցևո-
յիշուրո մդցրամարուեթուան ցամոմգոնարյ, ար Շեշեթլու Տրյուլագ
ցաւցնուեթուան տացու մոյմեցու մնոմցնուլուա դա ցանցու
ոցո (կմեցունարու, Տաչուրուու մեշուրցը).

ամացու գուցումնիու նարգեցնու միթնուտ ակելանիու նարմո-
մագցենցու սասամարտլու մոցուանցեթուաց միմարտա դա ցա-
սաձուտա, րոմ մոկասյու ցևոյիշուրո մդցրամարուեթու ցատցալու-
նունցենու, ու յյէսէցութուու դասկազնաս, րոմլու տանամագաց, սա-
ցազու ելլունցութիւ ելլոմնունցու ցրուուատցու յ. ծ-ի ուցու ացագ,
սայմու პորցու ոնսցանցուու ցանենուլցուու զեր նարագցենցա,
տոյմցա սասամարտլու 2013 նլու 11 օցնուու սաոյմու ցանհուն-
նու մելուցությունու մոլուցանց ցանցուագ յարո.

մոտուեթյունու մելուցությունու անալունու սացուցությու, սա-
յասացու პալագու սրյուլագ օթուարցու յասացուու մուսաթրցենաս,
սաապելացու პալագու մոյր մելուցությունու դարտցու ացու-
լուցու տաօնցանց դա պուրագցությունու ցամաեցուլուցու սապելա-
ցու սամարտալնարմոցու յբութիւ անալու մելուցությունու մո-
լուցու սապրուցու նյութիւ. սաապելացու սասամարտլու, սամոյէ-
լոյր սապրուցու յուցույնու 377-յ մոյելու პորցու նանունու
գուսպոնուցուու ցամոմգոնարյ, նարմուագցենու յայէթյունու դամ-
ցցեն նյութու սասամարտլու, րոմելուց յոյլուցամուսուլու ցա-
ցանցութուուցու ցանենույրցու Շեամոնթմու პորցու ոնսցանցու-
ու նյութու սայմու ցանենուլցուու մոլուցու դա ցասաժցենագ ցոր-
նուու մելուցությունու ոյայէթյունու աս սամարտլուեթու Շե-
յայէթյունու ցարցու տոյմցա ամ ზոցագու նյութուսացան ցամոնաց-
լունու դաշցությունու: րոցորու յայէթյունու դամցցեն նյութու սա-
սամարտլու, սաապելացու პալագու յոյլուցամուսուլու, Շեսաձամուսու
նունու պորուեթյունու արսեծուուսաս, մուլու անալու յայէթյունու դա ցարյ-
մուցու: սամոյէլոյր սապրուցու յուցույնու 380-յ մոյելու ցոտա-
ցանու ամ սացուու Շեմցցեցու սաենու րոցուլույրցու Շեսամլուց-
լունու: սաապելացու սասամարտլու սայմու ցանենուլցուուսա Շեու-
լուցա մոյցանու յյենու անալու յայէթյունու դա նարգեցնու յյենու ան-
ալու մելուցությունու: սաապելացու սասամարտլու ար մուլուցու
անալ յայէթյունու դա մելուցությունու: րոմլուցու մեսարյ Շե-
յուլու նարցու պորցու ոնսցանցու սասամարտլու սայմու ցան-
ցուուսաս, մացրամ արսապագու մոթեթու ար նարցու.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ახალი ფაქტების/მტკი-ცებულებების საქმეზე დაშვება შეფასების გონივრულ სტან-დარტზეა დამოკიდებული და სასამართლო ამ საკითხს წყვეტს იმ გარემოების გამორიცხვით, რომ მხარეს მათი ქვემდგომ სა-სამართლოში წარდგენის ფაქტობრივი შესაძლებლობა არ გააჩ-ნდა. საწინააღმდეგო ვითარებაში, თუკი დადგინდა, რომ მხა-რეს ამგვარი შესაძლებლობა ობიექტურად ჰქონდა, თუმცა მან მტკიცებულება არასაპატიოდ არ წარადგინა, ამ მტკიცებულე-ბის საქმისათვის დართვით სასამართლო დაარღვევს ამავე კო-დექსის მე-4 მუხლით უზრუნველყოფილ შეჯიბრებითობის პრინციპს.

თავის მხრივ, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კანონმდებელმა დაადგინა ის კრიტერიუმები, თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის საპატიო მი-ზეზად. ნორმის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხა-რის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძ-ლებლობა, რაც გამოწვეულია აგადმყოფობით, ახლო ნათესა-ვის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გა-რემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძ-ლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუ-ამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა და-დასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელ-მძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირ-დაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შე-უძლებლობაზე.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული გარემოებებისა და კასატორის პრეტენზიათა გათვალისწინებით, სასამართლო მი-იჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება მტკიცებუ-ლების წარდგენის შეუძლებლობის „სხვა საპატიო მიზეზი“, თა-ვის მხრივ, ამ დოკუმენტის სადაცო გარემოებებთან ერთობლი-ვად შეფასების გარეშე საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილე-ბის მიღება შეუძლებელია.

შესაბამისად, სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის შესაბამისად, ახალი მტკიცებულებე-ბის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე გარიგების დადებისას მხარის ქმედულნარობის ფაქტის დაუ-დასტურებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობისაა იმ სა-კითხის დადგენა, ხელწერილში გამოვლენილი გარეგანი ნება შე-

ესაბამება თუ არა ნების გამომვლენის ნამდვილ სურვილს, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლი (რომელმაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემგომ გარკვეული რედაქციული ცვლილება განიცადა) გარიგების ნამდვილობას სწორედ ნების გაცნობიერებულ გამოვლენას უკავშირებს.

ამასთანავე, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ საკასაციო საჩივარს ერთვის 2013 წლის 19 ივლისის ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმადაც ე. ბ-ს აღენიშნება ჭკუასუსტყობა, თავის ფსიქიური მდგომარობით ე. ბ-ს არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განაგოს იგი. დასკვნის კლევითი ნაწილის თანახმად, ე. ბ-ს აღენიშნება ინტელექტუალურ-მნესტიკური ფუნქციების მცვეთრი დეფიციტი; დეზორიენტაცია, მიზანმიმართული და პროდუქტიული კონტაქტის გაძნელება, შეკითხვის არსის წვდომა-გააზრებისა და ყურადღების კონცენტრაციის უაღრესად გაძნელება; დაშლილი, უკიდურესად შენელებულ-გადარიბებული აზროვნება; ოლიგოფრაზიური (ნელი, მონოტონური, გრამატიკულად გასადავებული) მეტყველება; ამნეზიური აფაზია; გუნება-განწყობის აპათიური ფონი; ერთფეროვანი, ზედაპირული, ზერღვე, გასადაგებული ემოციური რეაქციები; უკრიტიკულა.

ბუნებრივია, საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ამ ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებათა წარმოდგენას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს მტკიცებულება მოპოვებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართვით ჩატარებული საექსპერტო კვლევის გზით და სწორედ ამ ექსპერტიზაზე დაყრდნობით დაადგინა საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ე. ბ-ის ქმედფუუნარობა, რაც საკასაციო წესით საქმის განხილვისას, კასატიონისათვის წარმომადგენლის დანიშნვამდე, საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლით გახდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მი-
იჩნევს, რომ საპროცესო ნორმების დარღვევის კუთხით კასა-
ტორმა დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა, რაც გასაჩივრე-
ბული განჩინების გაუქმების საფუძველა, რამდენადაც სამო-
ქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თა-
ნახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ
მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძ-
ველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწ-

ყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომლის თანახმადაც საპელაციო სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე. ამ თვალსაზრისით საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2013 წლის 6 ივნისის განჩინება, რომლის თანახმადაც ლ. ბ-ის განცხადებაზე ბების – ე. ბ-ის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, დაინიშნა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

საპელაციო სასამართლო შუამდგომლობის შესწავლით დაადგინა, რომ სახეზე არ იყო საქმის წარმოების შეჩერების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 280-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერებისათვის საგალდებულო წინაპირობას წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა პირის ქმედუუნაროდ აღიარების თაობაზე, რაც საქმის საპელაციო წესით განხილვის ეტაპზე წარდგენილი არ ყოფილა, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შუამდგომლობას აპელანტმა დაურთო საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლითაც ირკვევა, რომ ე. ბ-ის ქმედუუნაროდ აღიარების საკითხის გადაწყვეტის მიზნით დაინიშნა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, წარდგენილი მტკიცებულება იძლეოდა საქმის წარმოების შეჩერების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს (საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით), რადგანაც სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება ამავე კოდექსის მე-5 მუხლით განმტკიცებული მხარეთა თანასწორობის პრიციპის შენარჩუნება, რა დროსაც სათანადო იქნება დაცული ქმედუუნარო მხარის ინტერესები, კანონით გათვალისწინებული წესით შეძლოს საკუთარი უფლების ჯეროვანი დაცვა. საპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება ამ კუთხით არ შეიცავს დამაჯერებელ მსჯელობას.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ მ. ლ-ნის სახელზე 2013 წლის 28 თებერვალს გაცე-

მული მინდობილობა ხელმოწერილია ე. ბ-ის მიერ, რაც ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, მისი ნამდვილად მიჩნევის გამომრიცხავი გარემობაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მულის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი ნარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი ნარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი ნარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის ნარმართვის მართლზომიერებას. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზეა, როგორც მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევის აუცილებლობა, ასევე გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების შესაბამისად გადაწყვიტოს სარჩელის საფუძვლიანობა.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე დართულ მტკიცებულებებს, როგორც განიმარტა, საკასაციო პალატა არაა უფლებამოსილი მიიღოს ისინი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლების გათვალისწინებით (გარდა ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნისა, რომელიც საქალაქო სასამართლოს განჩინებასთან ერთად საქმის ნარმოების შეჩერებას დაედო საფუძვლად), ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე

კი, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამო-იღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ე. ბ-ს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სა-ჩივარზე დართული მტკიცებულებები 31 ფურცლად, ასევე 2013 წლის 7 ოქტომბრის №ა-3126-13 განცხადებაზე დართული მტკი-ცებულებები 2 ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ივ-ლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნ-დეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 31 ფურცლად, ასევე 2013 წლის 7 ოქტომ-ბრის №ა-3126-13 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 2 ფურცლად.
4. ე. ბ-ი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლე-ბულია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

საპირელი

სასამართლო სიტყვის თავისუფლება	3
დავის საგნის ფასის განსაზღვრა	8
საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა	16; 19
ხარვეზის განჩინების მხარისათვის ჩაბარება	25
მტკიცების ტვირთი	28; 43
ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას	59
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება	75; 78; 85; 88; 93
ქონების რეალიზაციის შეჩერება	96
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება	102
სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები	106
დაუსწრებელი გადაწყვეტილება	110
განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება	126; 131; 133
ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება	134
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	139
ახალი მტკიცებულებების წარდგენა	
სააპელაციო სასამართლოში	142

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge